N 4 2021

# მასწავლებელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საქმიანობის

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„სხვა გაკვეთილების ცხრილი“



# მასწავლებელი

N4(72), 2021

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო ინგოროყვა

**რედაქტორები:**
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

**რედკოლეგია:**
ბერიკა შუკაკიძე,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

**სტილისტი:**
ირმა ტაველიძე

**დიზაინი:**
ბესიკ დანელია

**მხატვარი:**
მამუკა ტყეშელაშვილი

**კორექტორი:**
ქეთევან ნიკოლეიშვილი

**ნომერზე მუშაობდნენ:**
მაია ჯალიაშვილი,
გიტა თვალაბეიშვილი,
თამთა დოლიძე, მაია ფირჩხაძე,
ლელა კოტორაშვილი,
ნინო ლომიძე, თამარ მურუსიძე,
ქეთევან ოსიაშვილი,
ოქტაი ქაზუმოვი, თემურ სუყაშვილი,
ცირა ბარბაქაძე, ქეთევან კობალაძე

**ყდაზე**
მარიამ ელიზბარაშვილის ილუსტრაცია

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.


ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.


ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

**www.tpdc.ge**


## რედაქტორისგან

## ნატო ინგოროყვა

ძნელია, ადამიანს რამე დააძალო. მით უფრო – ის, რაც აშინებს. რაც არ ესმის, რის შესახებაც საკმარისი ცოდნა არ აქვს. კიდევ უფრო ძნელი ასახსნელია შიშის მიზეზი, თუმცა გაურკვევლობაც, არცოდნაც მის მიზეზებს შორისაა.

მე სიმაღლის მეშინია. არ მახსოვს, როდის და როგორ გაჩნდა ეს შიში. არადა, არ მეშინოდა. მთის წვერზეც შემიდგამს ფეხი და არცთუ ცოტა მიფრენია ქვეყნიდან ქვეყანაში.

მეშინია, მაგრამ ხანდახან მაინც შევუდგები ხოლმე მთებისკენ მიმავალ გზას. არც ფრენაზე მითქვამს უარი. ხდება ასეც – შიშს ჯიბრში უდგები, ან ის უფრო მეტად გიყვარს, რაც ამ შიშის დაძლევას მოჰყვება.

პანდემია მხოლოდ კინოსა და ლიტერატურის ნაწილი მეგონა, გაზვიადებული წარმოდგენით მის შესაძლებლობაზე.

ახლა ვირუსი ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური ნაწილია.

ყოველი დღე სავსეა შიშით და მოლოდინით, კიდევ რამდენი ადამიანი დავკარგეთ.

გარდაცვლილების თვლაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა და ვგრძნობ, ნელ-ნელა ვეჩვევით.

ვეჩვევით ახლობელი ადამიანების გარდაცვალებას და შორიდან ნათქვამ სამძიმარს.

ვეჩვევით ონლაინ სამყაროში ცხოვრებას, დისტანცირებული სამყაროს მოქალაქეებად ყოფნას.

მაგრამ ყველაზე ძნელი მაინც „ნეტავი კიდევ რამდენის“ ყოველდღიური გადამოწმებაა.

რაოდენობა უკვე 50-ს უახლოვდება. საათში ორზე მეტი ადამიანი გვეცლება ხელიდან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენთან ყოველდღე ტერაქტია. ერთი განსხვავებით: აფეთქების ხმა არ ისმის. ჩუმად ვიხოცებით. საყვარელი ადამიანებისგან შორს.

ამ მძიმე დღეებზე, ამ დღეების გამოწვევებსა და ტკივილებზე ბევრი გვაქვს სასაუბრო, მაგრამ ჩემს მთავარ სათქმელს, ხმაურში რომ არ ჩაიკარგოს, აქვე გეტყვით:

შიშზე საუბრით დავიწყე. მაგრამ სიმაღლის შიში არაფერია იმ შიშთან შედარებით, ვინმეს ავად გახდომის მიზეზად არ ვიქცე, უნებურად არ მივუტანო სიკვდილი მას, ვისაც ვირუსთან ბრძოლის ძალა არ აღმოაჩნდება და ამიტომ ავიცერი. ავიცერი თითოეული ადამიანისთვის, ვისაც შეიძლება შევეხო, უწინარესად კი მათთვის, ვინც მიყვარს და ვისაც ვუყვარვარ.

თქვენც იმავეს გთხოვთ. დავძლიოთ ეს შიში და დავიჯეროთ, რომ სიცოცხლის გადარჩენა შეგვიძლია. მათი სიცოცხლისა, ვისაც უნდა ვასწავლოთ და ვისგანაც უნდა ვისწავლოთ.

## გამოცდილება


**გიტა თვალაბეიშვილი**

8 | კვლევითი უნარების განვითარება დაწყებით კლასებში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლა ხელს უწყობს სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთიანობის გაცნობიერებას, გარემომცველ სამყაროზე ზრუნვისა და ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვის მნიშვნელობის გააზრებას.

**თამთა დოლიძე**

13 | თვითშეფასება დაწყებით საფეხურზე

თვითშეფასება, როგორც წესი, ორი უმთავრესი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. იგი ეყრდნობა ხალხის წარმოდგენას ჩვენზე და ჩვენივე წარმოდგენას საკუთარ თავზე.

**ლელა კოტორაშვილი**

19 | ტექსტების მოშინაურება

ძველი ტექსტების გაცნობა ჰაერივით აუცილებელია, თუმცა ეს პროცესი ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს – ყოველ წამს შეიძლება ჩაწყდეს და თან გაიყოლოს ინტერესი, გულმოდგინება, პატივისცემა, ისტორიული მეხსიერება და მთავარი – სიტყვის სიყვარული.

**თემურ სუყაშვილი**

46 | თვითმართული სწავლა და მისი დანერგვა ქართულ სკოლაში

მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს, რა ისწავლა, რა გამოცდილება მიიღო, ამასთან, კონკრეტულად რომელი უნარი განივითარა და აღმოაჩინა საკუთარ თავში და ა.შ. სწორედ ამიტომ, თვითმართული სწავლის ქვაკუთხედია რეფლექსია და დაკვირვება საკუთარ თავზე.

## მოსაზრება


**მაია ჯალიაშვილი**

4 | საგაკვეთილო სივრცის ელემენტები

ცნობისმოყვარეობა ნებისმიერი ადამიანისთვის მთავარი ბიძგია შემეცნების გზებზე სასიარულოდ. მოსწავლეც უკეთესად სწავლობს, როდესაც მასწავლებელი გაკვეთილს ახლის შეცნობის მოლოდინით ავსებს და ამ გზით სასიამოვნო და ამაღელვებელ დაძაბულობას ქმნის.

**მაია ფირჩხაძე**

16 | ნიჭიერი მოსწავლეები და დიფერენცირებული სწავლების მიდგომები

ნიჭიერების განვითარებას თავისი ეტაპები აქვს. თუ ხელს შევუწყობთ მოსწავლეს, წინ წავა. სხვა შემთხვევაში ისიც გახდება დანარჩენებისგან არაფრით გამორჩეული, გარდა ერთისა – ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილო იქნება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ნიჭიერ მოსწავლეებთან მუშაობისას დიფერენცირებული მიდგომების სათანადო გამოყენება.

**ცირა ბარბაქაძე**

50 | ვინ არიან „ინდიგო ბავშვები“

ინდიგო თაობას „ქარხნული წესით“ ვერ აღზრდით, ძველი პედაგოგიკის წესებს ვერ უკარნახებთ, ვერ დაიმორჩილებთ. ეს არის თაობა, რომლისგანაც უნდა ისწავლონ მშობლებმა, მასწავლებლებმა... ეს არის თაობა „მზა ცოდნით“, პროგრესული და ევოლუციონირებული ცნობიერებით.

**27** ზვიად კვარაცხელია
ბეხვერია მამაო

**28** ანა იმედაშვილი
სიტყვების მუსიკასა და იმაზე, როგორ უნდა მიენდოს მასწავლებელი საკუთარ ინტუიციას

**29** ალექსანდრე ლორთქიფანიძე
რატომ ვთამაშობთ ჭადრაკს

**30** რუსუდან რუხაძე
ოდა უთქმელ სიყვარულს

## სასწავლო რესურსი


**ნინო ლომიძე**

**23** წერითი მეტყველების გაუმჯობესებისთვის

ეს არ არის სპეციფიკური ნიჭი, რომლითაც მხოლოდ რჩეულები არიან დაჯილდოებულნი. ნებისმიერს შეუძლია ისწავლოს ფიქრების წერილობით მოწესრიგება. წერითი მეტყველების გაუმჯობესება შესაძლებელია ვარჯიშით, მონდომებით, სისტემატური მიდგომით.

**თამარ მურუსიძე**

**26** მედიაწიგნიერება მათემატიკის გაკვეთილზე

მედიაწიგნიერ ადამიანს იოლად შეუძლია ინფორმაციის სამყაროში გზის გაკვლევა, სანდო წყაროს გადამოწმება და მისთვის საზიანო, ზედმეტი ინფორმაციისთვის თავის არიდება, ისევე როგორც ახალი ინფორმაციის შექმნა და გაცემა. მედიაწიგნიერების უნარები მოსწავლეს ყველა საგნობრივ ჯგუფში უნდა განუვითარდეს.

**ოქტაი ქაზუმოვი**

**41** „გოგოთურ და აფშინას“ ირგვლივ

რატომ არ მოკლა გოგოთურმა აფშინა? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ენერგია, შემართება იგულა. „შენც ჯანიანი ყოფილხარ, როგორაც წეღან გცადია“, - ეუბნება იგი აფშინას დაძმობილების შემდეგ. აფშინას მოკვლით გოგოთური მოსპობდა ამ ენერგიას და მამულისთვის უხმარს გახდიდა.


## განათლების ფსიქოლოგია


**ქეთევან ოსიაშვილი**

**37** დაუსრულებელი მოთხრობა როგორც საკორექციო მუშაობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

არ არსებობს ბავშვთან დაკავშირებული დაუძლეველი პრობლემა. მთავარია, სწორად დაიგეგმოს საკორექციო მუშაობა, ზუსტად განისაზღვროს ბავშვის ასაკი, ინტერესების, შესაძლებლობები და მუშაობის მეთოდები აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩეს.

**ქეთევან კობალაძე**

**53** სკოლა და განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვები

განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვებს უჭირთ კონკრეტული დავალების ჩარჩოებში მოქცევა, რადგან მათი ფიქრები ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება, რაც საშუალებას აძლევს პატარებს, ჩამოაყალიბონ ასოციაციური კავშირები ნებისმიერ თემაზე.

მაია ჯალიაშვილი

# საგაკვეთილო სივრცის ელემენტები

ცნობისმოყვარეობა ნებისმიერი ადამიანისთვის მთავარი ბიძგია შემეცნების გზებზე სასიარულოდ. მოსწავლეც უკეთესად სწავლობს, როდესაც მასწავლებელი გაკვეთილს ახლის შეცნობის მოლოდინით ავსებს და ამ გზით სასიამოვნო და ამაღელვებელ დაძაბულობას ქმნის.

პირად გამოცდილებას ბევრი რამ მოაქვს, მაგრამ გონიერება სხვათა სტრატეგიების გაცნობასა და გამოყენებასაც გულისხმობს, რაც ყველა პროფესიულ საქმიანობაში უმთავრესია.

**მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია „წარმატების კრიტერიუმების“ თავიდანვე განსაზღვრა. მასწავლებლების გამოკითხვამ დაადასტურა, რომ როცა ეს კრიტერიუმები ცნობილია, მოსწავლეთა მოტივაცია იზრდება. როცა მიზანი ნათელი, მკაფიო და კონკრეტულია, მათ ცოდნის შეძენისადმი ინტერესი უძლიერდებათ.**

გაკვეთილსაც ისევე სხვადასხვანაირად იწყებენ მასწავლებლები, როგორც თავიანთ დღეს. ყველას ინდივიდუალური „რიტუალი“ აქვს. ფსიქოლოგები საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას, ხატოვნად თუ ვიტყვით, დღის პროლოგის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. მათი აზრით, ადამიანმა დღის დაწყების ის ვარიანტი უნდა აირჩიოს, რომელსაც მეტი სიცოცხლის ხალისი და საკუთარი თავის რწმენა მოაქვს.

გაკვეთილსაც სჭირდება სიცოცხლე და ენერგია, შესაბამისად, შესავლის რიტმსა და ინტონაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისიც უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა, რომ საგაკვეთილო სივრცე და სწავლების პროცესი მრავალმნიშვნელოვანი ფენომენებია. მათი შინაარსისა თუ დიზაინის შექმნაში პედაგოგთან ერთად მოსწავლეებიც მონაწილეობენ. ამიტომ, თუ საკუთარი დილის დაწყების რაგვარობა მხოლოდ შენს ხელშია, გაკვეთილის დასაწყისის რეალიზებისას მარტო აღარ ხარ – სხვებზე ხარ დამოკიდებული. მაგრამ აქაც კაპიტანივით უნდა იგრძნოს თავი პედაგოგმა. მან ისე უნდა გასცეს „ბრძანება“, რომ „მეზღვაურებმა“, მოსწავლეებმა, დაუჯერონ და იფიქრონ, რომ ეს მათი არჩევანიცაა და მიენდონ, თამამად გაჰყვნენ. გაკვეთილი კი მაშინ იქნება მნიშვნელოვანი, საინტერესო და შემეცნების დაძაბულობით აღსავსე, თუ შორეულ ქვეყნებში თუ ზღვებზე მოგზაურობას დაემსგავსება, ახლის ნახვისა და შემეცნების, შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გამდიდრების საშუალებად იქცევა.

მრავალფეროვანი ენერგია ყოველგვარ საქმეს სჭირდება. მნიშვნელოვანია, გაკვეთილი თავიდანვე ძლიერად დაიმუხტოს იმგვარად, რომ არცერთი მოსწავლე არ გაუშვას უხილავი მიზიდულობის მაგნიტური ველიდან.

გრეჩენ ვიერსტრა (სანფრანცისკოელი პედაგოგი და სასწავლო პროგრამების ექსპერტი) სხვადასხვა მასწავლებლის გამოცდილებაზე დაყრდნობით გვთავაზობს ხუთ მნიშვნელოვან სტრატეგიას, რომელთა ვარიაციებით შეიძლება გაკვეთილის სხვადასხვანაირი დასაწყისის მოფიქრება, რომელთაგან ზოგი კარგად ნაცნობია, ზოგი - მივიწყებული და ამიტომ გახსენება თუ გააქტიურება სჭირდება. მაგალითად,

## 1. ვიდეოთი დაწყება

კარგი და საინტერესო ვიდეოს ყურება ყველას უყვარს, განსაკუთრებით – მოზარდებს. საგანგებოდ საგაკვეთილო თემისა და საკითხებისთვის შერჩეული ვიდეო შესანიშნავი საშუალებაა, რომ, ერთი მხრივ, კონკრეტული თემის მიმართ ინტერესი აღძრას, მეორე მხრივ კი ახალი იდეები გააჩინოს. მათემატიკის მასწავლებელმა შეიძლება ვიდეოთამაშის მიხედვით გაკეთებული კლიპითაც დაიწყოს, რომელშიც ავტომობილთა რბოლა იქნება ნაჩვენები. მოსწავლეთა ნაწილს ეს ნაცნობი და საყვარელი სანახაობა გონებას „გაუხურებს“ მათემატიკური კონცეფციების აღსაქმელად და შემოქმედებითად დამუხტავს, რათა ალგებრასა თუ გეომეტრიაში მიღებული ახალი

ცოდნის გამოყენებით საკუთარი კომპიუტერული ანიმაციებიც კი შექმნან. სხვადასხვა ვებპლატ-ფორმაზე ვიდეოების დიდი არჩევანია, ამიტომ შესაფერისი მასალის მოპოვება არცერთი საგნის მასწავლებელს არ გაუჭირდება.

## 2. რაიმე საგნის (ან საგნისა თუ მოვლენის ამსახველი ფოტოს) ჩვენება

მოსწავლეთა დაინტერესება თემასთან დაკავში-რებული საგნის ან მოვლენის უცნაური ფოტოს ჩვენებითაც შეიძლება. ეს განსაკუთრებით მნიშვ-ნელოვანია, როცა მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლეებმა შემოქმედებითად იაზროვნონ. მათ ხომ შთაგონება სჭირდებათ. მასწავლებელმა შეიძლება რამდენიმე საგანი ან ფოტო აჩვენოს და სთხოვოს მოსწავლეებს, დაადგინონ მათ შორის კავშირი ან ივარაუდონ ის, დასვან კითხვები. ამგვარი „თამაშით“ მოსწავლეები ასოციაციურ აზროვნებასაც მიეჩვევიან და ერთი შეხედვით ფარულ მსგავსებასაც აღმოაჩენენ. შეიძლება ისე-თი საგნების შემოტანაც, რომლებსაც ხელითაც შეეხებიან, მათ სუნს შეიგრძნობენ.

დაწყებითი კლასებისთვის კარგია საიდუმლო, „ჯადოსნური“ ყუთის შემოტანა და ვარაუდების გამოთქმა იმის თაობაზე, რა იმალება ამ ყუთში (ამ ხერხს ხშირად იყენებენ მასწავლებლები). ამგ-ვარად იძაბება მოსწავლეთა ყურადღება, ჩნდება მოლოდინი, გამოცნობის აზარტი სტიმულს მატებს ფიქრისთვის, ასეთი ცნობისმოყვარეობა კი კარგი სტარტია საიმისოდ, რომ სასწავლო თემა გაიშალოს და მოსწავლეებმა კონკრეტულ პრობლემებსა თუ ამოცანებზე იმსჯელონ.

## 3. შეკითხვით დაწყება

მასწავლებელმა გაკვეთილი შეიძლება დაიწყოს შეკითხვით, რომლის მეშვეობითაც გაარკვევს, რა იციან მოსწავლეებმა შესასწავლი თემის შესახებ. ნაირგვარი კითხვებიდან საგაკვეთილო დროისა და ვითარების შესაბამისი უნდა შეირჩეს. პედაგოგმა შეიძლება ერთი კითხვა დაუსვას მთელ კლასს და პასუხები დააწერინოს, მერე კი ხმამაღლა წააკითხოს ან შეაგროვოს დაწერილი და თვითონ წაიკითხოს ავტორის დასახელებით ან დაუსახელებლად (კითხვის შესაბამისად, კლასის ინტერესის გათვალისწინებით). მოლოდინისა თუ



**ცნობისმოყვარეობა ნებისმიერი ადამიანისთვის მთავარი ბიძგია შემეცნების გზებზე სასიარულოდ. მოსწავლეც უკეთესად სწავლობს, როდესაც მასწავლებელი გაკვეთილს ახლის შეცნობის მოლოდინით ავსებს და ამ გზით სასიამოვნო და ამაღელვებელ დაძაბულობას ქმნის.**

გამოცნობის დაძაბულობის შესაქმნელად მასწავლებელმა შეიძლება სხვა ხერხიც გამოიყენოს და თავიდანვე სთხოვოს მოსწავლეებს, პასუხები ხელმოუწერლად გადასცენ, ერთი კითხვა ჯგუფებში დაამუშავებინოს ან რამდენიმე კითხვა სხვადასხვა ჯგუფს მისცეს. ერთი სიტყვით, მრავალი ნაცადი გზა არსებობს კითხვების დასმისა.

## 4. მოძრაობით დაწყება

მოძრაობით დაწყება შეიძლება როგორც უმცროს, ისე უფროს კლასებში. ეს ფიზკულტურის გაკვეთილს რომ არ დაემსგავსოს, მოძრაობა უბრალოდ სხეულთან კი არ იყოს დაკავშირებული, არამედ „კონცეპტუალური“ გახდეს და, რაც მთავარია, მასში გონებაც ჩაერთოს, კითხვა უნდა დაუსვათ. კითხვა, რომელიც მოძრაობით პასუხს მოითხოვს. ეს სახალისო იქნება მოსწავლეებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ დაღლილობას, მოწყენილობას თუ სხვა ხელისშემშლელ ფაქტორს ხალისით მოიშორებენ და გაკვეთილის დასაწყებად უნებურად მშვენიერ განწყობილებას შექმნიან. შეიძლება, მოსწავლეები ორიოდე წუთს ფეხზე წამოვაყენოთ და რამე ისეთი წავაკითხოთ, რაც გაკვეთილთან იქნება დაკავშირებული, სახელმძღვანელოდან თუ წინასწარ დარიგებული ფურცლებიდან.

## 5. შეცდომით დაწყება

მასწავლებელმა გაკვეთილი შეიძლება ამგვარადაც დაიწყოს: მოსწავლეებს რაიმე მცდარი მსჯელობისა თუ ინფორმაციის შეფასება სთხოვოს. ისინი იმასაც მიხვდებიან, რომ შეცდომების დაშვება, მცდარი გზით წასვლა შემეცნების გზაზე ბუნებრივია, მთავარი ამ შეცდომების აღმოჩენა, ანალიზი და გამოსწორებაა.

გაკვეთილის დაწყებისას აღძრული ცნობისმოყვარეობა რომ არ განელდეს და საერთოდ არ გაქრეს, მასწავლებელს დიდი ძალისხმევა და შემოქმედებითი აზროვნება სჭირდება. საზოგადოდ, ადამიანი ცდილობს, გარკვეული იყოს იმაში, რასაც სწავლობს – რისთვის სჭირდება, რა შედეგი ექნება, როგორ გამოიყენებს თეორიულად თუ პრაქტიკულად. მოსწავლეებისთვისაც მნიშვნელოვანია ნებისმიერი სასწავლო ამოცანის ამგვარი გაცნობიერება. მასწავლებელი მას ამაში უნდა დაეხმაროს. კლასში სხვადასხვა ინტერესებისა და ბუნებრივი მონაცემების მოსწავლეები არიან, ამიტომ მასწავლებელმა სხვადასხვა დროს ყველას ინტერესი უნდა გაითვალისწინოს. ამერიკელი პედაგოგი მარინე ფრეიბრანი ასეთ ხატოვან გამოცდილებას სთავაზობს კოლეგებს: „წარმოიდგინეთ, რომ სხდებით თვითმფრინავში, რომლის პილოტმა არ იცის, საით უნდა აიღოს გეზი. თუ ის მხოლოდ დისპეტჩერის შეტყობინებებს დაელოდება ან მხოლოდ მისი რჩევებით იხელმძღვანელებს, გაუჭირდება. მოსწავლეებიც ამგვარად დაფრინავენ „საკუთარი თვითმფრინავებით“ და თუ „ფრენის“ კოორდინატები არ ეცოდინებათ, გაკვეთილი მათთვის უინტერესო და გაუგებარი იქნება, ამიტომ მას უპასუხისმგებლოდ, ინდიფერენტულად მოეკიდებიან. თუ ეცოდინებათ, საით „მიფრინავენ“, თუ საკუთარ თავზე აიღებენ პილოტის პასუხისმგებლობას, ფრენაც მოლოდინით აღსავსე იქნება“.

მოსწავლეებისთვის ასევე მნიშვნელოვანია „წარმატების კრიტერიუმების“ თავიდანვე განსაზღვრა. მასწავლებლების გამოკითხვამ დაადასტურა, რომ როცა ეს კრიტერიუმები ცნობილია, მოსწავლეთა მოტივაცია იზრდება. როცა მიზანი ნათელი, მკაფიო და კონკრეტულია, მათ ცოდნის შეძენისადმი ინტერესი უძლიერდებათ. მიზნის გაცნობიერება ნათელყოფს შედეგებსაც, რომელთა სარგებელიც ცხადი იქნება მოსწავლეთათვის.

მასწავლებელი ყოველი გაკვეთილის დაწყებისას სწორედ ამგვარი მოტივაციის გაღვიძებაზე უნდა ხარჯავდეს დიდ ენერგიას. მოსწავლეს სტიმულს აძლევს იმის ცოდნა, რომ მიზანი თავად აირჩია და არა გარედან მოახვიეს თავს. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობასთან ერთად საკუთარი თავის გამოცდის, საკუთარ თავთანვე მეტოქეობის განცდაც ჩნდება, ერთგვარი ღირსების დაცვის აუცილებლობაც იღვიძებს. საკუთარი თავის ღალატი ხომ ყველაზე მწარეა. სწავლის პროცესისადმი ამგვარი დამოკიდებულება მოსწავლეების დაბალ თვითშეფასებასაც აამაღლებს.

ცნობილია, რომ წარმატების კრიტერიუმები არ გულისხმობს მხოლოდ რაიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ან თუნდაც წერილობითი დავალების დასრულებას. მან შინაგანი ძალების მობილიზება უნდა მოახდინოს და მოსწავლეს გაუჩინოს რწმენა: „მე ამის გაკეთება შემიძლია“. ეს კრიტერიუმები ყოველი მოსწავლისთვის შეიძლება სხვადასხვა იყოს. ყველას არ შეუძლია ერთი და იმავე დავალების თანაბრად

შესრულება, ამიტომ კარგი იქნება, მასწავლებელმა ყოველ მოსწავლეს წარმატების საკუთარი კრიტერიუმები განასაზღვრინოს. მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რის შესწავლას რამდენ ხანში შეძლებს. მასწავლებელმა შეიძლება დაფაზეც ჩამოწეროს ეს ყველაფერი და მოსწავლეს ფიქრის საშუალება მისცეს, ან წინასწარ მომზადებულ ფურცელზე ჩამოწეროს ერთ ან რამდენიმე გაკვეთილზე შესასწავლი თემები, განსახილველი საკითხები, შესასრულებელი დავალებები. მოსწავლე თავისთვის გამოარჩევს ზოგიერთს და ეს იქნება მისი პირადი წარმატების კრიტერიუმების განმსაზღვრელი. ამგვარად, მოსწავლე კარგად გააცნობიერებს თავის არჩევანს და შინაგანი მოტივაციაც აუმაღლდება.

მასწავლებელთა გამოცდილების გათვალისწინებით, მოსწავლემ წარმატების განმსაზღვრელ კრიტერიუმს შეიძლება ამგვარი ჩანაწერის ფორმა მისცეს:

1. მე შემიძლია რუკაზე ქვეყნების მოძებნა;
2. მე შემიძლია მცენარეთა სახეობების გარჩევა;
3. მე შემიძლია თვითმფრინავის მოდელის შექმნა და სხვ.

ყველა გაკვეთილს სჭირდება არა მხოლოდ ნებისყოფა, რომლის დიდხანს შენარჩუნებაც ძნელია, არამედ იმედის აღმძვრელი ემოციები. მასწავლებელი უნდა დააკვირდეს კლასს და განსაზღვროს, რომელი აქტივობა თუ დავალება მეტად გამოაცოცხლებს მოსწავლეებს. სხვადასხვა ტიპის თამაშების მოფიქრება ხშირად საუკეთესო გამოსავალია. თამაში ისე უნდა შეირჩეს, რომ უბრალოდ კი არ გაართოს ბავშვები, არამედ ასწავლოს კიდეც. ერთი და იგივე თამაშიც ბეზრდებათ მოსწავლეებს, ამიტომ ახლის მოფიქრება და შეთავაზებაა საჭირო. ფსიქოლოგთა გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ემოცია ადამიანური ფსიქიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ინტელექტუალურ დაძაბულობასთან ერთად განცდათა გამა გაკვეთილზე ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ნებისმიერ სხვა სიტუაციაში.

მოსწავლეთა გახალისება შეიძლება სხვადასხვა ხერხით – როგორც უკვე ვთქვით, ილუსტრაციების, ვიდეოების, ფილმების ჩვენებით, შესასწავლი და გადასაწყვეტი ამოცანების თანამედროვეობასთან დაკავშირებით, მოსწავლეების საყვარელი ტექნოლოგიების (ინტერნეტი, მობილური, პლანშეტი და სხვ.) გამოყენებით, დავალებათა შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მულტიმედიური ტექნიკის ჩართვით.

მრავალფეროვან ემოციას აღძრავს წარმოსახვა, ამიტომ კარგი იქნება ყოველ გაკვეთილზე რაიმეს (ზღაპრის, გამოცანა-ამბის, რეალური ცხოვრების ეპიზოდის) მოყოლა, გამოჩენილ ადამიანთა მახვილგონივრული გამონათქვამების მოხმობა, მათზე დაფიქრება და სხვ., კრიტიკული დამოკიდებულების წახალისება კითხვებით (რატომ მოსწონთ, რაც მოსწონთ ან რა მიაჩნიათ მიუღებლად? რის გამოწვევა შეუძლია ამას? რითაა მნიშვნელოვანი?). ამ დროს აქტიურდება:

- **შემოქმედებითი უნარი** – ავითარებს ფანტაზიას, სტიმულს აძლევს ახალი იდეების შექმნას;
- **რეფლექსია** – მოსწავლეს აიძულებს, დაფიქრდეს, გაიაზროს შესწავლილი მასალა;
- **კონცენტრაცია** – ყურადღება კონცენტრირდება მთავარზე, გონება ემზადება დაძაბული ინტელექტუალური პროცესისთვის;
- **კრიტიკული აზროვნება** – გონება იძულებულია, ყურადღება მიაქციოს უჩვეულო საგნებსა და მოვლენებს, შეარჩიოს, შეაფასოს, ამისთვის კი საჭიროა გულმოდგინება და გულისხმიერება.

მოსწავლეები მასწავლებელთანაც ამყარებენ ემოციურ კავშირს. ამიტომაა, რომ ზოგი მასწავლებელი მეტად მოსწონთ, ზოგი – ნაკლებად. ხანდახან ეს კავშირი განსაზღვრავს იმასაც, როგორ სწავლობს მოსწავლე, ბეჯითობს თუ ზარმაცობს. ყოველი მასწავლებელი თავისი ინდივიდუალური მონაცემების მიხედვით ქმნის ელექტრონულ თუ რეალურ საკლასო ოთახში თავის ატმოსფეროს, რომელსაც ყოველი მოსწავლე თავისებურად შეიგრძნობს. მოსწავლე მაშინ გრძნობს თავს კომფორტულად, როცა დარწმუნებულია, რომ დაცულია პიროვნულად (არავინ დასცინებს თუ შეურაცხყოფს), გაბედულია (თამამად გამოთქვამს თვალსაზრისს), არ ეშინია შეცდომის (ამის გამო არავინ დასჯის), დაეხმარებიან, თუ დავალება მარტო ვერ გაართმევს თავს. ასე რომ, მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივ ძალისხმევაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება საგაკვეთილო დრო-სივრცის ელემენტები.



გიტა თვალაბეიშვილი

# კვლევითი უნარების განვითარება დაწყებით კლასებში

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლებისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე, კვლევა-ძიების უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გამოყენებაზე. ეს არის როგორც თანამედროვე პედაგოგიკის, ისე ქართული კლასიკური დიდაქტიკის მოთხოვნა.**

ბოლო წლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს მეცნიერებები მოსწავლეს იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით ამდიდრებს, რომლებიც მას საშუალებას მისცემს, არ ჩამორჩეს კაცობრიობის სწრაფ პროგრესს, გამოიყენოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ჩამოყალიბდეს აქტიურ შემმეცნებლად. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ასეთი ადამიანი შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას როგორც პროფესიული წარმატებისთვის, ისე საზოგადოების სასიკეთოდაც, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლა ხელს უწყობს სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთიანობის გაცნობიერებას, გარემომცველ სამყაროზე ზრუნვისა და ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვის მნიშვნელობის გააზრებას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლებისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე, კვლევა-ძიების უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გამოყენებაზე. ეს არის როგორც თანამედროვე პედაგოგიკის, ისე ქართული კლასიკური დიდაქტიკის მოთხოვნა.

იაკობ გოგებაშვილის თანახმად, ბუნების შესწავლის უმთავრესი მიზანია, „გაუხსნას ყმაწვილს თანაგრძნობა ბუნებისა, შეაყვაროს მისი გამოძიება და მისი განხილვა“.

არა მგონია, ამ შედეგებს ბუნებისმეტყველების ისეთი სწავლებით ვაღწევდეთ, როგორიცაა სახელმძღვანელოებში არსებული ინფორმაციის მშრალად მიწოდება, რაც მას უინტერესოს და არაფრისმომცემს ხდის მოსწავლისთვის. ხშირია იმ მასწავლებლების უკმაყოფილებაც, რომლებიც ზედა საფეხურებზე ასწავლიან საბუნებისმეტყველო საგნებს. ისინი მიიჩნევენ, რომ დაწყებითი კლასებიდან ბავშვები ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გარეშე გადადიან. ამას ადასტურებს TIMSS-ის საერთაშორისო კვლევაც, რომელიც 2007, 2011, 2015, 2019 წლებში ჩატარდა საქართველოში.

2018-2024 წლებისთვის გაიწერა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, სადაც I-VI კლასის სტანდარტში ეს მიმართულება ამგვარადაა ფორმულირებული:

„დაწყებით საფეხურზე მეცნიერული კვლევა-ძიების მიმართულების ფარგლებში მოსწავლე ეცნობა მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძვლებს. ის სწავლობს კვლევითი კითხვის დასმას, ვარაუდის გამოთქმას, მარტივი პრაქტიკული აქტივობების დაგეგმვას, ჩატარებას, დაკვირვებას, აღწერას, მოდელების შექმნა-გამოყენებას, მიღებული შედეგების ორგანიზებას, გაანალიზებას, დასკვნის გამოტანას, საკუთარ ვარაუდთან შედარებას და ნამუშევრის თანაკლასელებისთვის წარდგენას. ამ ყველაფერს მოსწავლე თავდაპირველად მასწავლებლის დახმარებით აკეთებს, ხოლო საფეხურის ბოლოს, ანუ მეექვსე კლასის დასრულებისას, მისი დამოუკიდებლად მუშაობის ხარისხი იზრდება და ცდილობს, კვლევა დაგეგმოს და ჩაატაროს მასწავლებლის აქტიური დახმარების გარეშე.

მიმართულება **მეცნიერული კვლევა-ძიება** გამჭოლია და ეფუძნება დანარჩენი სამი მიმართულების შინაარსს“.

საკითხავია, როგორ განვუვითაროთ მესამე-მეოთხეკლასელ

მოსწავლეებს ეს საბაზისო უნარ-ჩვევები, რათა მათ ადვილად აჩვენონ სტანდარტით განსაზღვრული დონე.

მაგალითისთვის განვიხილოთ ჰაერის ტემპერატურისა და ამინდის ცვალებადობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი და კვლევა-ძიების როლი ამ პროცესში.

**გაკვეთილების ციკლის მიზანი შეიძლება იყოს შემდეგი:**

მოსწავლემ სითბო და სიცივე დააკავშიროს ჰაერის ტემპერატურასთან, ჩაატაროს დაკვირვება, რომლის დროსაც აწარმოებს გაზომვებს თერმომეტრის საშუალებით, მონაცემებს შეიტანს ცხრილში, დააკავშირებს დღის მონაკვეთებთან, ამინდის ცვალებადობასთან და გამოიტანს შესაბამის დასკვნებს, ანგარიშს კი მოამზადებს და წარმოადგენს ხუთდღიანი ამინდის პროგნოზის სახით „ამინდის პროგნოზის გამომცხადებლის“ ამპლუაში.

## აქტივობა 1. მოლოდინების განსაზღვრა-გამოწვევა

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა ინტერესის აღძვრა, არსებული ცოდნის ახალ ცოდნასთან დაკავშირება

მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს სთხოვს, პანტომიმით, სხეულის ენით წარმოადგინოს, როგორ გრძნობს თავს, როცა: ა) ძალიან ცხელა; ბ) ძალიან ცივა. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ თანაკლასელის მიერ წარმოდგენილი მდგომარეობა.

ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- ივარაუდეთ, რამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ეს მდგომარეობა?
- როდის სცხელა ან როდის სცივა ადამიანს?
- გამათბობლის ჩართვის შემდეგ ოთახში სითბო დაისადგურებს თუ არა?
- რა თბება ასეთ დროს, რაც ოთახში დათბობას იწვევს?
- ახლა გაიხსენეთ, რას აკეთებს ხოლმე დედა, როცა სურდო გაქვთ, გაციებთ.
- გაიხსენეთ, რას ამბობს ხოლმე დედა, როცა სიცხე გაქვთ.
- რა ხელსაწყოს იყენებს დედა სხეულის ტემპერატურის გასაზომად?
- ვის შეუძლია, ადამიანის სხეულის ტემპერატურა დაუკავშიროს ჰაერის ტემპერატურას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნა?
- შეიძლება თუ არა, ადამიანის, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ტემპერატურა ერთი და იმავე ხელსაწყოთი გაიზომოს? რატომ?

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ჰაერის, სხეულისა და წყლის ტემპერატურის საზომ თერმომეტრებს და სთხოვს, დაკვირვების შედეგად არა მარტო დაუკავშირონ ისინი მათ სახელწოდებებთან, არამედ ახსნან ამ კლასიფიკაციის საფუძველი.

## აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო – ცდების ჩატარება

**აქტივობის მიზანი:** კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება, მოტივაციის ამაღლება

**კლასი დაიყოფა 4-5-მოსწავლიან ჯგუფებად.**

მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებს აუცილებლად გააცანით თერმომეტრის მოხმარებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები.

**I ჯგუფი:** ჯგუფის წევრებმა უნდა გაზომონ ჰაერის ტემპერატურა ოთახში, შეადარონ ის გარეთ მოთავსებული თერმომეტრის მონაცემს და გამოიტანონ დასკვნა, რომ ოთახში ტემპერატურა უფრო მაღალია, ვიდრე გარეთ, შესაბამისად, ოთახში უფრო თბილა, ვიდრე გარეთ.

**დაკვირვების ფორმა I ჯგუფისთვის**

| ტემპერატურა | |
|---|---|
| ოთახში | .....°C |
| ღია ცის ქვეშ (გარეთ) | .....°C |

**რჩევა:** უსაფრთხოების მიზნით უმჯობესია, თერმომეტრი ფანჯრის შუშას გარეთა მხრიდან მიამაგროთ წებოვანი ლენტით, რომ ბავშვებმა ფანჯრის გაღების გარეშე შეძლონ მაჩვენებლების ნახვა და ჩანიშვნა.

**III ჯგუფი:** ჯგუფის ორმა წევრმა უნდა გაიზომოს სხეულის ტემპერატურა და მონაცემები ფურცელზე ჩაინიშნოს. მიუთითონ, რას გულისხმობს თერმომეტრზე 37 გრადუსის წითელი ნიშნული, დაადგინონ, აქვთ თუ არა მომატებული ტემპერატურა.

**დაკვირვების ფორმა III ჯგუფისთვის**

| ტემპერატურა | |
|---|---|
| I ბავშვი | .....°C |
| II ბავშვი | .....°C |

**რჩევა:** აუცილებლად იქონიეთ თან სამედიცინო სპირტი და ბამბა, რათა აჩვენოთ ბავშვებს, რომ მნიშვნელოვანია, ხმარების შემდეგ თერმომეტრი ჰიგიენურად დამუშავდეს.

**II ჯგუფი:** ჯგუფის წევრებმა ჭიქებში უნდა ჩაასხან ცივი და თბილი წყალი. გაზომონ ჯერ ცივი წყლის ტემპერატურა, მერე კი თბილი წყლისა. ჩაინიშნონ მონაცემები და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნა, რომ თბილი წყლის ტემპერატურა უფრო მაღალია, რაც სვეტის სიმაღლით დგინდება.

**დაკვირვების ფორმა II ჯგუფისთვის**

| ტემპერატურა | |
|---|---|
| ცივი წყლის | ..... |
| თბილი წყლის | ..... |

**რჩევა:** კარგი იქნება, წინასწარ მოვამზადოთ ყინულის კუბები წყალში ჩასაყრელად და თბილი წყალი, რათა მოსწავლეებმა თვალნათლივ დაინახონ სვეტის სიმაღლეებს შორის მკვეთრი განსხვავება.

მონაცემების შესატანად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცდის სქემა.

| ცდის ეტაპები | შევსება | +, - |
|---|---|---|
| კვლევის მიზნის განსაზღვრა | | |
| საჭირო რესურსი | | |
| კვლევის შედეგის ვარაუდი (ჰიპოთეზა) | | |
| კვლევის მიმდინარეობის აღწერა | | |
| მონაცემთა ანალიზი | | |
| დასკვნა | | |
| + ჯამური რაოდენობა | | |

სამუშაოს დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს ცდების შედეგებისა და დასკვნების წარდგენა.

**რჩევა:** რადგან მოსწავლეები ამგვარი მუშაობის საწყის ეტაპზე იმყოფებიან, მასწავლებელს შეუძლია, მნიშვნელოვანი ფასილიტაცია გაუწიოს თითოეულ ჯგუფს.

## აქტივობა 3.

შესწავლილი მასალის განმტკიცებისთვის მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს მუშაობას სხვადასხვა ტიპის აქტივობის ბარათებზე, რომლებიც უხვად მოიძებნება ინტერნეტსივრცეში.





**მოცემულ თერმომეტრზე აჩვენეთ და დაწერეთ**
**15 გრადუსი სითბო; 10 გრადუსი ყინვა.**
**ასევე აჩვენეთ და წაიკითხეთ: +20°C; -5°C.**







## აქტივობა 4.
## გაკვეთილის შეფასება

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა თვითშეფასების განვითარება, პრობლემების აღმოჩენა/აღმოფხვრა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, თერმომეტრზე აჩვენონ, თუ როგორ გაიგეს გაკვეთილის თემა. საუკეთესო შემთხვევაში – +5, მცირე გაუგებრობით – 0, საკითხის გაურკვევლობის შემთხვევაში – -5.



მოსწავლეები მთელი საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში ფასდებიან განმავითარებელი კომენტარით, ხოლო აქტივობების დასასრულს მასწავლებელი შეფასებისთვის იყენებს შემდეგ რუბრიკას:

**შეფასება**

**დავალების პირობა:** „წარმოიდგინე, რომ ერთ-ერთ პრესტიჟულ არხზე ამინდის პროგნოზის წამყვანი ხარ. ჰაერის ტემპერატურასა და ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად ცხრილის, საპრეზენტაციო მასალის ან ვიდეოს სახით წარმოადგინე ამინდისა და ტემპერატურის ხუთდღიანი ცვალებადობა შესაბამისი დასკვნით“.

- ხუთი დღის განმავლობაში დილით, შუადღისას და საღამოს (სასურველია, ერთსა და იმავე დროს) შეამოწმე მაჩვენებელი და შეიტანე ცხრილში.
- დააკვირდი ამ პერიოდში მზის მდებარეობას და ამინდს, შექმენი რაიმე სიმბოლო მათ აღსანიშნავად და მიუთითე ტემპერატურის მაჩვენებლის გასწვრივ.

| კრიტერიუმები | ბრწყინვალეა! | კარგია! | საჭიროებს გაუმჯობესებას! | უჭირს შესრულება! |
|---|---|---|---|---|
| სითბოსა და სიცივის დაკავშირება ჰაერის ტემპერატურასთან | ჰაერის გრადუსულ ზომას ზუსტად აკავშირებს სითბოსა და სიცივესთან | უმეტეს შემთხვევაში ჰაერის გრადუსულ ზომას ზუსტად აკავშირებს სითბოსა და სიცივესთან | არც თუ ისე ხშირ შემთხვევაში ჰაერის გრადუსულ ზომას ზუსტად აკავშირებს სითბოსა და სიცივესთან | უჭირს ჰაერის გრადუსული ზომის დაკავშირება სითბოსა და სიცივესთან |
| დისკუსია | აქტიურად მონაწილეობს კითხვა-პასუხში და აქვს ლოგიკური დასკვნები | მეტწილად მონაწილეობს კითხვა-პასუხში და აქვს კითხვის შესაბამისი დასკვნებიც | პასიურად მონაწილეობს კითხვა-პასუხში და მცირე დახმარებით ახერხებს შესაბამისი დასკვნების გაკეთებას | თავს იკავებს კითხვა-პასუხში მონაწილეობის მიღებისგან, ან ვერ სცემს შესაბამის პასუხებს |
| ცდის ჩატარება, მონაცემების შეგროვება / ჩანიშვნა, რომლის დროსაც აწარმოებს გაზომვებს თერმომეტრის საშუალებით | აქტიურ მონაწილეობას იღებს ცდის ჩატარების პროცესში და ინიშნავს ყველა მონაცემს | ხშირად მონაწილეობს ცდის ჩატარების პროცესში და ინიშნავს მონაცემებს | პასიურად მონაწილეობს ცდის ჩატარების პროცესში და სრულყოფილად არ ინიშნავს მონაცემებს | თითქმის არ მონაწილეობს ცდის ჩატარების პროცესში და უჭირს მონაცემების შეგროვება |
| დაკვირვების შედეგად დასკვნების გაკეთება | დასკვნები ლოგიკურია და შეესაბამება ცდის შედეგებს | დასკვნები უმეტესად ლოგიკურია და ნაწილობრივ შეესაბამება ცდის შედეგებს | დასკვნები ნაწილობრივ ლოგიკურია და ზოგჯერ შეესაბამება ცდის შედეგებს | დასკვნები არ შეესაბამება ცდის შედეგებს |

## აქტივობა 5. საკითხის უკეთ გაგებისა და განმტკიცების მიზნით მოსწავლეებს შეგვიძლია მივცეთ კომპლექსური ტიპის დავალებაც

**აქტივობის მიზანი:** დამოუკიდებლად მუშაობის, პასუხისმგებლობისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება, პრეზენტაციის უნარის განვითარების ხელშეწყობა.

**როგორ ვაწარმოოთ დაკვირვება?**

- ოჯახის წევრებს სთხოვეთ, თერმომეტრი, რომლითაც იზომება ჰაერის ტემპერატურა, გარედან მიამაგრონ ფანჯრის შუშაზე, ისევე როგორც მოვიქეცით საკლასო ოთახში. გაითვალისწინეთ, რომ ჰაერის ტემპერატურა ჩრდილში იზომება.

**დაკვირვების ფორმა:**

| დრო (სთ) | დილით – 09:00 სთ | ამინდი | შუადღისას – 14:00 სთ | ამინდი | ღამით – 22:00 სთ | ამინდი |
|---|---|---|---|---|---|---|
| დღე 1 | | | | | | |
| დღე 2 | | | | | | |
| დღე 3 | | | | | | |
| დღე 4 | | | | | | |
| დღე 5 | | | | | | |

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლა ხელს უწყობს სამყაროში მიმდინარე პროცესების ერთიანობის გაცნობიერებას, გარემომცველ სამყაროზე ზრუნვისა და ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვის მნიშვნელობის გააზრებას.**

უყურე **ამინდის პროგნოზს** და პრეზენტაციისას გამოიყენე საკვანძო სიტყვები: დილით, შუადღისას, ღამით, გრადუსი სითბო, გრადუსი ყინვა, წვიმა, ელჭექი, მზე, სუსტი ქარი, მცირე მოღრუბლულობა, – და ასე შემდეგ.

**უპასუხე კითხვებს:**

- როდის იყო ჰაერის ტემპერატურა ყველაზე მაღალი? ყველაზე დაბალი?
- შეიცვალა თუ არა ჰაერის ტემპერატურა ამინდის შესაბამისად?
- რამდენი გრადუსია სხვაობა ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ ტემპერატურებს შორის?
- როგორ ფიქრობ, რამ გამოიწვია ეს სხვაობა?
- როგორ იცვლება ჰაერის ტემპერატურა დღე-ღამის განმავლობაში?

**გაკვეთილი ხელს უწყობს იმგვარი შედეგების მიღწევას, როგორიცაა:**

ბუნ.III.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

- სვამს შესაბამის კითხვებს და იყენებს კვლევის სხვადასხვა ხერხს მათზე პასუხის მისაღებად;
- ატარებს მარტივ კვლევით/პრაქტიკულ აქტივობას უსაფრთხოების წესების დაცვით;
- ატარებს გაზომვებს თერმომეტრის საშუალებით, იყენებს სტანდარტულ ერთეულებს;
- წარუდგენს მიღებულ შედეგებსა და დასკვნებს თანაკლასელებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირად, წერილობით).

ბუნ.III.7. მოსწავლემ უნდა შეძლოს ამინდის განმსაზღვრელი ბუნებრივი მოვლენების დახასიათება.

- განასხვავებს და აღწერს ტემპერატურას როგორც ამინდის კომპონენტს;
- აკვირდება და აღრიცხავს ჰაერის ტემპერატურას გარკვეული პერიოდის (მაგ., ხუთი დღის) განმავლობაში, მონაცემებს წარმოადგენს ცხრილის სახით და აანალიზებს მიღებულ შედეგს.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური), 2018-2024
2. ბლიაძე მ., ახვლედიანი რ., ბუნება, მესამე კლასი, მოსწავლის წიგნი, ნაწილი II, თბილისი, 2018
3. ბლიაძე მ., ახვლედიანი რ., ბუნება, მესამე კლასი, მასწავლებლის წიგნი, თბილისი, 2018

თამთა დოლიძე

# თვითშეფასება დაწყებით საფეხურზე

ვინ ვარ მე? – ეს კითხვა თან სდევს ადამიანის ცხოვრებას. მასზე პასუხის ძებნას ბავშვობიდან ვიწყებთ, თუმცა ამ უზარმაზარ სამყაროში საკუთარი ადგილისა და დანიშნულების პოვნა არც ისე ადვილია. მე-კონცეფცია ნიშნავს პიროვნების აზრებსა და შეხედულებებს საკუთარ თავზე. დადებითი და უარყოფითი შეხედულებების მიხედვით კი თვითშეფასება ან დაბალია, ან მაღალი.

თვითშეფასება, როგორც წესი, ორი უმთავრესი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. იგი ეყრდნობა ხალხის წარმოდგენას ჩვენზე და ჩვენივე წარმოდგენას საკუთარ თავზე. ხშირად გარემოცვის დამოკიდებულება დომინირებს და ქმნის ყველაფერში ხელმოცარულ ინდივიდს, რომელიც საზოგადოების სარკეში დანახულ საკუთარ თავს უბრძოლველად იღებს და არც კი ცდილობს უკეთესი მომავლისკენ ნაბიჯის გადადგმას. თუმცა წარუმატებლობის მიზეზად საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენაც შეიძლება იქცეს.

ობიექტური თვითშეფასების ჩამოყალიბება განაპირობებს ადამიანის თვითეფექტურობას, რაც მუდმივ პიროვნულ ზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს. თვითეფექტურ პიროვნებას სჯერა საკუთარი შესაძლებლობების, თუმცა თავი ყოვლისშემძლე არ ჰგონია. მას არ ეშინია შეცდომის და პირველივე დაბრკოლებასთან ფარ-ხმალს არ ყრის. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ზემოაღნიშნულისგან სრულიად საპირისპირო დამოკიდებულება დომინირებს. მარცხის გამო დაცინვა/დატუქსვა ან იმედგაცრუების ღიად გამოხატვა აღზრდა-გაკაჟების ერთგვარ იდეოლოგიურ ფენომენს წარმოადგენს. არადა, თვითეფექტურ ადამიანს მუდმივი გამარჯვების მოლოდინი კი არ ამოძრავებს, საკუთარ კომპეტენციაში ობიექტურადაა დარწმუნებული და იცის, რომ შეცდომაზე დაკვირვება და გამოსავლის ძიება ახალი გამოცდილების/ცოდნის შეძენის საკმაოდ ეფექტური მეთოდია.

დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები შეცდომის შიშით უმოქმედოდ ყოფნას არჩევენ ან პირველივე დაბრკოლებასთან მოტივაციას კარგავენ. ყველაზე დიდ დემოტივატორს წარმოადგენს ე.წ. მკვლელი სიტყვები, რითაც ავტორიტეტული პირები (ოჯახი, სკოლა, საცხოვრებელი უბანი) გამუდმებით დომინირებენ ინდივიდზე და ისიც საკუთარ თავს საზოგადოების პოზიციაზე დაყრდნობით აფასებს. გარდა ამისა, მოზარდები ხშირად ხდებიან არასწორი, გაზვიადებული შეფასების მსხვერპლი. ადრე თუ გვიან პირველ მარცხს აუცილებლად იგემებენ და საზოგადოების მაღალი მოლოდინისგან განსხვავებული საკუთარი თავის დანახვა დიდ დარტყმას მიაყენებს მათ თვითშეფასებას.

ზემოაღნიშნული პრობლემები ხშირად ჩნდება სწავლის პროცესშიც. დაბალი თვითშეფასების მქონე მოსწავლისთვის ყოველი ახალი საკითხის დამუშავება დაუძლეველ დაბრკოლებად აღიქმება. შეიძლება პირიქითაც მოხდეს და დასახული მიზნ(ებ)ის მიღწევისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით

**თვითშეფასება, როგორც წესი, ორი უმთავრესი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. იგი ეყრდნობა ხალხის წარმოდგენას ჩვენზე და ჩვენივე წარმოდგენას საკუთარ თავზე.**

**ობიექტური თვითშეფასების ჩამოყალიბება განაპირობებს ადამიანის თვითეფექტურობას, რაც მუდმივ პიროვნულ ზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს. თვითეფექტურ პიროვნებას სჯერა საკუთარი შესაძლებლობების, თუმცა თავი ყოვლისშემძლე არ ჰგონია.**

შეიარაღებული მოზარდი მაინც სწავლის/განვითარების დაბალი მოტივაციით გამოირჩეოდეს. „დამნაშავე“ ამ შემთხვევაშიც არაადეკვატური თვითშეფასებაა. შესაძლოა, ოდესღაც მისი მოსაზრება/ინიციატივა დაიწუნეს ან არაფრად ჩააგდეს, რამაც მას საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენა შეურყია.

როგორც ვხედავთ, არაადეკვატური წარმოდგენები (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი) აფერხებს პიროვნული ზრდის პროცესს და შედეგად ვიღებთ გადაჭარბებულ თავდაჯერებას ან შესაძლებლობის შეუსაბამო უმოქმედობას. არაადეკვატური შეფასების სასწორის ერთ პინას ამძიმებს კითხვა: „რაში მჭირდება სწავლა, მე ხომ ისედაც ყველაფერი ვიცი?!“ მეორეს კი – „მაინც არ გამომივა და რატომ უნდა ვცადო?!“

დაბალი თვითშეფასების მქონე მოსწავლეების ამოცნობა არ არის რთული. ისინი იშვიათად იჩენენ ინტერესს საგაკვეთილო პროცესის მიმართ, უჩივიან გადაღლას, თავს არიდებენ ურთიერთობებს და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ამყარებენ კომუნიკაციას. მათი ემოციური მდგომარეობა მყიფეა, ხშირად შფოთავენ და პატარა ბარიერსაც კი უდიდეს პრობლემად აღიქვამენ. ზოგიერთი მათგანი საკუთარი თავს ზემოაღნიშნული „მკვლელი სიტყვებით“ აფასებს („მე ხომ სულელი/მოუხერხებელი ვარ“, „არასოდეს გამომივა“ და ა.შ.). ამიტომაც ვსაუბრობთ სისტემატური, ეფექტური უკუკავშირის აუცილებლობაზე, შეცდომებისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე, ემოციების მართვის უნარის განვითარებაზე და ა.შ. ადრე თუ გვიან მოსწავლეები შეძლებენ მიმდინარე სასწავლო პროცესებისა და საკუთარი ქმედებების ობიექტურად შეფასებას, რაც, თავის მხრივ, დადებით გავლენას მოახდენს მათ თვითეფექტურობაზე.

მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მივცეთ ემოციების ვერბალიზაციის საშუალება. ეს მათ შფოთვას შეამცირებს და თვითშეფასებასაც აღარ მიადგება ზიანი. ემოციების გამოხატვასთან დაკავშირებული არაერთი აქტივობა არსებობს. მოსწავლეები მიუსადაგებენ თავიანთ განწყობას სასწავლო მასალას, მიეცემათ საკუთარი ემოციის კორექტულად გამოხატვის უფლება/საშუალება და სხვ. ალბათ გახსოვთ, როგორ ებრძვიან ჰოგვარტსში ერთგვარ შიშის ქამელეონს, ჯადოსნურ არსება ბოგარტს (ჯ. როულინგი, „ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე“). მსგავსი ექსპერიმენტი ერთხელ მეც ჩავატარე დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთ კლასში, სადაც ზემოაღნიშნული ავტორის წიგნებს კარგად იცნობდნენ. ჯერ ამ წიგნის



მიხედვით გადაღებული ფილმიდან ბოგარტთან ბრძოლის ეპიზოდს ვუყურეთ. მერე დავხატეთ ისეთი არსებები/მოვლენები, რომლებიც შიშს ან ბრაზს იწვევენ ჩვენში, ბოლოს კი ნამუშევრებს სასაცილო დეტალები დავამატეთ. ჩემი აზრით, ამ აქტივობამ უფრო დაგვაახლოვა, რადგან ერთად და თან სიცილით დავამარცხეთ თუნდაც ერთი უსიამოვნო ფიქრი.

რაც შეეხება წარუმატებლობის შიშს, ჩემი აზრით, ჩვენს აღსაზრდელებს პატარა მიღწევებით სიხარული უნდა ვასწავლოთ. ზედმიწევნით ფრთხილად მივუთითოთ შეცდომაზე, ვეცადოთ, გაკვეთილზევე გავასწორებინოთ და დადებითი კომენტარით განვამტკიცოთ მათი შრომა.

მოსწავლეთა დამოკიდებულების შეცვლის მიზნით კლასებში ხშირად ვაწყობ „შეცდომებზე ნადირობას“, მერე კი ერთმანეთს ვეხმარებით ხარვეზების გამოსწორებაში. ამ გზით ტექსტის კორექტირების საწყის უნარებსაც ვეუფლებით და შეცდომის შიშიც ნელ-ნელა ქრება.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს უჭირთ შესასრულებელი სამუშაოს სწორად დაგეგმვა: დროის განაწილება, ვრცელი ინსტრუქციის საფეხურებად დაშლა, დავალების სრულად და თანმიმდევრულად შესრულება... საკუთარ ნაწერში ხარვეზების ხშირად აღმოჩენა კი მოსწავლეთა თვითრწმენას უქმნის საფრთხეს. ამიტომ დრო არ უნდა დაგვენანოს და, შეცდომების მიმართ დამოკიდებულების შეცვლასთან ერთად, მოზარდებს ინსტრუქციის სწორად წაკითხვა-გაგებაც ვასწავლოთ.

ჩემს მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ ერთ-ერთი აქტივობა, რომელსაც ხარვეზების აღმოჩენისას ვასრულებინებ: ვაძლევ გამართული დავალების ნიმუშს, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოაყალიბონ ინსტრუქცია. ზემოაღნიშნული დავალების ერთგვარი ვარიაციაა მზა ინსტრუქციისა და არასრული დავალების ნიმუშის შედარება. მოსწავლეები ინსტრუქციას პატარა ნაბიჯებად შლიან და დავალებაში გამორჩენილ დეტალს ეძებენ. დაკვირვების უნარს ასევე კარგად წვრთნის არეული ტექსტის თანმიმდევრულად დალაგება, თხზულების გეგმის შედგენა, საყვარელი კერძების რეცეპტებისა და საყიდლების სიის ჩამოწერა, საკლასო გამოკითხვა (კითხვარების შედგენა, შედეგების შეჯამება) და სხვ.

სასკოლო პრაქტიკისთვის სიახლეს აღარ წარმოადგენს თვითშეფასების ტესტები, რომლებსაც ფსიქოლოგები და საგნის პედაგოგები ადგენენ. მათი დახმარებით განსაზღვრავენ ინდივიდის თვითშეფასების დონეს და სასწავლო პროცესის მიმართ დამოკიდებულებას. პორტფოლიო, რეფლექსია, ყოველდღიური თუ ყოველკვირეული ჩანაწერები/სამუშაო დღიური, შესასვლელი/გასასვლელი ბილეთები, თვითშეფასებისა და გაკვეთილის შეფასების რუბრიკები... ეს იმ ინსტრუმენტების მცირე ჩამონათვალია, რომელთა დახმარებითაც მოსწავლეები განივითარებენ სასწავლო პროცესებისა და საკუთარი მიღწევების ობიექტურად შეფასების უნარებს, რასაც ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბება მოჰყვება.

### ნიმუში #1

**გაკვეთილის თემა** .....

**მოსწავლე** .....

**თარიღი** .....

გაკვეთილზე მე ვმუშაობდი ..... აქტიურად / პასიურად.

ჩემი მუშაობით გაკვეთილზე მე ..... კმაყოფილი ვარ / უკმაყოფილო ვარ.

გაკვეთილი მე მომეჩვენა ..... მოკლე / გრძელი.

გაკვეთილზე მე ..... დავიღალე / არ დავღლილვარ.

ჩემი განწყობა გახდა ..... უკეთესი / უარესი.

გაკვეთილის მასალა ჩემთვის იყო ..... გასაგები / გაუგებარი.

საშინაო დავალება ..... საინტერესო / მოსაწყენი; ადვილი / რთული.

სამწუხაროდ, მასწავლებლებს ხშირად დრო არ რჩებათ შეფასების რუბრიკების გამოსაყენებლად (მათი შევსება უმეტესად გაკვეთილის დასასრულს იგეგმება, ამ აქტივობისთვის გამოყოფილი წუთები კი სამუშაო პროცესს ეწირება). ხანდახან გვგონია, რომ ყოველდღიური ზეპირსიტყვიერი უკუკავშირი დამატებითი ინსტრუმენტების ჩართვას აღარ ითხოვს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო პროცესისა და მასში საკუთარი ჩართულობის შესაფასებლად საჭიროა ამ საკითხებზე დაფიქრება, რასაც ზემოაღნიშნული რუბრიკები (იხ. ნიმუშები) მნიშვნელოვნად უწყობს ხელს და მოსწავლეთა დამოკიდებულება თუ მოლოდინები უფრო კონკრეტული და გაზომვადი ხდება.

მაია ფირჩხაძე

# ნიჭიერი მოსწავლეები და დიფერენციირებული სწავლების მიდგომები

**განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მათთვის საინტერესო შესასწავლი საკითხის შინაარსი. ამ დროს გამოვლენილი კრეატიულობა (ჰიპოთეზები, იდეები...) გამოხატავს მათ მზაობას პრობლემის გადასაჭრელად.**

დიფერენცირებული სწავლება თანამედროვე სკოლის აქტუალური გამოწვევაა. ხშირად ის აღიქმება როგორც სწავლის უნარის პრობლემის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის საშუალება. მაგრამ საკლასო ოთახებში გვხვდებიან ნიჭიერი მოსწავლეებიც, რომლებსაც თუ მკვეთრად გამოხატული უნარები არ ეტყობათ, მეტწილად ვერც ამჩნევენ მასწავლებლები. შესაბამისად, არც მათი უნარების ხელშეწყობა ხდება და დროთა განმავლობაში მათაც ვეღარაფრით გამოვარჩევთ სხვებისაგან. უმეტესად ეს იმის გამოა, რომ მასწავლებლებს არ ჰყოფნით კომპეტენცია, სწორად შეაფასონ მოსწავლის შესაძლებლობები ან ვერ ხვდებიან, რა გაკეთონ, როცა ასეთი მოსწავლე აღმოჩნდება მათ წინაშე.

**უპირველეს ყოვლისა,** უნდა გვახსოვდეს, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მათთვის საინტერესო შესასწავლი საკითხის შინაარსი. ამ დროს გამოვლენილი კრეატიულობა (ჰიპოთეზები, იდეები...) გამოხატავს მათ მზაობას პრობლემის გადასაჭრელად.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების კრეატიულობის მაჩვენებელია:

- იდეების რაოდენობა;
- მოქნილობა და მრავალფეროვანი წინადადებები;
- ორიგინალურობა;
- საკითხების დეტალიზება.

**მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს, რამდენად აქვს საქმე „განსაკუთრებულობასთან“,** თუმცა ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მისგან დიდ ყურადღებასა და დაკვირვებას მოითხოვს.

მაინც რა ნიშნით უნდა მივხვდეთ, რომ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

1. **უპირველეს ყოვლისა,** გასათვალისწინებელია მოსწავლის განსაკუთრებით მაღალი აკადემიური მოსწრება.
2. **მომდევნო ეტაპია** დიაგნოსტირება – მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების დადგენა.
3. **მესამე ეტაპზე ფსიქოლოგი ერთვება და გამოყოფს, მოსწავლის ნიჭიერება ზოგადია** (როგორია მისი საერთო, გონებრივი, ინტელექტუალური უნარები, რომლებიც ვლინდება მრავალმხრივად, მათ შორის - სწავლაშიც) **თუ სპეციალური** (ნიჭიერება ვლინდება ცალკეულ დისციპლინებში, მაგალითად, ენის შესწავლაში, მათემატიკაში და ა.შ. ესაა ნიჭიერება აკადემიური, მხატვრული და შემოქმედებითი მიმართულებით).

„ზოგად“ და „სპეციალურ“ ნიჭიერებას აქვს ასაკობრივი ასპექტიც. ადრეული ასაკის ბავშვებთან მათ უწოდებენ ხან „ზოგადო“, ხან „უნივერსალურ“ შესაძლებლობებს. ასაკთან ერთად ის ხდება უფრო მეტად „უნივერსალური“, „ზოგადი“ შესაძლებლობები კი ძირითადად სპეციფიკური ხასიათისაა და კონკრეტული საგნობრივი მიმართულებით „გადამისამართდება“. ამიტომ სანამ „ზეები გაიყოფოდეს“, ფსიქოლოგების რჩევით, ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეს აღვიქვამდეთ როგორც „უნივერსალური“ შესაძლებლობების მქონე ინდივიდს.

ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენისა და მათთან მუშაობის თვალსაზრისით ძალიან საინტერესო შედეგს იძლევა პროფილური დიფერენციაცია. გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა სახის ტრენინგები, რომლებიც მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და განვითარებას უწყობს ხელს. არის ისეთი სავარჯიშოებიც,

რომლებიც გაკვეთილზე აქტიურად შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა და ამით გაამრავალფეროვნოს სასწავლო პროცესი, ხელი შეუწყოს როგორც ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენას, ისე მთელი კლასის გააქტიურებასაც.

მთავარია, როგორც კი კითხვა გაგვიჩნდება, სწრაფად მოვახდინოთ დიაგნოსტირება. ამ მიზნით:

1. ვთხოვოთ მოსწავლეს, შეავსოს ტესტი „სასკოლო მოტივაცია“, რომელიც მიმართულია ინდივიდის დომინანტი მოტივატორების წარმოჩენისკენ;
2. კრეატიულობის დიაგნოსტიკისთვის ჩავრთოთ ტორენსის ტესტიც – „დაასრულე ნახატი“: http://en.wikipedia.org/wiki/Torrance_Tests_of_Creative_Thinking განსაკუთრებულად შემოქმედებითი ბავშვების შემთხვევაში – https://psycabi.net/testy/577-test-kreativnosti-torrensa-diagnostika-tvorcheskogo-myshleniya)
3. შევავსებინოთ რეივენის ინტელექტის ტესტი (არავერბალური მიმართულებით) ან ე.წ. რეივენის პროგრესული მატრიცები (https://www.123test.com/raven-s-progressive-matrices-test/).

**მეორე საკითხია,** როგორ მოვიქცეთ, როდესაც აღმოვაჩენთ, რომ მოსწავლე განსაკუთრებულად ნიჭიერია, როგორ შევუწყოთ ხელი.

არსებობს სავარჯიშოები, რომლებიდანაც, სასურველია, ერთი მაინც შევასრულებინოთ რეგულარულად ნიჭიერ მოსწავლეს, იდეალურ შემთხვევაში – ყოველდღიურად.

**სავარჯიშო N1 – „და მაინც, მათ ბევრი აქვთ საერთო“:** ავიღოთ ორი არსებითი სახელი, რომლებიც სხვადასხვა სფეროს უკავშირდება. გადავშალოთ ლექსიკონი და ნებისმიერი გვერდიდან ნებისმიერი სიტყვა ავირჩიოთ. მოსწავლემ ამ ორ სიტყვას შორის უნდა იპოვოს მსგავსება, მოიგონოს, შეთხზას რაიმე დაუჯერებელი ისტორია, სიუჟეტი, რომლითაც ისინი ერთმანეთს დაუკავშირდება.

**მაგალითად:** „რა საერთო შეიძლება ჰქონდეს „თვალს“ და „ონკანს?“

ნიჭიერი მოსწავლის სავარაუდო პასუხები:

- ორივეში არის ასო-ბგერა „ა“.
- თვალით შეგვიძლია დავინახოთ ონკანი, ხოლო ონკანით – მოვიბანოთ თვალი.
- ორივედან მოდის წყალი.
- ორივე შეიძლება დაზიანდეს.

**ან:** „თვალის მკურნალობა ძვირი ღირს, ხოლო ონკანის შემკეთებელს, გუშინ რომ გვესტუმრა, თვალი დაზიანებული ჰქონდა...“

**სავარჯიშო N2 – „შეშლილი გენეტიკოსი“:** საჭიროა ქაღალდი და ფანქარი. როგორ ხატავს მოსწავლე, არ არის მნიშვნელოვანი, მთავარია ინტერესი. მან უნდა დახატოს ფანტასტიკური

**ნიჭიერების განვითარებას თავისი ეტაპები აქვს. თუ ხელს შევუწყობთ მოსწავლეს, წინ წავა. სხვა შემთხვევაში ისიც გახდება დანარჩენებისგან არაფრით გამორჩეული, გარდა ერთისა – ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილო იქნება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ნიჭიერ მოსწავლეებთან მუშაობისას დიფერენცირებული მიდგომების სათანადო გამოყენება.**

ცხოველი, რომელიც რაღაც ნიშნებით რეალურ ცხოველებს ჰგავს. ასეთი სამუშაოს დროს აუცილებლად გამოჩნდება, რამდენად მდიდარია მოსწავლის ფანტაზია.

სავარჯიშო N3 – „შეშლილი არქიტექტორი“: ვთხოვოთ მოსწავლეს სახლის დახატვა. მანამდე ავარჩევინოთ ნებისმიერი 10 სიტყვა. დავალება: „თქვენ ხართ არქიტექტორი, რომელიც თანახმაა, დიდი თანხა გადაიხადოს სახლის ესკიზში, რომელშიც უნდა ჩანდეს... (და შემდეგ მოსდევს ის 10 სიტყვა). მაგალითად,

- „სინათლე“ – ანუ სახლი უნდა იყოს „ნათელი“;
- „სპილო“ – სახლი უნდა იყოს მონოლითური და ჰქონდეს მოწესრიგებული წყალსადენი სისტემა;
- „აისბერგი“ – სახლი უნდა იყოს ზაფხულში გრილი და ზამთარში თბილი და ა.შ.

სავარჯიშო N4 – „ათს მივუმატოთ ათი“: მოსწავლემ შეარჩიოს ნებისმიერი 10 არსებითი სახელი/ცნება, დახაზოს ორსვეტიანი ცხრილი და **ერთ სვეტში** ჩამოწეროს ცნების შესაბამისი 10 ზედსართავი სახელი/განსაზღვრება. **მაგალითად,** „ქუდი: დიდი; პატარა; ლურჯი; მწვანე; თბილი; მოდური; ლამაზი... და ა.შ.“, **მეორე სვეტში** კი – ის განსაზღვრებები, რომელებიც მას არ შეესაბამება. თუმცა ბოლომდე საპირისპირო ცნებების მოძებნა ადვილი არ არის.

სავარჯიშო N5 – „და ამას ეწოდება...“: სავარჯიშო შეიძლება დღის განმავლობაში რამდენჯერმე გავამეორებინოთ. დავალება: „როგორც კი რაიმე თქვენს ყურადღებას მიიპყრობს, წარმოიდგინეთ, რომ მას უცქერით როგორც სურათს. შემდეგ მოიფიქრეთ სახელწოდება – დაასათაურეთ სურათი“. მაგალითად, „ნაცნობი“ (წარმოიდგინეთ, როგორ ზის თქვენი ნაცნობი თავის სამუშაო მაგიდასთან), „ხედი ჩემი საკლასო ოთახის ფანჯრიდან“ (როდესაც ცუდ გუნებაზე ხარ) და სხვ.

არსებობს ისეთი სავარჯიშოებიც, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ნიჭიერი (აქტიური/პასიური) მოსწავლეების გამოვლენას, ისე მთელი კლასის გააქტიურებასაც. მასწავლებლის მოვალეობაა, ორგანიზება გაუწიოს მათ საქმიანობას. მაგალითად, შესაძლებელია ამ ტიპის სავარჯიშოების გამოყენება:

- „დაინახე და დაიმახსოვრე“: ა) მოსწავლეები შეხედავენ საგანს და აღწერენ, რაც დაამახსოვრდათ; ბ) შემდეგ კიდევ ერთხელ შეათვალიერებენ და იპოვიან იმ თავისებურებებს, რომლებიც გამორჩათ და არ დაამახსოვრდათ; გ) ბოლოს, ჯერ ერთიანობაში ახასიათებენ და აღწერენ საგანს, მერე კი მის დეტალებზე გაამახვილებენ ყურადღებას. პარალელურად პასუხობენ მასწავლებლის კითხვას: „რას გაგონებს საგანი ამ ეტაპზე?“
- „აბა, მიპოვე“ (ეს სავარჯიშო გრძელდება რამდენიმე წუთი და ყოველ „შეჩერებაზე“ პასუხის დრო ნელ-ნელა მცირდება):

ა) პირველი ნახევარი წუთის განმავლობაში მოსწავლეებმა უნდა იპოვონ საკლასო ოთახში ის ნივთები, რომლებიც კონკრეტულ ასო-ბგერაზე, მაგალითად, „კ“-ზე იწყება (ვთქვათ, „კომპიუტერი“);

ბ) შემდეგ შებრუნდნენ კედლისკენ, „ჩართონ“ ვიზუალური მეხსიერება, აღქმითი პროცესები და დაახასიათონ აღნიშნული საგანი;

გ) შემდეგ ხელახლა შეხედონ მოცემულ საგანს, ისევ შებრუნდნენ კედლისკენ და შეეცადონ, შეავსონ ინფორმაცია იმ დეტალებით, რომლებიც გამორჩათ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნიჭიერების განვითარებას თავისი ეტაპები აქვს. თუ ხელს შევუწყობთ მოსწავლეს, წინ წავა. სხვა შემთხვევაში ისიც გახდება დანარჩენებისგან არაფრით გამორჩეული, გარდა ერთისა - ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილო იქნება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ნიჭიერ მოსწავლეებთან მუშაობისას დიფერენცირებული მიდგომების სათანადო გამოყენება, რაც მთელი კლასის ეფექტიან მუშაობასაც შეუწყობს ხელს.

ლელა კოტორაშვილი

# ტექსტების მოშინაურება

სახელმძღვანელო სავსეა რთული ტექსტებით. XXI საუკუნეა, ციფრული ტექნიკის ეპოქა. ბავშვების თითები სწრაფად დასრიალებენ ეკრანებზე. ირგვლივ ათასი გასართობია. გაწაფული კითხვა უჭირთ. შენ, ქართულის მასწავლებელმა, მცირე დროში ათასი რამ უნდა მოასწრო.

„ჩუგლუგი“, „ტაგანი“, „ჟამთააღმწერელი“, „დეკა“, „ბუერა“, „ჩადუნიანი“... – დღეს ვინღა იყენებს ამ სიტყვებს? ვფიქრობ, ძველი ტექსტების გაცნობა ჰაერივით აუცილებელია, თუმცა ეს პროცესი ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს – ყოველ წამს შეიძლება ჩაწყდეს და თან გაიყოლოს ინტერესი, გულმოდგინება, პატივისცემა, ისტორიული მეხსიერება და მთავარი - სიტყვის სიყვარული.

მე და ჩემს მეექვსეკლასელებს ერთი სემესტრის განმავლობაში დაგვიგროვდა მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მკაფიო მიზნით გამოვიყენე – ტექსტების მოსაშინაურებლად. აქტივობების აღწერილობას დროდადრო სოციალურ ქსელში ვაქვეყნებდი. გადავწყვიტე, მათთვის ერთ სტატიაში მომეყარა თავი და ამგვარად გამეზიარებინა თქვენთვის.

პირველ რიგში, რეალობას თვალს ვუსწორებ – ასაკის თავისებურებებისა და ზოგადი სოციალური ფონის გათვალისწინებით, მოტივაციის უქონლობას ჩვეულებრივ ამბად მივიჩნევ და მომართული ვარ მათი მოწყენილობისა და უინტერესობის დასამარცხებლად.

როგორც წესი, რამდენიმე მოსწავლე ყველა საგანს თითქმის ერთნაირი ინტერესით სწავლობს. მათ შორის არის ჩემი 11 წლის გოგონაც, რომლის მასწავლებელი ვარ. მას, პერფექციონიზმის წყალობით, ყველაფრის დაზუთხვა შესანიშნავად გამოსდის, თუმცა არის კი ეს საკმარისი?! ჩემი დაკვირვებით, თუ გულით არ შეიყვარებ იმას, რასაც სწავლობ, გონება მალევე ათავისუფლებს ადგილს სხვა ტექსტისთვის. რა უნდა ქნას კლასის უმრავლესობამ, ბავშვებმა, რომლებსაც წაკითხვაც კი ეზარებათ? როგორც ვხედავთ, პრობლემა მწვავეა და მის მოსაგვარებლად დროული ჩარევაა საჭირო.

## ძვირფასი ტექნოლოგიები

პანდემიის გამო სასწავლო პროცესში აუცილებელი გახდა რამდენიმე პლატფორმის ჩართვა. ჩემს გოგონას აქამდე არასდროს ჰქონია ფეისბუკი, მესენჯერი. დისტანციურმა სწავლებამ სოციალური ქსელის შექმნის საჭიროება დაგვანახა. ვფიქრობ, ხისტი აკრძალვა სწორი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელის გამოყენებისას დროის ლიმიტის დაცვა მოზარდებს ნამდვილად უჭირთ. შექმნეს კლასის ჩათი და მეც დამამატეს. თვალს ვადევნებდი მათ მიმოწერას და გული მწყდებოდა, რომ თუკი საშინაო დავალების წერისას გრამატიკული შეცდომების რაოდენობა მინიმალური იყო, ონლაინმიმოწერისას პირისა და სასვენ ნიშნებს უმოწყალოდ უგულებელყოფდნენ. ერთი რამ კი ცხადი იყო – ჰაერივით სჭირდებოდათ ემოციების გაზიარება.

ამასობაში ფარნავაზის გაცნობის დროც დადგა. XI საუკუნიდან ლეონტი მროველი გვეხმიანებოდა: „ესე ფარნავაზი იყო კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი“. კლასის ჩათში კი მოფახფახებული ფრაზები მიმოქრიან,

**ძველი ტექსტების გაცნობა ჰაერივით აუცილებელია, თუმცა ეს პროცესი ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს – ყოველ წამს შეიძლება ჩაწყდეს და თან გაიყოლოს ინტერესი, გულმოდგინება, პატივისცემა, ისტორიული მეხსიერება და მთავარი – სიტყვის სიყვარული.**

**ვფიქრობ, არასდროს დაავიწყდებათ ფარნავაზი, ცოტნე დადიანი, ჟამთააღმწერელი, მონღოლი დამპყრობლები, ვაჟას ოჯახი და ფშავის მოლაპარაკე ბუნება. მე კი მადლიერი ვარ, ჩემთვისაც რომ უფრო ახლობელი გახადეს ისტორიული თუ ლიტერატურული პერსონაჟები.**

მაგალითად, ისეთი, როგორიც არის – „ქართულში რა გვაქ დავალება?“

## ფარნავაზის მესენჯერი

ფარნავაზის შესახებ ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“ მოგვითხრობს. ლეგენდარული მეფის ისტორია განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზღაპრული ჩანართებით. სიზმარს ვგულისხმობ: სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივები ჭაბუკს წელზე შემოერტყმება და მინდვრად გაიყვანს. ფარნავაზი დაბლა ჩამოსულ მზეს ცვარს მოხოცავს და სახეზე იცხებს. საყვარელი ეპიზოდის გარდა, ტექსტი სავსეა ისტორიული თუ ლეგენდარული ფაქტებით, პირთა სახელებით.

ვფიქრობდი, რა გზა გამომეძებნა 11-12 წლის გოგო-ბიჭებისთვის ინტერესის გასაღვივებლად. ფარნავაზის მესენჯერის იდეაც მაშინ დამებადა. სოციალური მახასიათებლების გათვალისწინებით შევქმენი მარტივი სქემა და შევარჩიე რამდენიმე პერსონაჟი.

თამაშის წესი მარტივი იყო: თითო თაბახის ფურცელი წყვილებად დაყოფილ კლასს დავურიგე. პერსონაჟები გაინაწილეს და მიმოწერა გააჩაღეს. ზოგი აზონი იყო, ზოგი – ქუჯი, ზოგიც – ფარნავაზი ან მისი დედა და და.

**ინსტრუქცია ასეთი იყო:**

- **წარმოიდგინე, რომ ფარნავაზ მეფეს აქვს მესენჯერი და დედას სწერს თავისი უცნაური სიზმრის შესახებ. მოიფიქრე, რას უპასუხებდა დედა. გამოიყენე სათანადო ემოციის გამომხატველი ღიმილაკი.**
- **წარმოიდგინე, რომ ფარნავაზს აქვს მესენჯერი და განძის აღმოჩენის შესახებ თავის დას სწერს. მოიფიქრე, რას უპასუხებდა და.**
- **წარმოიდგინე, რომ ფარნავაზს აქვს მესენჯერი და ეგრისის ერისთავ ქუჯის დახმარებას სთხოვს. მოიფიქრე, რას უპასუხებდა ქუჯი.**

ფარნავაზი

დედა

სქემის შედგენისას გასათვალისწინებელია დრო და მოსწავლეთა შესაძლებლობები.

შემიძლია თამამად გითხრათ, რომ „ფარნავაზის მესენჯერი“ დღემდე დაუვიწყარ გაკვეთილად დარჩა მათ მეხსიერებაში, ჩემი საქაღალდე კი საგულდაგულოდ ინახავს ფარნავაზისა და მისი გარემოცვის „მიმოწერას“.

## გამოძერწილი სიტყვები

საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები: რა არის ჩემი მიზანი? ბევრი ფიქრისა და დიდი დაკვირვების შემდეგ მე მაქვს მკაფიო პასუხი: სახლში დაბრუნებამდე ყველა ბავშვის გააქტიურება უნდა მოვახერხო. ჩანაფიქრის შესასრულებლად ყველაზე ნაყოფიერი კეთებით სწავლებაა. იმ დროს, როცა ჯგუფური მუშაობისგან თავს ვიკავებთ, კეთებით სწავლებისას თითოეული მოსწავლის ჩართვა მაინც შესაძლებელია. ყველას ნამუშევარმა საბოლოო პროდუქტის სახით შეიძლება თავი მოიყაროს კოლაჟზე, დიორამაზე ან საგამოფენო თაროზე.

ამგვარად გავაცოცხლეთ პლასტილინით ფარნავაზის ეპოქის სიტყვები: „ჩუგლუგი“, „სანელსაცხებლე“, „ბეჭედი“, „სამაჯური“ თუ „სამკაული“.

შემაჯამებელი ტესტის ერთ-ერთი საკითხი იყო: „დაასახელეთ სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ და თქვენი პასუხი დაასაბუთეთ“. უმეტესობამ „ჩუგლუგი“, რკინის კომბალი გამოარჩია და კლასის გამაერთიანებელი სიტყვა უწოდა.

## კლასში ჟამთააღმწერელია

აკაკის ბრჭყვიალა წებოვანი ქაღალდისგან გამოჭრილი ულვაშები მივაწებეთ. მელანში ძველებურ კალამს აწებს და ქაღალდზე ჭრიალით გამოჰყავს საუკუნეების წინ დაწერილი სიტყვები: **„განდგომილება ვგონეთ თქვენ ქართველთა**

| | |
|---|---|
| ფარნავაზი | |
| დედა | |
| ჩემი კომენტარი ამ დავალების შესახებ | |
| | |

**და აქ ვინათგან ჰყავ სათნოება კეთილი, ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ, და შენდა მონდობილ ვართ“.**

ყველა მას უყურებს. იცინიან. ერთი სული აქვთ, გაიგონ, როგორ გაგრძელდება გაკვეთილი. სანამ აკაკის ხელნაწერს მელანი შეაშრება, ჩვენ როლური თამაშისთვის ვემზადებით.

## დეტალები – მოსასხამი დიდებულებისთვის და ფარ-ხმალი

მწვანე მოსასხამი და ჩემი პატარა ბიჭის ფარ-ხმალი კოხტასთავის შეთქმულთათვის ჩავიფიქრე. ამგვარი დეტალები ცნობისმოყვარეობას აღვივებს და მერე რთული ტექსტის გაგებაც იოლდება.

## როლური თამაში

სანამ როლურ თამაშს შევუდგებოდით, დაფაზე ჩამოვწერე კოხტასთავის შეთქმულთა სახელები: „კუპრი შოთა“, „ვარამ გაგელი“, „ეგარსლანი“, „ყვარყვარე“, „თორღაი“... რიტმული მუსიკა ჩავრთე და ყველა ავმღერდით. სიმღერის ტექსტად პერსონაჟთა სახელებს ვამბობდით. მანამდე პერსონაჟები სათითაოდ დახატეს და გამოჭრეს. მართალია, კუპრი შოთა ანიმეს გმირს უფრო ჰგავდა, ვიდრე XIII საუკუნის ქართველს, მაგრამ ესეც კი საკმარისი აღმოჩნდა მის დასამახსოვრებლად.

როლების განაწილებისას მწვანე მოსასხამი და ფარ-ხმალი ცოტნე დადიანს შეხვდა, ბიჭს, რომელსაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, ტექსტი ვერაფრით წავაკითხე. ვუამბეთ, რას წერდა ჟამთააღმწერელი და ამის შემდეგ ხალისით ჩაება თამაშში.

ბიჩუსა და ანგურგის როლები გოგონებს ერგოთ. გამოჭრილი ულვაშები მიიმაგრეს, ხმა გაიმკაცრეს და ასე წაასხეს ტყვეები ანისში, ჩორმაღან ნოინთან, რომლის როლს მარიამი ასრულებდა.

კლასის დამრიგებელი, ნინო მასწავლებელი, კლასში იმ დროს შემოვიდა, როდესაც მუხლებზე დაჩოქილი ქართველი ტყვეები თაკარა მზის ქვეშ იტანჯებოდნენ. არასდროს დაგვავიწყდება მისი გაოცებული სახე.

## ვაჟას ბიოგრაფია და ჩრდილების თეატრი

მშრალ ფაქტებს, რომლებიც მოზარდებისთვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს, ჩრდილების თეატრით ახალი სიცოცხლე ვაჩუქეთ. მეორე შემაჯამებელიც ჩრდილების თეატრს დავუკავშირეთ – წინასწარ გამოჭრილი პერსონაჟები უნდა აელაპარაკებინათ. უმეტესობამ ვაჟა-ფშაველა და მისი დედ-მამა, გულქანი და პავლე, პირველ პირში ასაუბრა.

„მე გულქანი ვარ, ლუკას დედა. ყმაწვილქალობისას ხილვა მქონდა, ციდან ორი ოქროსფერი ჯაჭვი ჩამოსულიყო და ზედ ორი ცეცხლის ბალღები ადიჩამოდიოდნენ, თან ტკბილ ხმაზე გალობდნენ“.

გულქანის მონათხრობს კულა გლდანელის ხმა ცვლიდა, რომელიც გვიამბობდა, როგორ გამართა ჭიდაობა თიანეთში ვაჟას პეტერბურგში გასამგზავრებელი თანხის მოსაგროვებლად.



ამ ამბიდან რამდენიმე კვირის შემდეგ თამარ გეგეშიძეს შევხვდით დისტანციურად. დაჩემ თამარს ჰკითხა, როგორი კაცია ვაჟა-ფშაველაო. მას ჩრდილების თეატრში პერსონაჟი არ გაუცოცხლებია, თუმცა, როგორც ჩანს, ოთხდღიანი პრეზენტაციების მოსმენისას მკაფიოდ დაამახსოვრდა ვაჟა-ფშაველა და მის შესახებ მეტის გაგების სურვილიც გაუჩნდა.

## მინი-დიორამები

ვაჟა-ფშაველას ენა თანამედროვე ბავშვებისთვის რთული გასაგებია. ჩემი სიყვარული და ხმამაღალი კითხვა ტექსტის მოსაშინაურებლად საკმარისი არ არის. მგონია, რომ მოთხრობების – „იასა“ და „მთის წყაროს“ – სამყაროში გადაბიჯებაში მინი-დიორამა დაგვეხმარა. რატომ მინი-დიორამა? იმიტომ, რომ უფრო მოხერხებულია, დრო და რესურსიც ნაკლები სჭირდება. მოზრდილი ყუთების ნაცვლად ასანთის კოლოფები გამოვიყენეთ. მინი-დიორამა რომ არა, ყურადღების მიღმა დარჩებოდათ ჩადუნიანი, ლოდებს შორის მორაკრაკე წყარო, ქედანი, ბუერა, იის ფოთლებზე დაცემული ქედნის სისხლის წვეთები.

## თანამედროვე მდიდარი მამაკაციდან ტარიელამდე

საღეჭი რეზინის მარკები, რომლებზეც მანქანებია გამოსახული, უცხო მოყმის გასაცნობად გამოვიყენე. დამეთანხმებით, დამაბნეველი დასაწყისია გაკვეთილისთვის, მაგრამ რატომ არ შეგვიძლია გავავლოთ პარალელი გერმანულ „მერსედესსა“ და ტარიელის შავ ცხენს შორის?

შემდეგ ჩამოვწერეთ მსოფლიოში ცნობილი და ძვირად ღირებული სათვალეების, საათების, შარვლების, სპორტული ფეხსაცმელების, პერანგების მარკები. ბიჭებმა XXI საუკუნის ტარიელს Nike-ის კაპიუშონიანი სვიტერი შეურჩიეს. მერე ტექსტის გაცნობისა და წაკითხვის დრო დადგა. გაკვეთილის უცნაურმა დასაწყისმა ბავშვებს ცნობისმოყვარეობა აღუძრა, რაც საშინაო დავალებასაც დაეტყო – ჟურნალისტების როლი მოირგეს და სტატია დაწერეს სკოლის ეზოში შემჩნეულ მდიდრულად ჩაცმულ მამაკაცზე.

ვფიქრობ, არასდროს დაავიწყდებათ ფარნავაზი, ცოტნე დადიანი, ჟამთააღმწერელი, მონღოლი დამპყრობლები, ვაჟას ოჯახი და ფშავის მოლაპარაკე ბუნება. მე კი მადლიერი ვარ, ჩემთვისაც რომ უფრო ახლობელი გახადეს ისტორიული თუ ლიტერატურული პერსონაჟები. საგულდაგულოდ შენახულ ნამუშევრებს დროდადრო ვკითხულობ.

სტატიის ბოლოს 11 წლის თიკოს ჩანაწერს გთავაზობთ:

ფარნავაზი: გამარჯობა, ქუჯი. უთვალავი განძი მაქვს. მოვალ შენთან, ძმებივით ვიყოთ და აზონს ერთად დავესხათ თავს.

ქუჯი: გამარჯობა, ფარნავაზ. მოდი ჩემთან, განძს ნუ დაიშურებ. სანამ აზონს თავს დავესხმებით, მაგ განძით ლაშქარს გაგიმრავლებ.

ფარნავაზი: ოკ.

# წერითი მეტყველების გაუმჯობესებისთვის

ნინო ლომიძე

**ეს არ არის სპეციფიკური ნიჭი, რომლითაც მხოლოდ რჩეულები არიან დაჯილდოებულნი. ნებისმიერს შეუძლია ისწავლოს ფიქრების წერილობით მოწესრიგება. წერითი მეტყველების გაუმჯობესება შესაძლებელია ვარჯიშით, მონდომებით, სისტემატური მიდგომით.**

წერითი მეტყველების განსაკითარებლად საუკეთესო გზაა წერა.

ყოველდღიური წერითი სავარჯიშოები საგრძნობლად აუმჯობესებს აზრების წერილობით მოწესრიგების უნარს.

ზოგჯერ მოსწავლეები ირწმუნებიან:

**„არ მაქვს წერის ნიჭი“;**
**„წერა არ შემიძლია“;**
**„მუზა თუ არ მეწვია, ვერ ვწერ“;**
**„განწყობა მჭირდება საწერად“.**

მე კი ვცდილობ დავაჯერო, რომ საინტერესო თემის დაწერა, მოსაზრებების ფურცელზე გადმოტანა, ფიქრების წერილობით მოწესრიგება ნებისმიერს შეუძლია. „თუ ყოველდღიურად იმუშავებ წერითი უნარის გაუმჯობესებაზე, საბოლოოდ მიზანს აუცილებლად მიაღწევ. თუ გინდა, გაიუმჯობესო წერითი მეტყველება, უნდა წერო – ეს ერთადერთი ქმედითი რეცეპტია“.

ჩემი დაკვირვებით, წერა არის ისეთი რამ, რაშიც ყველას შეუძლია დახელოვნება. „წერის ნიჭი“, „წერის ტალანტი“ და „მწერლად დაბადებული“ – კლიშეებია. რასაკვირველია, ზოგიერთ ადამიანს უკეთ, მარტივად, ძალისხმევის გარეშეც გამოსდის აზრების წერილობით მოწესრიგება, მაგრამ ეს არ არის სპეციფიკური ნიჭი, რომლითაც მხოლოდ რჩეულები არიან დაჯილდოებულნი. ნებისმიერს შეუძლია ისწავლოს ფიქრების მოწესრიგება წერილობით, წერითი მეტყველების გაუმჯობესება შესაძლებელია ვარჯიშით, მონდომებით, სისტემატური მიდგომით.

მოსწავლეებს ეხმარება ასეთი შედარებაც: წერაში დახელოვნება ჰგავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრას ან სპორტის რომელიმე სახეობის ათვისებას.

ვეკითხები: როგორ მოიქცეოდი, ვიოლინოზე დაკვრა რომ გინდოდეს? აიღებდი ვიოლინოს და შეუდგებოდი მეცადინეობას. რამდენიმე ათეული გაკვეთილის შემდეგ შეძლებდი მარტივი მელოდიის დაკვრას.

ცურვა თუ გინდა ისწავლო? წყალში უნდა ჩახტე, ტექნიკას დაეუფლო და ივარჯიშო.

თუ გინდა წერო – უნდა დაჯდე და წერო. ოღონდ ყოველდღე.

### წესები:

დაივიწყე „არ გამომივა“; „ბევრჯერ ვცადე და მაინც ვერ ვწერ“; „მიცდია დღიურების წერა და არ გამომდის“.

### დაიმახსოვრე:

ათასი ლიეს გზა ერთი ნაბიჯით იწყება.

ამ წერილში გთავაზობთ საინტერესო, სახალისო წერითი სავარჯიშოების იდეებს. საწერად დღეში ათი წუთის გამოყოფა, მოცემული თემის მიხედვით

მოსაზრებების მოწესრიგება ფასდაუდებელი გამოცდილებაა, რომელიც შედეგს აუცილებლად გამოიღებს **(დამტკიცებულია პირადი გამოცდილებით!)**.

წერაში გასავარჯიშებლად ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მასწავლებლები უამრავ მეთოდს მიმართავენ. ყოველდღიური ათწუთიანი საწერი სავარჯიშოები ხალისიანი და საინტერესო უნდა იყოს. ეს დავალებები წერითი მეტყველების გაუმჯობესების მსურველმა დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს. არა „მასწავლებლისთვის", არა იმიტომ, რომ დავალებული აქვს, არა იმისთვის, რომ ქულა ან კარგი შეფასება დაიმსახუროს. ასეთი დავალებები სახალისო შესასრულებელი უნდა იყოს.

**აი, რამდენიმე იდეა:**

1. დაწერე საკუთარი სახელის შესახებ – რას ნიშნავს? მოგწონს? როგორ დაგარქვეს? არის რაიმე ისტორია ამის შესახებ? რომელი სახელები მოგწონს? რას დაირქმევდი, თავად რომ შეგეძლოს სახელის შერჩევა?
2. მოიფიქრე რაიმე დღესასწაული, ამ დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიცია, რიტუალი, საკვები, აქტივობები.
3. დაწერე ექვსი წინადადება, რომლებსაც დაიწყებ სიტყვებით: „არასდროს დამავიწყდება..."
4. აღწერე ადგილი, სადაც დაუყოვნებლივ გადაბარგდებოდი, ამის საშუალება რომ გქონდეს. ამ ადგილას ნამყოფი უნდა იყო. მკითხველს მიეცი შესაძლებლობა,

**საინტერესო თემის დაწერა, მოსაზრებების ფურცელზე გადმოტანა, ფიქრების წერილობით მოწესრიგება ნებისმიერს შეუძლია. „თუ ყოველდღიურად იმუშავებ წერითი უნარის გაუმჯობესებაზე, საბოლოოდ მიზანს აუცილებლად მიაღწევ. თუ გინდა, გაიუმჯობესო წერითი მეტყველება, უნდა წერო – ეს ერთადერთი ქმედითი რეცეპტია".**



შეიგრძნოს, დაინახოს, გაიგონოს ის, რასაც თავად იგრძნობდი, დაინახავდი და გაიგონებდი!

5. დაწნული კალათა, წითელი ბუშტი, ლურსმანი – დაწერე ამბავი, რომელშიც მოიხსენიებ ამ ნივთებს.
6. წარმოიდგინე, რომ შენთვის ნაცნობ რომელიმე ცხოველს ლაპარაკი შეუძლია. რას იტყოდა ის? დაწერე პირველ პირში.
7. როდესაც ვერ იძინებ, რაზე ფიქრობ? ან როგორია შენი ძილის რუტინა?
8. დააკვირდი, რას გრძნობ ახლა. რა ემოცია მძლავრობს შენში? მოძებნე ხუთი აფორიზმი, რომელიც ამ განცდასთანაა დაკავშირებული. დაწერე და დაურთე კომენტარები.
9. ავტოპორტრეტი.
10. გაიხსენე ერთი ადამიანი, ვისი მადლიერიც ხარ. დაწერე ამბავი – მკითხველს წარმოდგენა უნდა შეექმნას, ვინ არის ეს ადამიანი და რატომ ემადლიერები.
11. „მსუქანი“ უარყოფითი, უსიამოვნო შეფერილობის სიტყვაა. დაწერე ამბავი, რომელშიც ამ სიტყვას გამოიყენებ და რომელიც მკითხველს სხვა განცდას გაუჩენს.
12. რომელ ცხოველს შეადარებდი საკუთარ თავს? აღწერე, რატომ.
13. დაწერე, ვისგან მიგიღია მნიშვნელოვანი რჩევა. რა მოჰყოლია ამ რჩევის გათვალისწინებას ან გაუთვალისწინებლობას?
14. გაიხსენე რაიმე ამბავი შენი ბავშვობის საყვარელი წიგნიდან. უამბე მკითხველს ეს ამბავი.

15. „ისე შემრცხვა, მერჩივნა, მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე. სახეზე ალმური ამივიდა...“ – გაიხსენე ან მოიფიქრე ამბავი, რომელსაც ამ სიტყვებით დაიწყებ.
16. გაიხსენე ორი პერსონაჟი სხვადასხვა წიგნიდან. „შეახვედრე“ ისინი ერთმანეთს. მოიფიქრე ადგილი, დიალოგი, საინტერესო სიუჟეტი.
17. მშობლიური სახლიდან სამუდამოდ მიდიხარ. მხოლოდ აუცილებელი ნივთების წაღება შეგიძლია, იმის, რასაც ზურგჩანთაში ჩაატევ ან ხელით ატარებ. რას და რატომ წაიღებ?
18. მხოლოდ 20 სიტყვის ამოკრება შეგიძლია. სხვა სიტყვებს ველარასდროს გამოიყენებ. რომელია ეს 20 სიტყვა?
19. შენი სამოსი – რა გაცვია? ვინ გირჩევს სამოსს? რას ამბობს შენი სამოსი შენზე?
20. მოიფიქრე დიალოგი, პერსონაჟები და სიტუაცია. დაიწყე ასე:
– რა გიჭირავს ხელში? ეს რა არის?
– ჩემია! მე ვიპოვე!
21. ჩამოთვალე ხუთი რამ, რაც შენთვის მნიშვნელოვანია სხვა ადამიანთან ურთიერთობაში.
22. შენი ბავშვობის ყველაზე ადრეული მოგონება.
23. შეარჩიე ერთი საინტერესო აფორიზმი. დაწერე 150-სიტყვიანი კომენტარი.
24. რა ისწავლე მშობლებისგან?
25. აღწერე შენი მშობლიური ქალაქის ყველაზე საინტერესო ადგილი, ღირსშესანიშნაობა.
26. აღწერე შენი ცხოვრების „საუნდტრეკები“ – სიმღერები, რომლებსაც ყველაზე ხშირად უსმენ. მხოლოდ ჩამოთვლა არ შეიძლება!
27. დაასახელე წიგნი, რომელიც, სასურველია, ყველას ჰქონდეს წაკითხული. რატომ?
28. შენი სახელის თითოეულ ასოზე მოიფიქრე სიტყვა. ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები. წინადადებები შეკარი ამბად.
29. სიტყვების კოლაჟი – „მე“. ფურცელზე ჩამოწერე სიტყვები, რომლებიც შენ გიკავშირდება. მხოლოდ სიტყვები. ფურცელი სურვილისამებრ გააფორმე. შეგიძლია დააკრა და დააწებო ფურცელზე, რაც გსურს.
30. მომდევნო სამი საათის განმავლობაში უჩინმაჩინი ხარ. რას გააკეთებდი?

თამარ მურუსიძე

# მედიაწიგნიერება მათემატიკის გაკვეთილზე

**ყველა ვთანხმდებით, რომ დღეს ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში ორიენტირება, ინფორმაციის გაფილტვრა, შეფასება და სწორი არჩევანის გაკეთება ძალიან რთულია და ბევრს არ შეუძლია.**

## კომპლექსური დავალება „ჩემი პრიორიტეტული ქსელი“

ყველა ვთანხმდებით, რომ დღეს ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში ორიენტირება, ინფორმაციის გაფილტვრა, შეფასება და სწორი არჩევანის გაკეთება ძალიან რთულია და ბევრს არ შეუძლია. მის გასააზრებლად მხოლოდ კითხვა და მოსმენის უნარი საკმარისი არ არის. მედიაწიგნიერ ადამიანს იოლად შეუძლია ინფორმაციის სამყაროში გზის გაკვლევა, სანდო წყაროს გადამოწმება და მისთვის საზიანო, ზედმეტი ინფორმაციისთვის თავის არიდება, ისევე როგორც ახალი ინფორმაციის შექმნა და გაცემა. მედიაწიგნიერების უნარები მოსწავლეს ყველა საგნობრივ ჯგუფში უნდა განუვითარდეს.

მედიაწიგნიერების კონცეფცია დაკავშირებულია კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან.

მინდა, მოგითხროთ მედიაწიგნიერების მიდგომების გამოყენების მაგალითზე მათემატიკის სწავლების პროცესში, რეალურ კონტექსტზე მორგებული სიტუაციური ამოცანის დახმარებით.

სამიზნე ცნება: რიცხვითი სიმრავლეები და მათი თვისებები

საკითხები: რაციონალური რიცხვები და მათზე მოქმედებები

კლასი: მე-7

დრო: 10-12 სთ

**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

- რიცხვების წარმოდგენა/ჩაწერა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით;
- სიმრავლეებზე მოქმედებების წარმოდგენა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით (ვენის დიაგრამა, რიცხვითი ღერძი და ა.შ.);
- მათემატიკურ პრობლემასთან მუშაობისას მათემატიკური ოპერაციების გამოყენებით, მოქმედებათა თანმიმდევრობის დაცვით, ასევე - ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია ზუსტი ან მიახლოებითი ამოხსნების მოძიება;
- რაოდენობა და ფიზიკური სიდიდე შეიძლება გამოისახოს შესაბამისი რიცხვითი მახასიათებლით და ერთეულით.

**საკვანძო კითხვები:**

- როგორ არის შესაძლებელი საყოფაცხოვრებო პრობლემის გადაჭრა რაციონალურ რიცხვებზე მოქმედებებით?
- რამდენად მნიშვნელოვანია სინამდვილის რეპრეზენტაცია, ინფორმაციის გაფილტვრა, დახარისხება, კრიტიკული ანალიზი და შეფასება გადაწყვეტილების მისაღებად?

მოგითხრობთ რამდენიმე გაკვეთილზე განხორციელებულ აქტივობებზე.

თემატურ ერთეულზე მუშაობას ვიწყებთ კომპლექსური დავალების წარდგენით.

მოსწავლეებს ვაცნობ დავალების პირობას, რომელიც ნაცნობ კონტექსტზეა შექმნილი და ხშირად გვხვდება ყოფა-ცხოვრებაში:

„ანა წელს სტუდენტი გახდა და ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად. მისი მშობლები და და ნინო კი რაჭაში, ონის რაიონში, სოფელ ღებში ცხოვრობენ. ანას მეგობრებიც ონელები არიან. ანას მათთან ყოველდღიური სატელეფონო კავშირი აქვს. დედ-მამას და დას ყოველდღე 3-დან

www.mastsavlebeli.ge

# განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ზვიად კვარაცხელია

# ბეხვერია მამაო

ჩვენ უფრო მოლაპარაკე, მჭევრმეტყველი მოძღვრები გვამახსოვრდება. მამა გიორგი გულორდავა მოსმენის ნიჭით იყო დაჯილდოებული, სულიერი შვილის გამოცდილებას დინჯად უგდებდა ყურს და იმახსოვრებდა. საკუთარი თავი არასდროს გაექცეოდა – რამდენჯერაც და სადაც კი მინახავს, არსად გაჭრილა წინ, სხვებისთვის თავი არ გადაუმეტებია. ერთადერთხელ მორიდებით შეუსწორა მასზე უფროს კაცს, რომელიც ონავარ შვილიშვილს ეფერებოდა და თან მამა გიორგის უყვებოდა მის შესახებ:

– ეშმაკ ბაღანა რე, მამაო!

– ეშმაკ ვარ, პატონ, მარა ცხვანტ ბაღანა ქოოფე.

ეშმაკი არა, მაგრამ ძალიან ცელქი შვილიშვილი კი გყოლიათო, რომ უთხრა, ის კაციც გაიბადრა და მოძღვარმაც ერთი ხელის მოსმით ჩამოაშორა პატარა დაუდგრომელ ბავშვს „ეშმაკის“ (თუნდაც მოსაფერებელი) იარლიყი.

მამა გიორგი გულორდავა ბებიაჩემის მოძღვარი იყო და უკანასკნელი აღსარება ბებიაჩემმა სწორედ მას გაანდო, გულწრფელად და თავისი წარსულის დაუზოგავად. შემდეგში ჩვენთან მოსული მღვდელი ხშირად იგონებდა იმ განცდას, რომელიც აღსარების მოსმენისას დაეუფლა. იტყოდა, თითქმის ვერ ვიხსენებ ადამიანს, თავის ცხოვრებაზე ასე ელაპარაკოსო. არ მიკვირს, სხვების და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ უშეღავათო ვარო ბებიამ სწორედ მამა გიორგის რომ გადაუშალა გული და იმანაც მისი სინანული და ყოფის ყველა ხეთქება ადამიანური თანალმობით მიიღო.

– ოხ, შენ წახვალ ახლა და აქეთ აღარ გამოიხედავ, – ღიმილით მითხრა მანცხვარკარის ეკლესიის ეზოში, ოდნავ შემთვრალმა და შეყვარებულმა ჩემი თბილისში წასვლის ამბავი რომ ვუთხარი.

– არა, მამაო, რას ამბობთ?! ორ კვირაში ერთხელ აქ ვიქნები, შაბათის ლოცვებზე და კვირაობით წირვაზე.

– ვაშ მეტი!.. – ძალიან მომინდა, ამ სიტყვებით დაელოცა გზა, ჩემს ყველა დაქადნებას და ტრაბახს რომ მოაყოლებდა ხოლმე ბებიაჩემი, – რაღაც არ მჯერა შენი, მაგასაც ვნახავთ, რა ბიჭიც ხარო.

მან კი მხოლოდ გამიღიმა და ჯვარი გადამსახა.

შინაგანად მშვიდი იყო და მამაციც, ძველი მებრძოლი ქრისტიანებივით, რომლებსაც წიგნიერ განათლებაზე მეტად გულში დავანებული რწმენა ამაგრებდათ და მიუძღოდათ წინ. ზუსტად არ მახსოვს, „ბეხვერია მამაო“ ვინ შეარქვა, მაგრამ მეგობრების წრეში ეს მეტსახელი რომ დატრიალდა, ყველამ მისი გარეგნობის აღმნიშვნელად კი არა („ბეხვერია“ მეგრულად ბუთხუზას ნიშნავს), დიდი გულის მქონე კაცის ზუსტ ეპითეტად აღიქვა.

„მიჰხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა თესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, რადგან მამა თქუენი ზეცათა ზრდის მათ... განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძინდის! არა ჰშურებიან, არცა სთავნ...“ – ეს სახარებისეული, ქრისტეს და ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი მოწოდება ხშირად გამხსენებია მამა გიორგი გულორდავაზე ფიქრისას. ერშიც შემხვედრია ასეთი ადამიანები, მაგრამ, რასაც დავკვირვებივარ, მათ ბევრი არც უფიქრიათ ამაზე, ასე ცხოვრება არ განუზრახავთ, თვითმიზნად არ გაუხდიათ.

ისინი უბრალოდ იმ ჭურჭლეებად იქცნენ, რომლებშიც ქრისტემ თავისი ღვინო ჩაასხა.

მამა გიორგის ადამიანში სიკეთისა არ ეეჭვებოდა. ასე მგონია, ბევრი მღვდელი ხშირად ნაკლს ეძებს თავის სულიერ შვილში და ამით ჩვეულებრივ ადამიანს ემსგავსება, რომელსაც გადაცდომების მხილება ცოტათი მოსწონს კიდეც. ყველა რომ ცოდვილი ვართ და ამით სამუდამოდ გამოჭერილი, ეს გვაბრკოლებს კიდეც, რომ საკუთარ არსებობაზე მეტნი ვიყოთ. მამა გიორგის სიკეთის დანახვა და წაქეზება უყვარდა, მაგრამ ამას საოცრად გულღიად და დაუყვედრებლად აკეთებდა.

მისი ქადაგებები ხანმოკლე იყო და ამით თავის ძმას – სქურის მონასტრის ბერ იოანეს ჰგავდა, რომელიც იშვიათად, მხოლოდ ძალიან საჭირო მომენტებში იღებს ხმას, თითქოს ზედმეტადაც მიაჩნია ჭეშმარიტებაზე საუბარი, ჭეშმარიტების ჭარბი სიტყვებით განმარტებაო.

ერთხელ ვუთხარი, სახარებას ვკითხულობ და მგონი, წესია, მოძღვარს უნდა შეუთანხმო-მეთქი. კი, წესია, ზომა და წონა უნდა დაიცვა კაცმა, მაგრამ შენ შეგიძლია არ დაიცვა... მაინც ვერ დაიცავო. ისე, ათასი ხარახურის კითხვას ჯობია, სახარება წაიკითხო, მადლი შემოვა, ის სიტყვები ჩვეულებრივი სიტყვები არ არისო...

მის დაკრძალვაზე ვერ ჩავედი. მიჭირს ჩემი ქალაქის ადამიანებთან გამოთხოვება, მათ გაქრობასთან შეგუება. ბევრი იტყვის, სხეული ქრება, საქმე და სახელი კი რჩებაო. იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ცოცხლად შეხვედრის სიხარული, მგონი, ჯერ არაფერს შეუცვლია აქ, ამ მიწაზე, არაფერს დაურღვევია.

რამდენიმე კვირის შემდეგ თავსხმა წვიმაში შევედი მანცხვარკარის ეკლესიის ეზოში. ცა ფეხად ჩამოდიოდა. ვეცადე, დიდხანს ვმდგარიყავი მამა გიორგის საფლავთან, წვიმა არაფრად ჩამეგდო, მთელ სხეულზე მოდებულ სისველეს არ გამოვექცეოდ. ერთი სანთლის ჩაქრობისხელა დაყოვნება მაინც რა გახდა, ზოგჯერ ამის მოთმინებაც არ გაგვაჩნია, არადა, მეტს, მგონი, არც არავინ ითხოვს ჩვენგან. არც ღმერთი. არც ადამიანი.



ანა იმედაშვილი

# სიტყვების მუსიკასა და იმაზე, როგორ უნდა მიენდოს მასწავლებელი საკუთარ ინტუიციას

### წერილი მისტერ ბრაუნის მაქსიმებზე

არსებობს ერთი ჯადოსნური წიგნი – „საოცრება“. მისი ავტორი რაკელ პალასიოა, კოლუმბიური წარმოშობის ამერიკელი მწერალი, რომელსაც მკითხველი უფრო შემოქმედებითი ფსევდონიმით – არ ჯეი პალასიოთი (R. J. Palacio) იცნობს. წიგნი ერთ ბიჭზეა, სახელად ავგუსტზე. წიგნის ყოველი გვერდი მეგობრობის, ერთგულების, სიკეთის, კეთილშობილების მანიფესტია.

წიგნი ქართულად 2016 წელს გამოიცა. იმ დროს მე არაჩვეულებრივ (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) მესამეკლასელებს ვასწავლიდი, რომლებისთვისაც კარგი წიგნი ნამდვილი დღესასწაული იყო. რამდენჯერ გაგვიცდენია ქართული თუ მათემატიკა იმის გამო, რომ წიგნს ვკითხულობდით და ამბავს ვერ მოვწყდით. სხვებს თუ დასვენება იმიტომ უხაროდათ, რომ ერბინათ, ეთამაშათ, ჩემები აიღებდნენ წიგნებს, მოიკალათებდნენ საკლასო ოთახის კუთხეებში, დერეფნის ფანჯრებთან ან ეზოში, ბალახზე, და კითხულობდნენ და კითხულობდნენ. მომხდარა ისეც, რომ კითხვით გატაცებულებს გაკვეთილიც დავიწყებიათ. დავდიოდი და სათითაოდ ვაგროვებდი ხოლმე... ჰოდა, რა თქმა უნდა, „საოცრება“ მაშინვე ვიყიდე და დავიწყეთ კითხვა. ვიცინოდით, ვტიროდით, ვბრაზობდით, გაკვეთილების შემდეგ ვრჩებოდით და ვკითხულობდით.

წიგნში ერთი საინტერესო პერსონაჟია, ავგუსტის მასწავლებელი მისტერ ბრაუნი, რომელიც მოსწავლეებს მაქსიმებს სთავაზობს და ამ მაქსიმებზე ესეებს აწერინებს. საქმე ის არის, რომ თითოეულ მაქსიმას თავისი ისტორია და დანიშნულება აქვს, ისინი ზუსტადაა შერჩეული და ბავშვების ურთიერთობებს, პრობლემებს, შინაგან ფორიაქსა და სიტუაციების ანალიზს ესადაგება.

ჩემი მესამეკლასელები ისე აღაფრთოვანა მასწავლებლის ამ იდეამ და მაქსიმების შინაარსმა, რომ მთხოვეს, ჩვენც დავწეროთო. უარი არ მითქვამს, ამოვწერე ყველა მაქსიმა, ჩავყარე ჩვენს დიდ ხის სკივრში და სათითაოდ ამოვაღებინე. ვისაც რომელი შეხვდა იმაზე დაწერა. ზოგმა – ესე, ზოგმა – მოთხრობა, ზოგმა – ჩანახატი. ილუსტრაციებიც დაურთეს და საბოლოოდ წიგნადაც ავკინძეთ, მოვიწვიეთ მშობლები და ჩვენი ნაშრომი წარვუდგინეთ.

ძველი კომპიუტერის ფაილების დალაგებისას რამდენიმე ნამუშევარს წავაწყდი და მინდა, გაგიზაროთ, როგორც მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება მივცეთ მოსწავლეს არჩევანი და თავისუფლება და ასეთი შესანიშნავი ამბები მივიღოთ.

**ნინია:**
**რაც ლამაზია, კარგია და ვინც კარგია, მალე გახდება ლამაზი.**
**საფო**

საფო შეიძლება ავგუსტს (მომავალ ავგუსტს) გულისხმობდა. მეც თითქოს ვეთანხმები, თუმცა ვინც ლამაზია, ხშირად არ არის კარგი. ავგუსტი ამის კარგი მაგალითია. ის უშნო იყო, დეფექტურს ეძახდნენ, მაგრამ ძალიან კეთილი გული ჰქონდა, ხოლო ზოგიერთ ლამაზს და მდიდარს დიდი ვინმე ეგონა თავი და ამით სარგებლობდა. ვინც კარგია, მალე გახდება ლამაზი – ესეც ავგუსტია. ბოდიში, რომ ხშირად ვახსენებ ავგუსტს, მაგრამ სხვა არავინ ვიცი მისნაირი. თან ის, ფაქტიურად, არავის უყვარდა. ნუ, ჯუნისა და ჯეკის გარდა. თუ ადამიანი უშნოა, არ ნიშნავს, რომ კეთილი არ არის. ვინც უშნოა, არ ნიშნავს, რომ ცუდია. ისეცაა, რომ ზოგი შეიძლება მთლად კარგი არც აღმოჩნდეს. ახლა თქვენ მეტყვით: ეგეთი არავინ არსებობსო. არა, შეცდით. მალიფისენტი. მას ორი რაღაც აქვს სიკეთის: 1. აურორა შეიწყალა და 2. მისი კარგად ყოფნა სურდა.

ახლა ალბათ მეტყვით, რომ ის მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა. უნდა გამოვტყდე, გამომიჭირეთ, ამიტომაც მეორე პუნქტი, მოდით, არ ჩავთვალოთ.

**ანა:**
**სიყვარული სხვა რაღა გინდა?**

ეს სიტყვები მამამ გარდაცვალების წინ თქვა. ჩვენ ლოურენსების ოჯახი ვართ.

სანამ მამა გარდაიცვლებოდა, სკოლაში ის მატარებდა. ერთხელ კლასშიც შემომყვა და დაინახა, პატარა ბიჭი კუთხეში მოღუშულიყო, სახეზე ფერი არ ედო. აქეთ-იქით იხედებოდა, როგორც ბუზი კრაზანების გარემოცვაში. სანამ გაკვეთილი დაიწყებოდა, მამა მისტერ ტაკუმენთან მივიდა და რაღაცა უთხრა. ეს მაშინ გავიგე, როდესაც გაკვეთილზე ავგუსტთან გადამსვეს. სახეში შეხედვას ვერ ბედავდა. რამდენიმე თვის შემდეგ დავმეგობრდით. კარგი ბიჭი ჩანდა ისეც და სწავლაშიც.

ერთ დღეს ის სკოლაში აღარ დამხვდა. გამიკვირდა. ავგი სკოლას არასდროს აცდენდა. გაკვეთილების მერე მის სახლში მივედი და ავგის დედამ მასთან ოთახში შემიყვანა. ძალიან ცუდად იყო. რომ დამინახა, სახეზე ცოტა ფერი მოუვიდა. ერთი საათი დავრჩი მასთან. ავგი გამოკეთდა, მას ხომ მეგობრის სიყვარული სჭირდებოდა.

როცა სახლისკენ მივდიოდი, მამას ბოლო სიტყვები გამახსენდა: „სიყვარული სხვა რაღა გინდა“.

**ლიზი:**
**არ კმარა, მეგობრულად იყო განწყობილი; მეგობარი უნდა იყო.**

წარმოიდგინეთ სკოლა, რომელიც ვარდის ფურცლებისგან არის აშენებული, სადაც აფროდიტეს შადრევნები ჩქეფს, მათ გარშემო კი მეგობრობის მარწყვის მათრობელა ტყეა. ამ სკოლაში ერთი განსაკუთრებული გოგო ანანიანია სწავლობდა, მაგრამ ყველა ანანიას ეძახდა. ის სკოლაში ყველაზე უცნაური გოგო იყო, ის ყველასთან მეგობრობდა, დანარჩენები კი მხოლოდ მეგობრულად იყვნენ განწყობილები. ანანიას ბავშვობა იმაზე მეტყველებს, რომ არ კმარა მეგობრულად იყო განწყობილი, მეგობარი უნდა იყო. მაგალითად, მომენტი, როდესაც ანანია ნიანასთან მეგობრობდა (ანანიას მშობლები არ ჰყავს), მისთვის ერთადერთი იყო. სანამ ანანია ნიანას გაიცნობდა, მეგობრულად იყო განწყობილი, მაგრამ ზედმეტი მოუვიდა და ისე მოხდა, რომ მეგობარი დაკარგა. ამის შემდეგ ის ცდილობს, ყველასთან იმეგობროს და ყოველ დილას თავის თავს ეუბნება: არ კმარა მეგობრულად იყო განწყობილი, მეგობარი უნდა იყო, მეგობარი.

**თეკლა:**
**ცხოვრებაში ყველას უნდა ერგოს ერთი ოვაცია მაინც!**

იყო ერთი ელფი. მას ეოვენი ერქვა. ის ისეთი ელფი იყო, რომ თუ ვინმეს თვალწინ წარუდგებოდა, სახეზე აღტაცება არავის ეხატებოდა. უკვე მის საუკეთესო მეგობარსაც კი ეოვენი უნიჭო ეგონა. ერთ დღეს ეოვენს ღონისძიება ჰქონდა, ყველას ლექსი უნდა დაეწერა. ის მასწავლებელს წინ დაუდგა და ლექსი წაუკითხა. უფრო სწორად, მასწავლებელს ეგონა, რომ ის ლექსს წაიკითხავდა, ის კი თავის შესახებ მოჰყვა:

– გამარჯობა, მე ეოვენი ვარ. ჩემს ძმას გომერი ჰქვია. ვიცი, ჩემგან ბევრს არ ელით, მაგრამ ცხოვრებაში ყველას ერთი აღტაცება მაინც უნდა ერგოს.

– და აი, ის მოჰყვა ყველაფერს თავის ცხოვრებაზე, ტკივილსა და წყენაზე, იმედგაცრუებაზე და სიხარულზე. როდესაც დაასრულა, მაყურებლები ფეხზე ადგნენ და ტაშის ცემას მოჰყვნენ, რის შემდეგაც ეოვენმა გაიფიქრა:

– ცხოვრებაში ყველას უნდა ერგოს ერთი ოვაცია და ტაშის დაკვრა მაინც!!! ერთხელ მაინც!!!

**ნია:**
**ადამიანი კუნძული როდია, ცალკე გარიყული.**

ერთ პატარა ქოხში პატარა გოგონა იავი ცხოვრობდა. ის ძალიან კარგ სკოლაში დადიოდა, მაგრამ არავინ ემეგობრებოდა. რატომ? ეს არავინ იცოდა. მისი კლასელები სულ ერთად თამაშობდნენ, მაგრამ იავის არავინ ათამაშებდა. იავი ძალიან, ძალიან კეთილი

იყო. ერთხელ იავიმ დაინახა, რომ მისმა კლასელებმა იჩხუბეს: ერთმა მეორე ძირს დააგდო. იავი მაშინვე მასთან მივიდა და დახმარება შესთავაზა, მაგრამ ამაოდ. წაქცეულმა უთხრა:

– გადი აქედან! მე შენი დახმარება არ მჭირდება!

იავი ნაწყენი წავიდა მერხისკენ.

როდესაც იავი სახლისკენ მიდიოდა, ერთმა გოგომ, სახელად მუკიმ, შეამჩნია, რომ იავი მოწყენილი იყო. მუკი მივიდა მასთან და ჰკითხა:

– იავი, რატომ ხარ მოწყენილი?

იავის გაუკვირდა:

– ჩემი სახელი საიდან იცი?

– შენს ჩანთას აწერია...

– მე კლასში არავინ მემეგობრება.

– რატომ???

– ეს არავინ იცის.

– იავი, შეიძლება, მე ვიყო შენი მეგობარი?

– მართლა?

– ჰო, მართლა.

იავიმ დაიყვირა:

– ჰოო, მინდა, რა თქმა უნდა, მინდა!!!

**მარიამი:**

**ჯობს, ზოგიერთი კითხვა იცოდე, ვიდრე ყველა პასუხი.**

მე კითხვების დასმა ძალიან მეხმარება. რაში მეხმარება? იმაში, რომ ბევრი რამ გავიგო. აი, მაგალითად, ამ კითხვამ დაინტერესა: რა საჭიროა სკოლა? ძალიან ბევრი ვიფიქრე და ვკითხე მასწავლებელს. მასწავლებელმა მიპასუხა: რომ ვიყოთ უფრო ჭკვიანები და გონიერები, რომ გვქონდეს ჩვენი საქმე, ჩვენი პროფესია. დავფიქრდი და მივხვდი, რომ ძალიან ბევრი სწავლა მომიწევს იმისთვის, რომ როდესაც გავიზრდები, ჩემი საყვარელი საქმიანობით დავკავდე. ამიტომ, ვფიქრობ, ეს კითხვა უნდა დამესვა და მისი პასუხიც გამეაზრებინა. ერთ ფილმში, სახელად „ანგელოზის სწავლა“, ასეთი რამ ხდება: ერთი ანგელოზი ცხოვრობს საფრანგეთის სასახლეში და ჰყავს მილიონი მოსამსახურე, ლიმუზინები და მოკლედ, ძალიან დიდი ქონება აქვს. ერთ მოსამსახურეს დაუსვა იგივე შეკითხვა: „რად გვინდა სკოლა?“ მოსამსახურემ უპასუხა, არ ვიცი. ამ შემთხვევაში ანგელოზს პასუხი ვერ უთხრეს და კითხვაც არასწორ ადამიანს დაუსვა. ისიც უნდა ვიცოდეთ, ვის რა უნდა ვკითხოთ.

**დასასრული იხილეთ www.mastsavlebeli.ge-ზე**

მარტივადაც შეიძლებოდა: იმიტომ.

მაგრამ რთულად უფრო საინტერესოა.

სწორედ ამ ტექსტის დაწერამდე გავაანალიზე ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვთამაშობ ჭადრაკს ასე ხშირად და ანალიზის შედეგმა სხვა შრეებში ჩამახედა. ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვისაც გამეზიარებინა. იქნებ თქვენც ამიტომ თამაშობთ ჭადრაკს, ანდა არ თამაშობთ და თამაში გადაწყვიტოთ, ანდა რაიმე სხვა...

ჭადრაკის თამაში ბავშვობაში ვისწავლე, თუმცა ათასში ერთხელ თუ ვითამაშებდი ხოლმე მეგობრებთან და მაშინაც ჩემი საჭადრაკო დონე ELO-ს რეიტინგში 300-400-ს არ ასცდებოდა. ყველაფერი შარშან შეიცვალა, როცა რატომღაც გადავწყვიტე საჭადრაკო აპლიკაციის გადმოწერა და თამაშის გახსენება. ვითამაშე ბევრი, ვითამაშე სხვადასხვა პრინციპით და საკუთარ შეცდომებზე სწავლით 400-დან 1200-ზეც ამოვძვერი, აღმოვაჩინე, რომ ჩემი მეგობრებისა თუ უბრალოდ ნაცნობების დიდი ნაწილიც საკმაოდ ხშირად თამაშობს ჭადრაკს. ეს „ხშირად“ შეიძლება იყოს როგორც დღეში 20, ისე დღეში 100 და მეტი პარტია. თუმცა აქ ეს არ არის მთავარი. მთავარი იმის გააზრებაა, თუ რატომ ვთამაშობთ ჭადრაკს.. ანდა, მოდით, განზოგადებას მოვერიდოთ; მე გეტყვით, მე რატომ ვთამაშობ.

და აი, აქ ბევრი პრობლემა ამოტივტივდა.

საკუთარი თავი გამოვიჭირე, რომ ხშირად სწორედ მაშინ ვხსნი აპლიკაციას და თამაშს ვიწყებ, როცა რეალობისგან თავის დაღწევა, მისი დროებით გადადება მსურს, ანდა როცა რაღაც იმდენად მძაბავს და მბოჭავს, რომ გამოსავალს ვერ ვპოულობ. ჭადრაკის თამაშისას მთლიანად სვლებსა და კომბინაციებზე ვარ ორიენტირებული, მთელი გონება ჩართულია ამ სათამაშო დაპირისპირებაში და თითქოს ამ დროს ვისვენებ, ამ დროს არ ვფიქრობ არც კარგზე და არც ცუდზე - მხოლოდ ჭადრაკზე. ეს გაქცევა, დამალვა, გნებავთ, თავის არიდება ერთგვარი ადამიანური სისუსტეა, თუმცა არის მომენტები, როცა ამის გარეშე შეუძლებელია.

ჭადრაკს მაშინაც ვთამაშობ, როცა რაღაც არასასურველი მაქვს გასაკეთებელი და მოსათავებელი. თითქოს ამით წინარე განწყობას ვიქმნი, ფსიქოლოგიურად ვემზადები, ანუ ჭადრაკი იქცევა ერთგვარ თავისუფალ, ყველაფრისგან მოშორებულ სივრცედ, ჩაკეტილ ოთახად, რომელშიც შეგიძლია შეხვიდე, ამოისუნთქო, თმა გაისწორო, ტანსაცმელი კარგად მოირგო, ერთი „ჰუ“ ამოფშვინო და გამოხვიდე უკვე საქმისთვის მზად მყოფი.

**ალექსანდრე ლორთქიფანიძე**

# რატომ ვთამაშობთ ჭადრაკს

კიდევ ერთი შემთხვევა, როცა ჭადრაკის თამაშს ვიწყებ – სიგარეტის მოწევას ჰგავს. მე სიგარეტს არ ვეწევი, ის კი არა, საერთოდ ვერ ვიტან ამ პროცესს, თუმცა, როგორც ჩანს, მოთხოვნილება, რომლის გამოც სხვები ხშირად ეწევიან, მეც მაქვს. რა მოთხოვნილებაზე ვსაუბრობ და უხერხულობაზე. როცა არ იცი, ამ წამს რა გააკეთო, როგორ მოიქცე, უეცარი პაუზაა ცხოვრების დინებაში. ასეთ დროს ჭადრაკი მზა საქმეა. იცი, რით უნდა დაკავდე მომდევნო 3-5 წუთის განმავლობაში და ამასობაში იქნებ მოიფიქრო კიდეც, როგორ გაგრძელდეს შენი ცხოვრება. ასე ამოავსებ ამ სიცარიელეს და გადებ ხიდს მომავლისკენ.

ახლა ვინმე იკითხავს, თვითონ თამაშის აზარტი საერთოდ არ გაინტერესებსო? ცხადია, მაინტერესებს და ძალიან ხშირად ჭადრაკს იმიტომაც ვთამაშობ, რომ თავად ჭადრაკი მიყვარს, მისი მრავალფეროვნება, სტრატეგიულობა, ტაქტიკურობა, სვლების დაუსრულებელი ვარიანტები, აზარტი, გონებრივი ომი. ეს ყველაფერი თავის ადგილზეა. მაგრამ ეს ისედაც ნათელია, ხოლო ის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელთა აღიარებაც არცთუ ისე მარტივი იყო, უფრო ბუნდოვანია და ხშირად არ გავლენინებენ თავს.

ჭადრაკში გაქცევის გაანალიზებამ მკაფიოდ დამანახა ის წნეხი, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში განვიცდით. დამანახა, როგორი დაღლილები ვართ სინამდვილეში მთელი რიგი სტრესული სიტუაციებისა თუ დაძაბულობების გამო. როგორ არ ჩანს ხანდახან გამოსავალი და ხმარტივი იყო, უფრო ბუნდოვანია და ხშირად არ გავლენინებენ თავს.

ჭადრაკში გაქცევის გაანალიზებამ მკაფიოდ დამანახა ის წნეხი, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში განვიცდით. დამანახა, როგორი დაღლილები ვართ სინამდვილეში მთელი რიგი სტრესული სიტუაციებისა თუ დაძაბულობების გამო. როგორ არ ჩანს ხანდახან გამოსავალი ყოფითი და მორალური პრობლემების ქაოსში, როგორ ვკარგავთ თვალისჩინს, როცა გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვას ვცდილობთ და ბოლოს როგორ ვირჩევთ გაქცევას. ეს მდგომარეობა რაღაცით ჰგავს შექსპირის ცნობილი სონეტის საწყის სტრიქონს: „ყველაფრით დაღლილს გასაქცევად სიკვდილი დამრჩა“. ასეთ დროს ადამიანები ქალაქებიდან გარბიან, ზოგი ტყესაც აფარებს თავს და განმარტოებით ცხოვრობს (ჰო, ჰენრი დევიდ თორო კარგი მაგალითია). ადამიანები გაურბიან საკუთარ გარემოცვას და ეკლესია-მონასტრებს ან სხვადასხვა ფილოსოფიურ მოძღვრებას აფარებენ თავს. ადამიანები გაურბიან საკუთარ თავს და ცდილობენ, მუდმივ ცვალებადობაში პოვონ შვება. ადამიანები მუდმივად გარბიან. ამ გაქცევის ერთ-ერთ მცირე, მაგრამ აქტიურ დანიშნულების პუნქტად კი, სრულიად მოულოდნელად, ჩემთვის ჭადრაკი იქცა. არ ვიცი, რისთვის თამაშობთ ჭადრაკს თქვენ, მაგრამ მე ამიერიდან ხშირად გავივლებ გონებაში ფრაზას: „ყველაფრით დაღლილს გასაქცევად ჭადრაკი დამრჩა“.

რუსუდან რუხაძე

# ოდა უთქმელ სიყვარულს

რამდენიმე წლის წინ ვინტაჟური საფოსტო ყუთი ვიყიდეთ. დიდხანს ვერ მიეჩვივნენ ფოსტალიონები გზავნილის ყუთში ჩაგდებას, მაგრამ ბოლო ხანია, კარზე აღარ გვიკაკუნებენ. ჩვენც ყოველ ჯერზე გული სიხარულით გვევსება, როცა კიბეზე ასვლისას ყუთის ჭრილში ჟურნალის ან კონვერტის ფრაგმენტს ვხედავთ. ფეხს ვუჩქარებთ და სახლში შესვლამდე გასაღებების დიდი ასხმიდან ყველაზე მინიატურულს ვირჩევთ.

ჟურნალების ზამთრის ნომრებს უცნაური ბედი აქვთ (ზამთარი კი რთული გამოვიარეთ). დაუსრულებელი საქმეების ან მათზე გაუთავებელი ფიქრის გამო ხანდახან თავიდან ბოლომდე წაკითხვას კი არა, გადაფურცვლასაც ვერ ახერხებ. ამიტომ მათი უმეტესობა – ზოგი გადაკეცილი, ზოგი ხელუხლებელი, ზოგიც ხელახლა წასაკითხად გამზადებული – ცალკე თაროზე, უკეთესი დროისთვის გადაინაცვლებს.

ზაფხულის საკითხავებს შორის აღმოჩნდა „ნიუ იორკერის“ თებერვლის ნომერიც, რომლის 49-ე გვერდზე ერთი დიდებული ამბავია მოთხრობილი.

ეს ის დროა, როდესაც ორწლიანი მუშაობის შემდეგ ავიაინჟინრებმა ბოინგ 707 ააგეს, ნიუ-იორკში ჯორჯ ბალანჩინმა ჩაიკოვსკის ბალეტი „მაკნატუნა“ დადგა, მაიამიში „ბურგერ კინგის“ პირველი რესტორანი გაიხსნა, პენსილვანიაში პოლიომიელიტზე ბავშვების მასობრივი იმუნიზაცია დაიწყო, ჩრდილოეთ კაროლინას ქარიშხალმა ჰაზელმა შეუტია, ელვის პრესლიმ პირველი სინგლი – THAT'S ALL RIGHT – ჩაწერა, ჯოზეფ მიურეიმ პაციენტს თირკმელი პირველად გადაუნერგა, მერლინ მონროს გული ბეისბოლისტმა ჯო დიმაჯომ მოიგო, ტელევიზიით პირველად აჩვენეს „მის ამერიკა“ და უზენაესმა სასამართლომ სეგრეგირებული სკოლები არაკონსტიტუციურად ცნო... იმავე წელს ოდრი ჰეპბერნი ბროდვეის დაუბრუნდა და ჟან ჟიროდუს პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში მელ ფერერთან ერთად ითამაშა. სექტემბრის ბოლოს კი ოდრი და მელი დაქორწინდნენ.

ახლა კი ჟურნალში გამოქვეყნებულ პოლ როჯერსის გრაფიკულ ამბავს და თანდართულ ტექსტს მივყვეთ, რომელიც დაგ რომსის წიგნს – „TAKE FIVE: პოლ დესმონდის საჯარო და პირადი ცხოვრება“ – ეფუძნება:

პოლ დესმონდი დეივ ბრუბეკის კვარტეტის ალტ-საქსაფონისტი იყო 1951-1967 წლებში. სწორედ მისი დაწერილია ჯგუფის ყველაზე ცნობილი ჰიტი – TAKE FIVE.

1993 წელს, როდესაც ჰეპბერნი გარდაიცვალა, მისმა ყოფილმა ქმარმა ანდრეა დოტიმ დეივ ბრუბეკს დაურეკა და სთხოვა, გაეროს შენობაში დაკრძალვის ცერემონიალზე კვარტეტს „ოდრი“ შეესრულებინა.

დეივი გაოცდა, რადგან წარმოდგენა არ ჰქონდა, ანდრეამ ამის შესახებ რამე თუ იცოდა.

იცით, ჩემი ცოლი ამ კომპოზიციას ყოველ ღამით უსმენდა ძილის წინო, უპასუხა დოტიმ.

🍎

იმას ვამბობდი, რომ ზამთარი რთული გამოვიარეთ და როგორც ყველა ომის, წყალმოვარდნის თუ პანდემიის დროს, ნაღმებს გვერდი ვერ ავუარეთ – ყველა სიყვარული გავთქვით, ყველა ქრაშს ფარულად ვანიშნეთ. ასეა, რაც უფრო მძიმეა დრო, მით უფრო გვეშინია, რომ რაღაცას ვეღარ მოვასწრებთ და ყოველ ახალ დღეს გულგადაშლილები ვეგებებით. გრძნობების გამოსათქმელად სიტყვებსაც ადვილად ვპოულობთ და ისიც გადასარევად მოგვეხსენება, რომ ხშირად ვეღარც UNSEND შველის ნათქვამის უკან წაღებას.

ოდრი ჰეპბერნი ბროდვეის დაუბრუნდა და ჟან ჟიროდუს პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში მელ ფერერთან ერთად ითამაშა. სექტემბრის ბოლოს კი ოდრი და მელი დაქორწინდნენ.

პოლი მთელი ცხოვრება ოდრი ჰეპბერნს ეტრფოდა, მაგრამ ისინი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან.

1954 წლის გაზაფხულზე ოდრი 46-ე ქუჩის თეატრის სპექტაკლში „უნდინა“ მთავარ როლს ასრულებდა.

ბრუბეკის კვარტეტი კი იმ დროს იქვე, ბეისინ სტრიტზე, ღამის კლუბში უკრავდა.

პოლი ბრუბეკს შესვენებას ყოველ საღამოს ერთსა და იმავე დროს სთხოვდა.

დესმონდი ღამის კლუბს სწრაფად ტოვებდა და „ტაიმს სკვერს“ კვეთდა.

ჩიხში მალულად დგებოდა და შორიდან აკვირდებოდა, როგორ გამოდიოდა ოდრი მსახიობებისთვის განკუთვნილი შესასვლელიდან და თავის ლიმუზინში ჯდებოდა.

იმავე წელს პოლმა დაწერა კომპოზიცია „ოდრი“, რომელიც შევიდა ალბომში „BRUBECK TIME“.

პოლი 1977 წელს ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა. დაქორწინებული არასოდეს ყოფილა და არც ის იცოდა, მოსმენილი ჰქონდა თუ არა ოდრის მისთვის მიძღვნილი მელოდია.

თუმცა არსებობს უფრო მშვიდი დრო, როდესაც უკიდურესი გადაწყვეტილებებით არ გვიწევს ცხოვრება და იმასაც ადვილად ვეგუებით, რომ ყველა გული ვერ მოიკრებს გამბედაობას. ვინ იცის, იქნებ ოდრისა და პოლის ერთად ყოფნა სულაც არ ყოფილიყო ისეთი მწველი და ამაღელვებელი, როგორიც ეს ბლუზია. მათი ამბავი ერთდროულად სევდიანიც არის და მშვენიერიც, მაგრამ ალბათ პოლზე უკეთ არავინ იცოდა, რომ თაყვანისცემაც ნიჭია და მხოლოდ ამ ნიჭით დაჯილდოებულს შეუძლია, უძღვნას ოდა უთქმელ სიყვარულს.

P.S. **თანამოსასმენი –**
**DAVE BRUBECK QUARTET – AUDREY**

5 წუთამდე მაინც ესაუბრება, მეგობრებთან კი SMS-ებითა და სოციალური ქსელებით ურთიერთობს. ხშირად დასაც სოციალური ქსელითა და SMS-ებით ეკონტაქტება.

მაღალი ხარისხის ინტერნეტი აუცილებელია მისთვის, განსაკუთრებით – ონლაინსწავლისთვის და თანაკურსელებთან ინფორმაციის გაცვლისთვის.

ანა ფიქრობს, რომელი ქსელის აბონენტი გახდეს, რომ ფინანსური დანახარჯი მინიმალური იყოს, სარგებელი კი – მაქსიმალური.

დავეხმაროთ ანას!“

**პირობის გაცნობის შემდეგ მთელ კლასს ვეკითხები: „რას ურჩევდით ანას?“**

გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეთა პასუხებს ვწერ დაფაზე.




ამოცანის წარდგენის შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობ სამიზნე ცნებას და საკითხების შესასწავლად ვაძლევ განსაზღვრულ დროს. ამ დროის განმავლობაში მათ შეუძლიათ იმუშაონ კომპლექსური დავალების შესრულებაზე და იფიქრონ მის შემოქმედებითად წარმოდგენაზე. მოსწავლეებმაც შეამჩნიეს, რომ დავალების შესრულებას 1-2 დღე არ ეყოფა, დიდი ინფორმაციაა მოსაძიებელი და დასამუშავებელი.

საშინაო დავალებად ვაძლევ, ნახონ სხვადასხვა მობილური ქსელის რეკლამები, აღწერონ და იმსჯელონ რეკლამის შინაარსზე, ასევე მოიძიონ იმ უცხო სიტყვათა განმარტება, რომლებიც დასჭირდებათ ამ თემაზე მუშაობის დროს.

მეორე გაკვეთილს ვიწყებ მოსწავლეთა მიერ მოძიებული რეკლამების მთელი კლასისთვის ჩვენებით. გაკვეთილს ლაიტმოტივად გასდევს ამერიკელი პუბლიცისტის ვენს პაკარდის გამონათქვამი: „ხელოვნებაა, დაუმიზნო თავში და მოარტყა საფულეში“. ვისაუბრეთ იმაზე, რას მოგვითხრობს თითოეული რეკლამა.

თითოეულ მოსწავლეს დავურიგე კითხვარის ცარიელი ფორმა (შეიძლება, მასწავლებელმა დაამატოს სვეტი სხვა ქსელისათვის). დაფაზეც თვალსაჩინოდ გამოვაკარი. კიდევ ერთხელ ვაჩვენე კლასს რეკლამები და ვთხოვე, შეევსოთ აღნიშნული ფორმა. დრო – 15 წთ.

| # | კითხვები ორიენტაციისათვის | პასუხები | |
|---|---|---|---|
| | | მაგთის რეკლამა | სილქნეტის / ჯეოსელის რეკლამა |
| 1 | რისთვის შეიქმნა რეკლამა? ვინ არის მისი სამიზნე აუდიტორია? | | |
| 2 | ვინ დააფინანსა რეკლამა? | | |
| 3 | ვინ შეიძლება ისარგებლოს ამ გზავნილით? ვინ შეიძლება დაზიანდეს? რით შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ეს გზავნილი ჩემთვის? | | |
| 4 | რა შეიძლება მოვიმოქმედო ამ გზავნილის საპასუხოდ? | | |
| 5 | რას შეეხება გზავნილი? რა იდეები, ღირებულებები, ხედვა ჩანს ამ გზავნილში? ისეთი რა არის გამოტოვებული, რისი ცოდნაც მნიშვნელოვანი იქნებოდა? | | |
| 6 | რა ტექნიკაა გამოყენებული და რატომ? როგორ უკავშირდება ის გზავნილს? | | |
| 7 | სხვადასხვა ადამიანი ამ გზავნილს ერთნაირად გაიგებს? | | |
| 8 | როდის შეიქმნა, სად და როგორ იქნა ხალხისთვის გაზიარებული? | | |
| 9 | რამდენად სანდოა? რატომ მიგაჩნიათ სანდოდ ან პირიქით? რა არის ამ ინფორმაციის, მოსაზრების ან მტკიცებულების წყარო? | | |

დროის ამოწურვის შემდეგ მოსწავლეთა ნაფიქრი შევაჯამეთ და ერთობლივად გავეცით პასუხი დაფაზე თვალსაჩინოდ გამოკრულ კითხვებს. გთავაზობთ მთელი კლასის ნამუშევარს.

**მის გასააზრებლად მხოლოდ კითხვა და მოსმენის უნარი საკმარისი არ არის. მედიაწიგნიერ ადამიანს იოლად შეუძლია ინფორმაციის სამყაროში გზის გაკვლევა, სანდო წყაროს გადამოწმება და მისთვის საზიანო, ზედმეტი ინფორმაციისთვის თავის არიდება, ისევე როგორც ახალი ინფორმაციის შექმნა და გაცემა. მედიაწიგნიერების უნარები მოსწავლეს ყველა საგნობრივ ჯგუფში უნდა განუვითარდეს.**

| # | კითხვები ორიენტაციისათვის | პასუხები | |
|---|---|---|---|
| | | მაგთის რეკლამა | სილქნეტის / ჯეოსელის რეკლამა |
| 1 | რისთვის შეიქმნა რეკლამა? ვინ არის მისი სამიზნე აუდიტორია? | საქართველოს მოსახლეობა, ყველა თაობა, ყველა სეგმენტი. ტურისტები. | საქართველოს მოსახლეობა. ყველა თაობა, ყველა სეგმენტი. |
| 2 | ვინ დააფინანსა რეკლამა? | კომპანია მაგთიმ | კომპანია ჯეოსელმა |
| 3 | ვინ შეიძლება ისარგებლოს ამ გზავნილით? ვინ შეიძლება დაზიანდეს? რით შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ეს გზავნილი ჩემთვის? | საქართველოს ყველა მოქალაქემ შეიძლება ისარგებლოს. მცირე ბიზნესის წარმომადგენელმა, შუახნის მოქალაქეებმა, ახალგაზრდებმა, ბავშვებმა, მოხუცებმა. ტურისტებმა.<br>ჩემთვისაც (მოსწავლისთვის) მნიშვნელოვანია, რადგან ხარისხიანი და სტაბილური ინტერნეტი კომფორტულია და რეიტინგული მრავალფეროვანი არხებიც მნიშვნელოვანია დასვენებისა და შემეცნებისთვის.<br>სარგებელს მიიღებს კომპანია, უკეთ გაყიდის სერვისს.<br>შეიძლება დაზიანდნენ კონკურენტები;<br>ასევე ის, ვინც მიიღებს სპონტანურ გადაწყვეტილებას. | საქართველოს მოსახლეობამ, ახალგაზრდებმა, მოზარდებმა და მოხუცებმაც. მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. ჩემთვისაც (მოსწავლისთვის) მნიშვნელოვანია, რადგან სწრაფი ინტერნეტი კომფორტულია და მრავალფეროვანი არხებიც მნიშვნელოვანია დასვენებისა და შემეცნებისთვის. სარგებელს მიიღებს კომპანია, უკეთ გაყიდის სერვისს.<br>შეიძლება დაზიანდნენ კონკურენტები<br>და ისინი, ვინც მიიღებენ სპონტანურ გადაწყვეტილებას. |
| 4 | რა შეიძლება მოვიმოქმედო ამ გზავნილის საპასუხოდ? | უნდა ვნახო სხვა მსგავსი კომპანიების გზავნილები, პაკეტებს გავეცნო, გამოვკითხო მომხმარებლები. ოფიციალურ საიტებზე გავეცნო დეტალურ ინფორმაციას, ან დავრეკო ცხელ ხაზზე, მივიდე ოფისებში ინფორმაციის მოსაძიებლად. შევადარო, შევაფასო და გამოვიტანო მართებული დასკვნა, მივიღო გააზრებული გადაწყვეტილება. | |
| 5 | რას შეეხება გზავნილი? რა იდეები, ღირებულებები, ხედვა ჩანს ამ გზავნილში? ისეთი რა არის გამოტოვებული, რისი ცოდნაც მნიშვნელოვანი იქნებოდა? | გზავნილი თანამედროვე ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უპირატესობებზეა. გზავნილში კომპანია ხაზს უსვამს მის ძლიერ მხარეს – **ლოკაციას** და **მაღალ ხარისხს**. არის რამდენიმე ღირებული ინფორმაციაც, როგორიცაა „ულიმიტო საუბარი ოჯახის წევრებთან". მნიშვნელოვანი იქნება ამ ინფორმაციის გადამოწმება. | გზავნილი თანამედროვე ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უპირატესობებზეა; **სწრაფი ინტერნეტითა** და მრავალფეროვანი **სატელევიზიო არხებით** ხიბლავს მომხმარებელს. ღირებული ინფორმაცია კომპანიის გამსხვილებაა, რის შედეგადაც ის გაუმჯობესებულ პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს; |
| 6 | რა ტექნიკაა გამოყენებული და რატომ? როგორ უკავშირდება ის გზავნილს? | მარკეტინგული ენაა, იმავდროულად, მარტივად გასაგები სხვადასხვა აუდიტორიისთვის. მელოდიაც სასიამოვნოა და წარწერებიც ადვილად აღსაქმელი და პირდაპირ უკავშირდება გზავნილს – ლოკაციას უსვამს ხაზს. | სხვადასხვა აუდიტორიისთვის ადვილად აღსაქმელია. უფრო ახალგაზრდების ენაა, მუსიკაც. |
| 7 | სხვადასხვა ადამიანი ამ გზავნილს ერთნაირად გაიგებს? | სხვადასხვანაირად გაიგებს. ზოგისთვის ხარისხიანი ინტერნეტია მნიშვნელოვანი, ზოგისთვის – ტელევიზია გადახვევის რეჟიმით, ზოგისთვის – მობილური ინტერნეტი, ზოგისთვის – დაფარვის ზონები, ზოგისთვის – საბავშვო აპლიკაციები და ა.შ. | |

| # | კითხვები ორიენტაციისათვის | პასუხები | |
|---|---|---|---|
| | | მაგთის რეკლამა | სილქნეთის / ჯეოსელის რეკლამა |
| 8 | როდის შეიქმნა, სად და როგორ იქნა ხალხისთვის გაზიარებული? | თანამედროვეა, „იუთუბზე“ გამოქვეყნდა 2018 წლის 7 დეკემბერს. ასევე დევს მაგთის ოფიციალურ საიტზე და ვრცელდება ტელევიზიებით. | თანამედროვეა, „იუთუბზე“ გამოქვეყნდა 2018 წლის 16 ოქტომბერს. ასევე ვრცელდება ტელევიზიებით. |
| 9 | რამდენად სანდოა? რატომ მიგაჩნიათ სანდოდ ან პირიქით? რა არის ამ ინფორმაციის, მოსაზრების ან მტკიცებულების წყარო? | რეკლამა შექმნილია კომპანიის დაკვეთით. ამ მხრივ ის სანდოა; გვაწვდის მის შესახებ ინფორმაციას, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მხოლოდ დადებით, ხალხის მასებზე ზეგავლენის მომხდენ, ეფექტურად შეფუთულ პროდუქტს გვთავაზობს. | |

ამ აქტივობის შედეგად მოსწავლეებმა გაიაზრეს, რომ კარგი რეკლამა მნიშვნელოვანია კომპანიისთვის. ეფექტურად შეფუთული პროდუქტი ზეგავლენას ახდენს მომხმარებელზე, ამიტომ ზოგჯერ შესაძლოა ჩვენთვის არახელსაყრელი პროდუქციაც შევიძინოთ.

მომდევნო გაკვეთილებს ვუთმობ სამიზნე ცნების შესაბამისი საკითხების დამუშავებას, თუმცა არ მავიწყდება კომპლექსური დავალება და ხშირად ვსვამ სადისკუსიო კითხვას სამიზნე ცნებასთან კავშირში.

თემის დასასრულს მოსწავლეებმა წარმოადგინეს შესრულებული კომპლექსური დავალებები. საინტერესო იყო მათი მსჯელობა, ანალიზი. ჰქონდათ განსხვავებული გადაწყვეტილებები და თავისთავად ყველა მართებული იყო. მოსწავლეები მათ არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ თავიანთ კვლევებზე დაყრდნობით. მედიაწიგნიერება ითვალისწინებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინტერპრეტაციების არსებობას.

გთავაზობთ ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარს.

ინფორმაცია მოვიძიე შემდეგ საიტებზე:

https://www.magticom.ge/ka/private/mobile/packages

https://geocell.ge/ge/private/services/tariffs

https://shop.beeline.ge/ka/bundles/?selectedFamily=2

ამოვიწერე ინფორმაცია და ჩავწერე ცხრილებში სამივე ტელესაკომუნიკაციო კომპანიის **სტანდარტული ტარიფების** შესახებ მობილური ტელეფონებისთვის. ცხრილში მონაცემები გამოვსახე ერთი და იმავე ერთეულით. შევადარე ერთმანეთს ტარიფები. ასევე განვიხილე **შეთავაზებები**.

| | I კომპანია | II კომპანია | III კომპანია |
|---|---|---|---|
| ნებისმიერ ქსელზე საქართველოში წუთის ღირებულება | 24 თეთრი | 24 თეთრი | 10 თეთრი. ზარის წამოწყება – 10 თეთრი |
| SMS საქართველოში | 6 თეთრი | 6 თეთრი | 1 თეთრი |
| MMS საქართველოში | 6 თეთრი | 15 თეთრი | |
| მობილური ინტერნეტი 1 მბ | 10 თეთრი | 70 თეთრი | 10 თეთრი |
| საერთაშორისო ზარები | 35 თეთრი | | |
| საერთაშორისო SMS | 24 თეთრი | 12 თეთრი / 21 თეთრი | |

ფასის მიხედვით, მესამე კომპანია მიმზიდველია, თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია დაფარვის ზონა. ანას ხომ მაღალმთიან რეგიონში ჰყავს მშობლები და მეგობრები. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის უნდა დავრეკო ცხელ ხაზზე და ვიკითხო, მესამე კომპანიას თუ აქვს მაღალმთიან რეგიონებში ყველა თაობის (2G, 3G, 4G, 4,5G) მობილურებისთვის ინტერნეტის მხარდაჭერა.

შეთავაზებები ორივე (პირველ და მეორე) კომპანიას საინტერესო აქვს. თუ აბონენტი სარგებლობს იმავე კომპანიის ტელევიზიით, მაშინ ორივე ქსელის აბონენტს შეუძლია აირჩიოს ნომრები და შეუზღუდავად ისაუბროს მათთან. პირველი კომპანია 4 ნომრის არჩევის საშუალებას იძლევა 1 ლარად, მეორე კი – 2-ის.

SMS და MMS პაკეტების შესახებ ინფორმაცია კი ასეთია:

| პაკეტის ღირებულება | I კომპანია | II კომპანია | III კომპანია |
|---|---|---|---|
| 1 ლარი | 100 SMS/MMS | | |
| 1,5 ლარი | 150 SMS/MMS | 150 SMS | 500 SMS |
| 2,5 ლარი | 400 SMS/MMS | | |
| 3 ლარი | | 500 SMS | |
| 5 ლარი | 1000 SMS/MMS | | ულიმიტო |
| 7 ლარი | | ულიმიტო | |
| 10 ლარი | ულიმიტო | | |

მესამე კომპანიაში 1 SMS-ის ფასი ბევრად ნაკლებია - 0,003 ლარი, ასევე 5-ლარიანი პაკეტით მომხმარებელი ულიმიტო რაოდენობის SMS-ს შეიძენს. პირველში კი 5 ლარად იყიდი SMS-ს, რომლის ფასი 0,005 ლარია. თუმცა პირველ კომპანიას ის უპირატესობა აქვს, რომ ამ ფასად აგზავნი SMS-საც და MMS-საც.

მობილური ტელეფონებისთვის **ინტერნეტპაკეტების** შესახებ მოძიებული ინფორმაცია ასეთია (**1გბ=1024 მგ.** ტარიფები შევადარე ერთმანეთს):

| პაკეტის ღირებულება | I კომპანია | II კომპანია | III კომპანია |
|---|---|---|---|
| 2 ლარი | | | 700 მბ (7 დღე) |
| 3 ლარი | | | 9 გბ (7 დღე) ან 1500 მბ (14 დღე) |
| 4 ლარი | | 750 მბ (30 დღე) | |
| 5 ლარი | 1000 მბ (30 დღე) ან ულიმიტო 1 კვირა | | |
| 6 ლარი | | 1,5 გბ (30 დღე) | 4 გბ (14 დღე) |
| 7 ლარი | | | |
| 9 ლარი | 3000 მბ (30 დღე) | 3 გბ (30დღე) | |
| 11 ლარი | | | 4 გბ (30 დღე) + ღამის ულიმიტო |
| 12 ლარი | 5000 მბ (30 დღე) | 5 გბ (30 დღე) | |
| 7 ლარი | | | 2 გბ (30 დღე) + ღამის ულიმიტო |
| 15 ლარი | | 8 გბ (30 დღე) | 30 გბ (14 დღე) |
| 17 ლარი | | | 10 გბ (30 დღე) + ღამის ულიმიტო |
| 25 ლარი | 20000 მბ (30 დღე) | | |
| 30 ლარი | | 20 გბ (30 დღე) | 30 გბ (30 დღე) + ღამის ულიმიტო |

| პაკეტის ღირებულება | I კომპანია | II კომპანია | III კომპანია |
|---|---|---|---|
| 3 ლარი | | ულიმიტო 1 დღე | |
| 2 ლარი | | | ღამის ულიმიტო ინტერნეტი 14 დღე |
| 1,5 ლარი | | 2 გბ 1 დღე | |
| 1 ლარი | ულიმიტო 1 დღე | | ულიმიტო (1/8 დღე, ანუ 3 სთ) |

პირველ და მეორე კომპანიებს თითქმის ერთნაირი ფასები აქვთ – 9-ლარიან და 12-ლარიან პაკეტებში 1მბ ღირს თითქმის ერთი და იგივე – 0,0024 ლარი. მესამე კომპანიის ფასები უფრო ნაკლებია, თუმცა ვადებია შედარებით მცირე. ასევე აქვს ღამის ულიმიტო ინტერნეტი იაფად.

მობილური ტელეფონებისთვის **შერეული პაკეტების** შესახებ ინფორმაცია ასეთია:

| პაკეტის ღირებულება | I კომპანია | II კომპანია | III კომპანია |
|---|---|---|---|
| 3 ლარი | 1000 მბ<br>1000 SMS/MMS<br>(7 დღე) | | |
| 5 ლარი | | 120 წთ.<br>100 მბ<br>100 SMS | |
| 7 ლარი | ულიმიტო 1 დღე | | 100 წთ<br>500 მბ<br>1000 SMS |
| 10 ლარი | | შიდა ქსელზე უსასრულო წთ.<br>300 მბ<br>1000 SMS | |
| 25 ლარი | 1000 მბ<br>ულიმიტო წთ<br>ულიმიტო SMS/MMS | უსასრულო წთ.<br>1024 მბ<br>უსასრულო SMS | |
| 50 ლარი | 10000 მბ<br>ულიმიტო წთ<br>ულიმიტო SMS/MMS | | |
| 60 ლარი | უსასრულო წთ.<br>5012 მბ<br>უსასრულო SMS | | |

საინტერესო პაკეტებია. ადამიანმა საკუთარი საჭიროებების მიხედვით უნდა გადაწყვიტოს, რომელი პაკეტია მისთვის ხელსაყრელი. მაგალითად, ვინც ბევრს არ საუბრობს და სახლსა და სამსახურში ინტერნეტი აქვს, მისთვის ძალიან კარგია მეორე კომპანიის 5-ლარიანი პაკეტი.

25-ლარიანი პაკეტები პირველ და მეორე კომპანიებს თითქმის ერთნაირი აქვთ. მეორე კომპანიის 60-ლარიანი პაკეტი ძვირია. პირველი კომპანიის 50-ლარიანი პაკეტი 2-ჯერ მეტ ინტერნეტს გვთავაზობს, აქ უპირობოდ ჯობს პირველი კომპანიის ფასი.

ანა საუბრობს დღეში საშუალოდ 12 წთ-ს, თვეში - 12*30 = 360 წთ-ს. სტანდარტული ფასით, ეს ლარებში არის 360*0,24=86,4 ლარი. მინიმუმ 10 SMS დღეში - თვეში 300 SMS-ია და ლარში უდრის 18-ს. ანუ 86,4+18=104,4 ლარი. მესამე კომპანია კი 360*20=72 ლარს გადაახდევინებს საუბარში და 3 ლარს - SMS-ებში. ამიტომ უმჯობესია, რომელიმე კომპანიის პაკეტებით ისარგებლოს.

რადგან ანას ინტერნეტიც სჭირდება ონლაინსწავლისთვის, თანაკურსელებთან სასწავლო მასალების გაცვლისთვის, ამიტომ ვურჩიე შერეული პაკეტებიდან ერთ-ერთი, მისთვის ყველაზე ხელსაყრელი. გასათვალისწინებელია, რომ ანას მაღალმთიან რეგიონში ჰყავს ოჯახის წევრები და მეგობრები. იქ ყველაზე ხარისხიანი ინტერნეტი პირველ კომპანიას აქვს. ამიტომ 25-ლარიანი პაკეტით ანა გადაიხდის 4-ჯერ ნაკლებ თანხას (79,4 ლარი ეზოგება) და ულიმიტოდ ისაუბრებს, გაგზავნის ულიმიტო რაოდენობის SMS-სა და MMS-ს. შეზღუდულია მხოლოდ მბ-ებში. შეუძლია დაამატოს 12-ლარიანი ინტერნეტპაკეტი – 5000 მბ. საერთო ჯამში, 37 ლარად ანა ყიდულობს 6000 მბ ინტერნეტს, ულიმიტოდ საუბრობს ადგილობრივ ქსელებზე და ულიმიტო SMS-ს და MMS-ს აგზავნის, თანხას კი იხდის 2,8-ჯერ ნაკლებს (თვეში 67,4 ლარი ეზოგება).

## გამოყენებული ლიტერატურა


1. მედიაწიგნიერება. სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი, 2014
2. ვებპორტალი „მედიაწიგნიერება“ http://medialiteracy.ge/ge/page/id/7/ra-aris-mediawigniereba
3. ეროვნული სასწავლო გეგმა http://ncp.ge/ge/curriculum?subject=36&subchild=198
4. ქეთი ცერცვაძე. მათემატიკის გზამკვლევი კურიკულუმის შეგდენისათვის. დამხმარე რესურსი მასწავლებლებისათვის (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). https://clck.ru/SkNrc


კომპლექსური დავალებების წარდგენის დასასრულს, შეჯამების მიზნით, მოსწავლეებს ვთხოვე, შეექმნათ თემატური სლოგანები (3-4 წთ.). გიზიარებთ ბავშვების მიერ მოფიქრებულ ლაკონიურ წინადადებებს:

- მეტი ინფორმაცია მეტი სარგებელია!
- ნუ მოგხიბლავს რეკლამა, დაუკვირდი შინაარსს!
- გადაიხადე ნაკლები, მიიღე მეტი!
- გათვალე ცხოვრება სწორად!
- დახარჯე ფული მიზანმიმართულად!
- მიიღე სწორი გადაწყვეტილება!
- დაუსვი საკუთარ თავს მეტი შეკითხვა: რა? როგორ? რატომ?
- მოგებული დარჩი შენ და არა ინფორმაციის მომწოდებელი!
- გაშიფრე ინფორმაცია მრავალმხრივ!
- მოიძიე ბევრი ინფორმაცია და აირჩიე ერთი, საუკეთესო!
- დაფიქრდი რეკლამის გზავნილზე!
- ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი!

მოსწავლეებმა ხალისით შეასრულეს კომპლექსური დავალებები. მათემატიკური ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნის შეძენის პარალელურად მათ განუვითარდათ მედიაწიგნიერების - ინფორმაციის გაფილტვრის, შედარების, ანალიზის, სასარგებლო ინფორმაციის შექმნისა და ყოფაცხოვრებაში, მსგავსი სიტუაციური ამოცანების გადაწყვეტისას გამოყენების – უნარები.

ქეთევან ოსიაშვილი

# დაუსრულებელი მოთხრობა, როგორც საკორექციო მუშაობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

საკამათო არ არის, რომ სკოლის პერიოდი ადამიანის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. სწორედ ამ დროს ხდება ისეთი ცვლილებები და თან ისეთი ტემპით, რომლის მსგავსსაც ადამიანის განვითარების ვერცერთ ეტაპზე ვერ შევხვდებით. სასკოლო პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს პიროვნების ჩამოყალიბება და გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავება. თუ ეს პროცესები არასწორად წარიმართა და აღმზრდელებმა შეცდომები დაუშვეს, მომავალში მათი გამოსწორების ყოველგვარი მცდელობა შესაძლოა უშედეგო აღმოჩნდეს.

სკოლა საკმაოდ სპეციფიკური სასწავლო დაწესებულებაა. მისი მიზანი არ არის და არც შეიძლება იყოს ბავშვებისთვის მხოლოდ ცოდნის გადაცემა. ეს ეროვნული სასწავლო გეგმით, მასწავლებლის ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტითაც დასტურდება. მასში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ სკოლის მიზანია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ მოზარდებისთვის გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავება და განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. ასე რომ, სწორად და ეფექტიანად წარმართული სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა უნდა მიიღოს სამი პროდუქტი: ცოდნა, უნარები და განწყობა-დამოკიდებულებები.

პიროვნების ჩამოყალიბების პროცესის ინტენსიური მიმდინარეობისას გვერდს ვერ ავუვლით ღირებულებებისა და განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე ზრუნვას. ისიც უნდა ითქვას, რომ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი უმტკივნეულოდ და სწორხაზოვნად არ მიმდინარეობს. ხშირად საჭიროა ბავშვის ქცევაში, ღირებულებებსა და განწყობა-დამოკიდებულებებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, საკორექციო მუშაობის ჩატარება. ასეთი მუშაობის ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, იმაზეა დამოკიდებული, რა მეთოდებს და ინსტრუმენტებს გამოვიყენებთ. უფროსები – პედაგოგები და მშობლები – ასეთ დროს, როგორც წესი, ან სჯიან ბავშვს „უსაქციელობის“ გამო, უწესებენ აკრძალვებს, ან უტარებენ „აღმზრდელობით“ საუბრებს და ცდილობენ დაარწმუნონ, რომ კარგი ბავშვები ასე არ იქცევიან. დასჯა არათუ ქცევის კორექციას ვერ ახდენს, არამედ უფროსებსა და მოზარდს შორის კონფლიქტის მიზეზადაც კი იქცევა ხოლმე, რაც, ბუნებრივია,

**არ არსებობს უნივერსალური ხერხი, რომელიც ბავშვის ქცევაში შემჩნეულ ნებისმიერ სირთულეს უპრობლემოდ დაგვაძლევინებს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა მეთოდის გამოყენება იქნება ეფექტიანი.**

**არ არსებობს ბავშვთან დაკავშირებული დაუძლეველი პრობლემა. მთავარია, სწორად დაიგეგმოს საკორექციო მუშაობა, ზუსტად განისაზღვროს ბავშვის ასაკი, ინტერესების, შესაძლებლობები და მუშაობის მეთოდები აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩეს.**

ახალი პრობლემების წინაშე გვაყენებს. რაც შეეხება „აღმზრდელობით“, ჭკუისდამრიგებლურ საუბრებს, ამ შემთხვევაში მოვლენები შეიძლება ორგვარად განვითარდეს:

არიან ბავშვები, რომლებიც ასეთი საუბრის დროს, განსაკუთრებით – თუ ის ხმამაღლა და საყვედურების თანხლებით მიმდინარეობს, ბრაზობენ, თავდაცვით პოზიციას იკავებენ და ცდილობენ, ყველა დაარწმუნონ, რომ მათ ცუდი არაფერი ჩაუდენიათ, უბრალოდ, გარშემო მყოფებს არ ესმით მათი.

ბავშვების მეორე კატეგორია თავჩაღუნული, მორჩილად უსმენს უფროსს, თითქოს აღიარებს კიდეც „დანაშაულს“, შესაძლოა ბოდიშიც მოიხადოს, მაგრამ არაფერს ცვლის, ყველაფერს ისევე აკეთებს, როგორც მანამდე, განსაკუთრებით მაშინ, როცა უფროსები ვერ ხედავენ.

ვფიქრობ, ადვილი მისახვედრია, რომ ვერც დასჯა, ვერც ჭკუისდამრიგებლური საუბრები ბევრს ვერაფერს ცვლის მოზარდის ქცევაში. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფროსები პირდაპირ ზემოქმედებას ცდილობენ ბავშვზე, ბრალად სდებენ უსაქციელობას და გამოსწორებისკენ მოუწოდებენ. მოზარდების უმრავლესობა ამ დროს ყველანაირად ცდილობს, გაამართლოს საკუთარი ქცევა.

სულ სხვა შედეგი შეიძლება მივიღოთ მსგავს სიტუაციაში საკორექციო მუშაობის არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ არა იმ ბავშვის ქცევას, ვისზე ზემოქმედებასაც ვცდილობთ, არამედ სხვა, სრულიად უცხო ბავშვის ცხოვრების ეპიზოდს ვუყვებით მას და მომავალში მის სავარაუდო ქცევაზე ვესაუბრებით. ბავშვი, რომელიც სხვის ქცევას ეცნობა, ქვეცნობიერად მის საკუთარ თავზე პროექციას ახდენს, რაც ცვლილების მეტ შესაძლებლობას იძლევა.

იმისთვის, რომ უკეთ გაიგოს მკითხველმა, რაზეა საუბარი, მოვიყვან ერთ მაგალითს ჩემი პრაქტიკიდან.

წლების წინ მეხუთე კლასის ხელმძღვანელი აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ მისი კლასის ერთ-ერთი მოსწავლე, სახელად გიორგი, ისე უხეშად ელაპარაკა სკოლაში მოსულ ბებიას, საბრალო ქალი ატირდა. როგორც კლასის ხელმძღვანელმა აღნიშნა, მისი ინიციატივით გიორგის ქცევა თანაკლასელების ჯგუფში განიხილეს. როგორც მასწავლებელი, ისე ბავშვებიც ადანაშაულებდნენ გიორგის და მისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ, ის კი ყველას არწმუნებდა, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენია. ვინაიდან ამ კლასთან შეხვედრა ხშირად მიწევდა, გადავწყვიტე, საქმეში ჩავრეულიყავი, ოღონდ ისე, რომ გიორგის ქცევა კლასში განხილვის საგნად არ მექცია. კლასთან მუშაობის დროს ხშირად ვიყენებდი ჩემ მიერ შეთხზულ დაუსრულებელ ისტორიებს, ვუკითხავდი და ვთხოვდი, მოეფიქრებინათ ამბის სავარაუდო დასასრული, დაეწერათ და შემდეგ თანაკლასელებისთვის გაეცნოთ. ამ ისტორიების თემატიკა ეხებოდა როგორც მათი თანატოლების, ისე უფროსების პრობლემებს. ამჯერად ბავშვებს შევთავაზე დაუსრულებელი მოთხრობა მათი თანატოლი ბიჭუნას, გიგას შესახებ:

**„ძალიან ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ ადამიანი, რომელიც გიყვარდა, პატივს სცემდი, თურმე ის არ ყოფილა, ვინც გეგონა. დარწმუნებული ვიყავი, რომ გიგაზე ვაჟკაცური ბიჭი ამქვეყნად არ დაიარებოდა, მასზე კეთილი და სამართლიანი არავინ იყო. ყველა გოგონა მოხიბლული იყო გიგას ვაჟკაცობით და კეთილშობილებით და სიმპათიას ვერ მალავდნენ მის მიმართ. მეც მათ შორის ვიყავი და ძალიან მეამაყებოდა, რომ გიგა ჩემდამი გამორჩეულად ყურადღებიანი და მზრუნველი იყო. თავი ბედნიერად მიმაჩნდა, რომ ასეთი ვაჟკაცური ბიჭი ჩემთან მეგობრობის სურვილს ყველას თანდასწრებით გამოხატავდა. გოგონები შურით ივსებოდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ, გიგას ყურადღება მიეპყროთ. თუმცა ერთ დღეს ისეთი რამ მოხდა, რომ გიგაზე წარმოდგენა სრულიად შემეცვალა.**

**რაკი მე და გიგა მეგობრები ვიყავით, ხშირად დავდიოდით სტუმრად ერთმანეთთან - ხან გაკვეთილებს ვამზადებდით ერთად, ხან ვთამაშობდით. იმ დღესაც გიგასთან ვიყავი სტუმრად – გადავწყვიტეთ, საკონტროლო წერისთვის ერთად მოვმზადებულიყავით. გიგა ჩვეულებისამებრ ზრდილობიანი და თავაზიანი იყო, მაგრამ როცა ოთახის კარი გაიღო და გიგას ბებია გამოჩნდა, ყველაფერი უეცრად შეიცვალა. „ბებო გენაცვალოთ, იქნებ ნამცხვარი გაგესინჯათ,**

ტექსტის მოსმენის შემდეგ ბავშვებმა დაიწყეს ფიქრი ამბის სავარაუდო გაგრძელებასა და დასასრულზე. ყველა, მათ შორის გიორგიც, გატაცებით წერდა. სამუშაოს დასრულების შემდეგ მან მთხოვა, პრეზენტაცია მისი ნამუშევრის გაცნობით დაგვეწყო. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. გიორგიმ მოსმენილი ამბის ასეთი გაგრძელება შემოგვთავაზა:

საგანგებოდ თქვენთვის გამოვაცხვე", – მოხუცი საოცრად თბილად და ალერსიანად გვიყურებდა და ნამცხვრით სავსე თეფშს გვიწვდიდა. მე გიგას გავხედე და თავზარი დამეცა. ის ისეთი სახით უყურებდა ბებიას, თითქოს მის წინ დაუძინებელი მტერი მდგარიყოს. „რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ჩემს ოთახში არ შემოხვიდე და არ შემაწუხო, არ მჭირდება შენი ნამცხვარი!" – განრისხებული გიგა ადგილს ვერ პოულობდა. მოხუცი ხმაამოუღებლად გავიდა ოთახიდან. მე გაოგნებული შევყურებდი გიგას – ჩემ წინ სულ სხვა ადამიანი იდგა. ეს რამდენიმე წამს გაგრძელდა.

ცოტა ხანში გიგა ისევ ზრდილობიან და თავაზიან ბიჭად გადაიქცა. ის შეეცადა, გაეგრძელებინა მეცადინეობა, მაგრამ მე ვეღარ შევძელი ეს, მოვიმიზეზე, რომ სახლში მელოდებოდნენ და სასწრაფოდ გამოვედი გიგას ბინიდან. მივდიოდი ქუჩაში და ვფიქრობდი, რა ადვილად შეიძლება შეცდე ადამიანში. როგორ შეიძლება თავაზიანი, ზრდილობიანი და ვაჟკაცური იყოს ადამიანი, რომელიც უახლოეს ადამიანს ასე უხეშად ექცევა. ნეტავი თუ მიხვდა გიგა, რომ მასთან მეგობრობაზე უარის თქმას ვაპირებ?"

„გავიდა რამდენიმე დღე. გიგა მიხვდა, რომ მისმა საქციელმა მეგობარი ძალიან გაანაწყენა, რადგან ის გაურბოდა მასთან ურთიერთობას. ერთ დღეს გიგამ კვლავ შესთავაზა მეგობარს, ერთად ემეცადინათ

**მათემატიკა და სახლში მიიწვია. ის დათანხმდა. ოთახში შესვლისთანავე ბებიას, რომელიც ღიმილით შეხვდა ბავშვებს, გიგამ სთხოვა, თუ ძალიან არ შეწუხდებოდა, მათთვის ის ნამცხვარი გამოეცხო, რომელიც ასე ძალიან უყვარდა. გიგა სიყვარულით, ღიმილით ესაუბრებოდა ბებიას. მეგობარს ძალიან მოეწონა გიგას საქციელი და კმაყოფილება არ დაუმალავს. ამის შემდეგ მათ კვლავ ძველებურად გააგრძელეს მეგობრობა“.**

ძალიან მაინტერესებდა, ამ ყველაფრის შემდეგ თავად გიორგი თუ შეცვლიდა რაიმეს ბებიასთან ურთიერთობაში. ამ მიზნით გარკვეული ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდი სკოლაში მოსული ბებიისა და გიორგის ურთიერთობას. უნდა ითქვას, რომ საგანგაშო არაფერი შემიმჩნევია, თავად ბებიამ კი ერთხელ, საუბრისას, კმაყოფილება ვერ დამალა შვილიშვილში მომხდარი სასიკეთო ცვლილებების გამო: „ჩემი გიორგი სანატრელი ბავშვი გახდა. თბილი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი. როგორც ჩანს, გაიზარდა და დაჭკვიანდა“.

## რა უნდა გავითვალისწინოთ ზემოაღნიშნული სამუშაოს ჩატარებისას

- დაუსრულებელი მოთხრობა უნდა ეხებოდეს პრობლემას, რომლის დაძლევასაც ვცდილობთ, თუმცა ზუსტად არ უნდა ასახავდეს მას, რათა ბავშვმა ტექსტში საკუთარი თავი არ ამოიცნოს.
- მოთხრობაში აქცენტები უნდა დაისვას კონკრეტული ასაკისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებზე, იმაზე, რისი დეფიციტიც საფრთხეს შეუქმნის მოზარდის კეთილდღეობას, სიმშვიდეს. მაგ., უკვე მეხუთე კლასიდან ბავშვებისთვის ყველაზე საგანგაშო მეგობრის კეთილგანწყობის დაკარგვაა. ამის თავიდან ასაცილებლად მან შესაძლოა ბევრი ისეთი რამ გააკეთოს, რასაც ვერანაირი სასჯელი და ჭკუისდამრიგებლური საუბარი ვერ გააკეთებინებდა. ზემოთ აღწერილ სიტუაციაში სწორედ მეგობრის დაკარგვის საფრთხემ შეაცვლევინა გიორგის ქცევა.
- მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ნუ ვეცდებით, გავაანალიზებინოთ ბავშვებს მოსმენილი, სანამ ისინი ისტორიის გაგრძელების საკუთარ ვერსიებს არ მოიფიქრებენ. ნუ მოვთხოვთ ბავშვს, გვიპასუხოს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა, მაგ.: „შენ როგორ მოიქცეოდი ასეთ სიტუაციაში?“, „შენ თუ გააკეთებდი ასეთ რამეს?“ ასეთი შეკითხვები მნიშვნელოვნად შეამცირებს არაპირდაპირი ზემოქმედების ეფექტს.
- დისკუსიის დროს ნუ დავუკავშირებთ განხილულ ისტორიას იმ პრობლემას, რომლის დაძლევაც გვინდა. ეს ბავშვმა თავად უნდა გააკეთოს, ჩვენი მინიშნებებისა და ჩარევის გარეშე.
- არ არსებობს უნივერსალური ხერხი, რომელიც ბავშვის ქცევაში შემჩნეულ ნებისმიერ სირთულეს უპრობლემოდ დაგვაძლევინებს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა მეთოდის გამოყენება იქნება ეფექტიანი. მართალია, ზემოთ აღწერილ სიტუაციაში გამოყენებულმა მეთოდმა ეფექტიანად იმუშავა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ხერხი ყველა მსგავს შემთხვევაში ასეთივე შედეგს მოიტანს. მიუხედავად ყველაფრის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაპირდაპირი საკორექციო მეთოდები ბევრად უფრო სწრაფ და უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე ბავშვის ქცევაზე, მის პიროვნებაზე პირდაპირი ზემოქმედება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ბავშვთან დაკავშირებული დაუძლეველი პრობლემა. მთავარია, სწორად დაიგეგმოს საკორექციო მუშაობა, ზუსტად განისაზღვროს ბავშვის ასაკი, ინტერესები, შესაძლებლობები და მუშაობის მეთოდები აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩეს.

ოქტაი ქაზუმოვი

# გოგოთურ და აფშინას ირგვლივ

„გოგოთურ და აფშინა“ ვაჟა-ფშაველას სხვა პოემების ფონზე მკითხველთა ფართო წრისთვის თითქმის უცნობია. არადა, ნაწარმოებში დასმული საკითხი არანაკლებ აქტუალურია ყოველი დროისა და ეპოქისათვის.

პოემებში **„ალუდა ქეთელაური“** და **„სტუმარ-მასპინძელი“** უცხოტომელ მოსისხლე მტერში ვაჟკაცობის დამნახავ-დამფასებელი ღირსებაა შექებული და, ამდენად, ორივე პოემა საკაცობრიო მნიშვნელობისაა. „გველის მჭამელში“ „გასხივოსნებულ“ ადამიანს არა მხოლოდ სხვათა გამო, არამედ ობიექტური მოცემულობიდან გამომდინარეც უჭირს თავისი სიწმინდის დაცვა. „ბახტრიონში“ კი მამულისათვის თავგანწირვაა ადამიანის უმაღლეს სათნოებად მიჩნეული, რამდენადაც იგი ღვთივკურთხეული მოვალეობაა.

და „გოგოთურ და აფშინა“?

პირველი, რაც მკითხველს ამ პოემაში იზიდავს, ესაა იმთავითვე დამაინტრიგებელი გახსნა ამბისა (ალუდა ქეთელაურშიც ასეა: „მაცნე მოიდა შატილსა: ქისტებმა მოგვცეს ზიანი“) და, ამასთან ერთად, თხრობის სიმსუბუქე:

„ამბობენ, ბლოელ აფშინა,
მინდოდაურის გვარისა,
სცარცვავს სჯულიან-უსჯულოს,
მარჯვედ მამხმარე ფარისა.
ჭერხო აავსო უნჯითა,
როგორც სალარო ხანისა“.

მაგრამ ამ შთამბეჭდავი დახასიათების შემდეგ, აფშინას, ერთი შეხედვით, „კაი ყმად“ რომ წარმოგვიდგენს, უცებ გოგოთური წამოიმართება, რომელიც თურმე აფშინას „ნეკით გასტყვარცნის“ და იქვე „მჯობნის მჯობნი არ დაილევაო“, შეგვახსენებს:

„ნეკით გასტყვარცნის, აფშინა
ხე და ქვათ შაეცხებაო“.

პოემა, მიუხედავად მისი მომცროობისა, თავის თავში ეპოსის შტრიხების მატარებელია. გოგოთურის სახე ეპიკური ნაწარმოების გმირის დარადაა დახატული, რომელსაც ხსენებულ ფიზიკურ ძალასთან ერთად მაღალი ზნეობაც ამშვენებს – მეომრობისდა კვალად, ის გამრჯე ადამიანი („ამბობს: ომის დროს ვიომოთ, არა’დ ვიქნიოთ ცელია“) და კარგი მონადირეა.

ყოველი ეპოსის გმირს რომელიღაც მომენტში ჭარბი ძალა აუცილებლად საფრთხის ქვეშ აყენებს. ასე ვთქვათ, საკუთარი ძალის ზემოქმედებას განიცდის და შედეგად, გაბუდაყებულ-გაბოროტებული, ისჯება კიდეც. გოგოთურმა იცის ეს და ამიტომაც არის, რომ შინ უქმად არ ჩერდება და საკუთარ ენერგიას სასიკეთოდ წარმართავს. თუმცა ამ დროს ცდუნებაც წამოყოფს თავს ცოლის სახით:

„ცოლი აუტყდა გოგოთურს:
– რად გინდა დიდი სხეული,
თუკი ზღურბლს არ გასცილდები,

როგორც სახადით სნეული?!
...წადი, შენც ვინმე გაცარცვე,
არ გინდა სარჩო ნეტარა?
ქისტებს თავები გაჰბალთე,
ხევსურთ დაადევ ბეგარა.
ამბობენ, აფშინაის ცხენს
ტანი სულ ვერცხლით ეფარა".

ცოლის მიერ წამოყვედრებული თითოეული არგუმენტი გოგოთურის სიქველის, ღვაწლის არად ჩაგდებაა. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ცუდ-მრუდ აფშინას სახელი უფრო შორსაა გავარდნილი და ერთგვარ იდეალად წარმოსახული, ვიდრე ჭეშმარიტი გმირის – გოგოთურისა. პოემა გმირისა და ფსევდოგმირის გამოვლენას ეძღვნება.

ცოლთან პაექრობაში გოგოთურის შინაგანი სამყარო უფრო მეტად იშლება. ჩანს, რომ ის სახელისათვის არ იბრძვის – მაშინ მუდამდღე ამას დაიკვეხნიდა; პატივისათვის არ იხარჯება – მაშინ მეფის შემოთავაზებას სიხარულით აიტაცებდა. არც სიმდიდრისთვის იკლავს თავს, რადგან საკუთარი ოფლით ნაშოვნს არ დასჯერდებოდა და, მომხვეჭელობის ვნებას აყოლილი, თუნდაც ქისტებს დაეცემოდა. ერთადერთი, რის გამოც გოგოთური წუხს, სამშობლოს რაც შეიძლება მეტხანს სამსახურია, მანამდე, სანამ ჯანი და ღონე ასდევს.

**რატომ არ მოკლა გოგოთურმა აფშინა? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ენერგია, შემართება იგულა. „შენც ჯანიანი ყოფილხარ, როგორაც წეღან გცადია", – ეუბნება იგი აფშინას დაძმობილების შემდეგ. აფშინას მოკვლით გოგოთური მოსპობდა ამ ენერგიას და მამულისთვის უხმარს გახდიდა.**

გოგოთურის სიდინჯეში ბრძენი კაცის ცინიზმი გამოსჭვივის, რომელსაც ამ ყველაფერზე უკვე დიდი ხანია უფიქრია და მონოლითურ, ბზარდაუმჩნეველ მრწამსად ჩამოუქნია. ამიტომაც არის, რომ არ ამჩატდება, არ დაიბოღმება და:

„დედაკაცს დაათათბირებს:
– უნდა მიმოვვლო ხმელიო,
რასაც შენა მთხოვ, იმისა,
წავალ, ვიქნები მქნელიო.
მოყვრებში გამაემართა
ამის დაცინვით მთქმელიო".

გოგოთურის შინიდან გამოსვლა, თუნდაც დროებით, ისიც მოყვრებში, ერთგვარად სიწმინდის შესანარჩუნებლად, მაცდურად ჩასმენილი ზრახვებისაგან თავის ასარიდებლად, „განსაწმენდად" წამოსული კაცის ნაბიჯად უნდა შეფასდეს. აკი თავად ეუბნება ცოლს:

„თუკი მაცდური არა ხარ,
ეგ საყვედური რა არი?!"

ვაჟას პოემებისთვის ერთი რამაა ნიშნეული: მას ეპიკისათვის სამყოფი მასალა მცირე, ცალკეული პოემების სახით გადმოუცია (მისი თანამედროვე ეპოქა ითხოვს ასე) და თითო პოემაში თითო საკითხისათვის მიუჩენია ადგილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს პოემები სინამდვილეში ერთმანეთის გაგრძელებებია, უფრო სწორად, ერთი თემის ვარიაციებს წარმოადგენს.

ცოლისა და საზოგადოების ზეწოლით, აგრეთვე სხვა გარემოებებით გულდამძიმებული მინდიაც უამრავი საცდურის წინაშე აღმოჩნდება, თუმცა კარგავს თავის უნარს, რომლითაც თავის ხალხს ეხმარებოდა და ეს მისი ტრაგედიის საფუძველი ხდება:

„...რომ სწუწუნებდი, ჩიოდი:
„სიცივე ბავშვებს მილევსო", –
შვილ-მამკვდარივით ჰკიოდი;
„ბერდიას რამდენ შეშა აქვ,
როგორ ცეცხლს ანთებს ჰნახოდი", –
*ცხოვრების მაგალითადა*
*ბრიყვები დამისახოდი"*
*(კურსივი ჩვენია – ო. ქ.).*

გოგოთურის შემთხვევაში ასეთ უნარად მისი შეგნება წარმოგვიდგება, რომლისაც მის ცოლს/საზოგადოებრივ აზრს არაფერი ესმის. გოგოთური არ უჩერდება ამ აზრს, არ ეთრევინება.

აზერბაიჯანულ საგმირო ეპოს „ქოროღლიში" მთავარი გმირის, ქოროღლის, ტოლ ვაჟკაცად გიზიროღლი მუსტაფა ბეგია მიჩნეული:

*„ბაღდადის მიღმა-მოღმა მოსადევარში იყო ერთი სახელგანთქმული ვაჟკაცი, გიზიროღლი მუსტაფა ბეგი. ეს გიზიროღლი მუსტაფა ბეგი ძალიან ყოჩაღი და მკლავღონიერი კაცი იყო. იმისი მამა წინათ გზირი ყოფილიყო, მერე ხონთქარს როგორღაც თვალში არ მოსვლოდა და უსამართლოდ ჩამოეხრჩო. ამის შემდეგ მისი შვილი გიზიროღლი მუსტაფა ბეგი ორმოცი თანამზრახველი ცხენოსნით მთაში ყაჩაღად გავარდნილიყო. ფაშებთან მტრობა ჰქონდა. ხანდახან მამამისის მტრებიდან რომელიმეს დაეცემოდა, დაიჭერდა, სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებდა და ისევ მთებში დაიკარგებოდა.*

*გიზიროღლი მუსტაფა ბეგს დიდი ხანია უნდოდა, როგორმე ქოროღლის შეხვედროდა, ორთარკენაში გამოეწვია და ძალ-ღონეში დასტოლებოდა. ნათქვამია, ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო და გიზიროღლიც ამბობდა: „ან ჩემი ბიჭობა უნდა ითქვას, ან იმისიო“. ქოროღლისაც ბევრი გაეგო გიზიროღლი მუსტაფა ბეგზე. პირადად არასოდეს ენახა, მაგრამ მის მკლავმაგრობაზე ბევრი სმენოდა. ისიც კარგად იცოდა, რომ გიზიროღლი, როგორც იტყვიან, ის მთა - მე და ეს ხევი - შენო, - ამის მადევარი იყო და პირველობას ეძიებდა“.*

„ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო“ – ეს აქსიომაა, მაგრამ ქოროღლის არ ანაღვლებს გიზიროღლი მუსტაფა ბეგთან შებმა. ალბათ, ორი გარემოების გამო:

1) ქოროღლის ვინმესთან ჭიდილი საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად არ სჭირდება – ის ან ვინმესთან დასამეგობრებლად იყენებს ამ ხერხს, ანდა მტერთან ბრძოლაში ავლენს თავის უძლეველობას;
2) გიზიროღლი მუსტაფა ბეგიც მასავით მამის მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო იბრძვის და, ამდენად, ქოროღლი მის მიმართ სიმპათიითა განწყობილი. ამიტომაც არის, რომ ხალხური ცნობიერება მათ შერკინებას კომიკურად აღწერს, ყირათის დარად გიზიროღლის ალაფაჩას (მათი ცხენების სახელებია – ო.ქ.) სიჩაუქესაც ასხამს ხოტბას და ქოროღლის, „ნეტავ ერთი მამა გვყავდესო“, ათქმევინებს.

თუმცა გოგოთურსა და აფშინას შეხვედრას „ქოროღლიდან“ ქოროღლისა და დალი ჰასანის შეყრა უფრო ეთანადება.

დალი ჰასანმა *„ჯერ ქოროღლის შეხედა, მერე ყირათი შეათვალიერა და იკითხა:*

*– ვინა ხარ და ამ ადგილებში რას დადიხარ?*
*– მგზავრი ვარ, – მოუგო ქოროღლიმ.*

*ბიჭმა ქოროღლის ცხენი კიდევ შეათვალიერა და:*

*– ეგ ცხენი სად გიშოვნია?*
*– ჩემი ცხენია.*
*– დღეიდან ჩემი იქნება. ჩამო ცხენიდან.*



**აფშინამ გაიცნობიერა, რომ გოგოთურის ძლიერება მისი ადამიანურობით იკვებებოდა და ამან გააოგნა. შეიგნო, რომ იმას, რასაც აქამდე სჩადიოდა, ვაჟკაცობასთან საერთო არაფერი ჰქონდა და თვალი აეხილა.**

*ქოროღლიმ უთხრა:*

*– გირჩევ, წახვიდე და გზას ბარაქა დააყარო. თორემ შენი საქმე ცუდად იქნება!*

*ბიჭი ამ სიტყვებზე გაბრაზდა. სადავე მოსწია, ცხენი ყალყზე შეაყენა და ქოროღლის ეუბნება:*

*– ჩანს, რომ არა გცნობივარ! რომ გცნობოდი, ასე აღარ დამიწყებდი ლაპარაკს. მე დალი ჰასანს მეძახიან. ამ გზაზე ვინც აივლ-ჩაივლის, ყველა ბაჟსა და ხარაჯას მიხდის.*

*ქოროღლი, მამის სიკვდილის დღიდან მოყოლებული, დალი ჰასანს ეძებდა. უნდოდა, დამეგობრებოდა და მასთან ყოფილიყო, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ საქმეს ასე იოლად თავი არ მოებმებოდა, უჩხუბ-უომრად არაფერი გამოვიდოდა“.*

და ქოროღლი ჯერ თავისას ცდილობს. სურს, დალი ჰასანი გონზე მოიყვანოს, მაგრამ დაცინვის მეტს ვერაფერს იღებს.

*„...ბოლოს ქოროღლიმ ერთი დელიბაშურად დაჰკივლა, დალი ჰასანი აიღო, მიწაზე დასცა და გულბოყვზე მუხლი დააჭირა. ქოროღლიმ რომ ხელი ხმლისკენ წაიღო, დალი ჰასანს ერთი ოხვრა დასცდა.*

*ქოროღლიმ უთხრა:*

*– ერთი პეშვი სისხლი რა გაგხდომია, რომ ეგრე ამოიოხრე?*
*– ჰეი, ვაჟკაცო, არ გეგონოს, ჩემს სულს დავკანკალებდე. აღთქმა მქონდა დადებული, აღთქმას ვერ ვასრულებ და იმაზე ამოვიოხრე.*

*– რა აღთქმა იყო ასეთი? - შეეკითხა ქოროღლი.*

*– ის აღთქმა იყო, რომ ვინც მე დამამარცხებდა, ძმად და მეგობრად გავხდომოდი“.*
*(თარგმანი ზეზვა მედულაშვილისა)*

გოგოთური და აფშინა ერთმანეთს არ დაეძებენ, რადგან ორივე სხვადასხვა ცნობიერების ადამიანია. აფშინასთვის მოცლა გოგოთურს დროის ფუჭ დაკარგვად მიაჩნია, ხოლო აფშინას გოგოთურის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მას არაფერს ეცილება. თუმცა გარდაუვალობა მათ მაინც ახვედრებს ერთმანეთს:

„გოგოთურს ჰხედავს აფშინა,
გულშიაც ჩაეცინება,
ზედ მიჰვარდება ცხენ-და-ცხენ,
უდივრად შაიგინება, –
აფშინას ბაწარაულის
შუქი შორს გაიფინება:
– იარაღნ მამცენ, ფშაველო,
რად გი, არ იცი ხმარება! –
პირდაპირია აფშინა,
ვაჟკაცს არ უყვარს პარება.
რა გაკვირვებით მიყურებ?
აფშინას მეძახიანო!
ჰა, თორო შავთხოვ ფრანგულსა:
ხმალო, გამიჭერ, ფხიანო!“

აფშინა გაბუდაყებული, გათავხედებული ადამიანია, რადგან მას შეგნება აკლია, შეგნება სიქველისა და სიავის გარჩევისა. დალი ჰასანის დარად, ისიც ამპარტავნობითაა აღვსილი, იმ განსხვავებით, რომ დალი ჰასანი თავისი მომრევის გამოჩენას ელოდება. აფშინაც უნდა შეიცვალოს, მიუხედავად იმისა, რომ მას თავად არ სურს და არც მოელის ამას.

აფშინას თუნდაც ირონიულად ვაჟკაცად მოხსენიება („ვაჟკაცს არ უყვარს პარება“) მისდამი ავტორის ერთგვარ სიმპათიასაც უსვამს ხაზს.

ქოროღლის მსგავსად, გოგოთურსაც სურს, კეთილის სიტყვით გამოარკვიოს აფშინა. თანაც აინტერესებს, თუ მოსდგამს სიბრალულისა და ადამიანურობის რაიმე ნიშატი. ამიტომაც ჯერ თავის ვინაობას არ ამხელს და თავსაც ისაწყლებს:

„– რადა, ძმობილო, რად-აგრე?
განდიაცი ვარ ორსული?
დედამ გამზარდა მენაცა,
ნეხვჩი არა ვარ მოსული!
თუ მართლა აფშინაი ხარ,
იარაღთ რად მყრი, ძმისაო?
უიარაღო გამიშვა
ხათრი არა გაქვს ღვთისაო?!“

მაგრამ ამან აფშინას გული არათუ ვერ მოულბო, არამედ კიდევ უფრო გაუსასტიკა და გაახელა. აფშინამ მიიჩნია, რომ გოგოთურს მისი ეშინოდა და ეს ხვეწნა-მუდარაც მხოლოდ საკუთარი ნივთის ვერშემლევი კაცის აჯა იყო.

როდესაც გოგოთურმა თავის მოსაწყლებით აფშინასთან ვერაფერი გააწყო და კეთილი სიტყვითაც ვერაფერი ჩააგონა, ჯერი უკიდურეს ზომაზე – ფიზიკური ძალის გამოყენებაზე მიდგა. გოგოთური აფშინას მაშინ დაეცა, როცა ეს უკანასკნელი ამას არაფრით მოელოდა და, მორიგი „გამარჯვებით“ დამტკბარი, თავის სამყოფლოში აპირებდა გაბრუნებას. გოგოთურის მიერ „მარჯვე დროის“ შერჩევამ ფსიქოლოგიურად გადაასხვაფერა აფშინა. საზოგადოდ, ამგვარი შერკინებების ამსახველი ქართული თუ უცხოური ლიტერატურა აჩვენებს, რომ დამარცხებული მებრძოლი ფსიქოლოგიურად ჩიავდება ან უფრო მეტად იბოღმება. მაგალითად, „ამირანდარეჯანიანში“ საკუთარი თავის ტოლუპოვარ ფალავნად წარმომსახავი ამირან დარეჯანის ძე, როცა გაიგებს, რომ ვიღაც ამბრი არაბს აქებენ, სასწრაფოდ გასწევს მასთან შესარკინებლად, მაგრამ ცოცხალს ვერ მიუსწრებს. ამბრი არაბს უკვე ურმით მიასვენებენ. გზად, ჯაყჯაყში, მას კუბოდან ცალი ფეხი გადმოეკიდება. ამირან დარეჯანის ძე რამდენსაც არ ეცდება, ფეხი კუბოშივე ჩაასვენოს, არაფერი გამოსდის და თავზარი ეცემა – მკვდარს ვერ მოვერიე და ცოცხალს როგორღა გავუმკლავდებოდიო. ეს შემთხვევა მას, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც აძაბუნებს. რატომ? იმიტომ, რომ ამ ეპოსში ფალავნის ძლიერება მის ფიზიკურ შესაძლებლობებთან არის გაიგივებული და ზღვარდადებული. არადა, მხოლოდ სულიერი სამყაროა თვალუწვდენელი, აუწყავი და ვაჟკაცობაც, უპირველეს ყოვლისა, სულის თვისებაა, სულის კეთილშობილებაა. ფიზიკური ძალა მხოლოდ საშუალებაა მის გამოსავლენად.

აფშინაც ფიზიკურ ძალაზე ორიენტირებული პერსონაჟია, განსხვავებით გოგოთურისგან, რომელიც აჩვენებს, რომ მეომრის დანიშნულება სულაც არ არის ადამიანთა ხოცვა-ულეტა, მით უმეტეს, ძარცვა, – პირიქით, მათი გადარჩენა და დაცვაა. ნამდვილი გმირი ფიზიკურ ძალას იშვიათად, ისიც აუცილებლობის შემთხვევაში იყენებს.

გოგოთურმა აფშინა სამი ფსიქოლოგიური ეტაპის გამოტარებით ააღორძინა:

- ჯერ თავი მოისაწყლა და ამით აფშინას მედიდურობა, ზღვარგადასული თავდაჯერება მწვერვალებს უწვდინა;
- ფიზიკური დაჯაბვნით მას ეს ილუზია გაუფანტა და შემდეგ მის მიერ შერჩეული გზის სიმცდარე გაუთვალცხადა;
- ხელი არ ჰკრა კაცს, რომელმაც შველა სთხოვა და ძმადაც გაეფიცა.

რატომ არ მოკლა გოგოთურმა აფშინა?

მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ენერგია, შემართება იგულა. „შენც ჯანიანი ყოფილხარ, როგორაც წეღან გცადია“, – ეუბნება იგი აფშინას დაძმობილების შემდეგ. აფშინას მოკვლით გოგოთური მოსპობდა ამ ენერგიას და მამულისთვის უხმარს გახდიდა. იგი მიხვდა, რომ ზნეობრივად დაცემულ ადამიანს ზნეობრივი თანადგომა სჭირდებოდა. სად ჰყავს მამულს დასაკარგავი შვილები? – ეს ვაჟას კრედოა.

რაც შეეხება აფშინას, მანაც, თავის მხრივ, გაიცნობიერა, რომ გოგოთურის ძლიერება მისი ადამიანურობით იკვებებოდა და ამან გააოგნა. შეიგნო, რომ იმას, რასაც აქამდე სჩადიოდა, ვაჟკაცობასთან საერთო არაფერი ჰქონდა და თვალი აეხილა:

„მეგონა თავი, ამბობდა,
გაუტეხელი ბურჯია;
ეხლა სჯობს სახჩი ვიმალო,
თავზე დავირტყა გურჩია.
მოდი, გაკოცო, გოგოთურ,
სიკეთისათვის შუბლჩია“.

აფშინამ დააგდო ძველი გზა, ცხენი და აბჯარი სხვას მისცა და „გახდა ერთგული რჯულისა“, ანუ მონანიებას მიჰყო ხელი და პოემის ბოლოსკენ მას უკვე ხევისბრად ვხედავთ.

ვაჟა-ფშაველა სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე, მოქალაქეობრივ შეგნებაზე მოფიქრალი პოეტი და მოაზროვნეა.

თუ ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის თანამედროვე გაგებით ნაციად ჩამოყალიბებას ესწრაფოდა, ვაჟა პიროვნებისა და სახელმწიფოს/მამულის მიმართების სამარადჟამოდ აქტუალურ კონცეფციას უკირკიტებდა, რისი ერთ-ერთი ცხადი დასტურიც სწორედ „გოგოთურ და აფშინაა“.

*წიგნიდან „129 გვერდი ლიტერატურაზე“*

თემურ სუყაშვილი

# თვითმართული სწავლა და მისი დანერგვა ქართულ სკოლაში

**მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს, რა ისწავლა, რა გამოცდილება მიიღო, ამასთან, კონკრეტულად რომელი უნარი განივითარა და აღმოაჩინა საკუთარ თავში და ა.შ. სწორედ ამიტომ თვითმართული სწავლის ქვაკუთხედია რეფლექსია და დაკვირვება საკუთარ თავზე.**

მასწავლებლის უწყვეტი განვითარებისთვის აუცილებელია ახალი გამოწვევები. გარდა საგნობრივი თუ მეთოდური ტრენინგებისა, პროფესიული განვითარების კარგი საშუალებაა საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროგრამებში მონაწილეობა. მასწავლებელი, რომელიც მუდმივად ისწრაფვის სიახლეებისკენ, სკოლაში ბევრ საინტერესო აქტივობას ახორციელებს.

2020 წლის აგვისტოს დასაწყისში დამიკავშირდა ჩემი მეგობარი, ტალინის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ინოვაციებისა და ლიდერობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი სალომე ხურციძე და გამაცნო თავისი ხედვა: ის იწყებდა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას და სჭირდებოდა მასწავლებელი საქართველოში, რომელიც საკუთარ პრაქტიკაში დანერგავდა თვითმართული სწავლების პრინციპებს ესტონური გამოცდილების შესაბამისად. სალომე თვითონვე უზრუნველყოფდა მოდულის გაწერას და შესაბამისი მასალების მოწოდებას, მე კი ეს სიახლე სკოლაში უნდა დამენერგა და მენტორის როლი მომერგო. მთელი ეს პროცესი უნდა დაგვეფუძნებინა ორმხრივ დაკვირვებაზე - ჩემი დაკვირვების ობიექტები იქნებოდნენ შერჩეული მოსწავლეები, ხოლო მე, თავის მხრივ, დამაკვირდებოდა იდეის ავტორი.

წინადადებას უყოყმანოდ დავთანხმდი, რადგან დავინახე საშუალება, რომელიც დაეხმარებოდა მოსწავლეებს პიროვნული ზრდის თვალსაზრისით, მე კი ახალ გამოცდილებას შემძენდა.

მკითხველისთვის უკვე ცნობილია პროგრამა, რომელზეც ამ სტატიაში ვრცლად ვისაუბრებ, რადგან დღემდე არაერთი მნიშვნელოვანი რესურსი მომზადდა და გაზიარდა.

## თვითმართული სწავლის პრინციპების აღწერა

21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი კონცეფციაა სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში (lifelong learning). ამ იდეის გულია სწორედ **თვითმართული სწავლა** (Self-directed learning). ეს არის მიზანმიმართული პროცესი, როცა მოსწავლე სკოლიდანვე იწყებს დამოუკიდებელ სწავლას. თვითმართული სწავლის იდეა ერთი შეხედვით მარტივია – მისი მიზანია, ახალგაზრდა შეამზადოს მომავალი ცხოვრებისთვის, რათა მან დამოუკიდებლად შეძლოს იმის გარკვევა, რა უნარები და ცოდნა აქვს, რისი სწავლა სურს და რა რესურსები/გამოცდილება სჭირდება კოლეჯში, უნივერსიტეტში თუ სამუშაო ადგილზე თავის დასამკვიდრებლად.

თვითმართული სწავლა-სწავლება საშუალებას აძლევს მოსწავლეს, იყოს უფრო მოქნილი და სწრაფი.

### რა არის თვითმართული სწავლა?

რამდენიმე რამ, რაც ცნობი-

ლია თვითმართული სწავლის შესახებ:

განათლების მკვლევარი, ემერიტუს-პროფესორი როჯერ ჰიემსტრა აღნიშნავს, რომ თვითმართული სწავლა ნებისმიერი ადამიანისა თუ სასწავლო სიტუაციისთვის არის დამახასიათებელი გარკვეული დოზით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინდივიდი სხვებისგან იზოლირებული უნდა იყოს; ის უბრალოდ მეტ პასუხისმგებლობას იღებს თავის სასწავლო გადაწყვეტილებებთან მიმართებით. ამ ტიპის სწავლისას ცოდნისა და უნარების გადატანა შესაძლებელია სხვადასხვა სიტუაციაში. სასწავლო ჯგუფები, სტაჟირება, რეფლექსია, მასწავლებლის მხრივ კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა, მოსწავლეებთან დიალოგი, ღია სასწავლო და სხვა ტიპის ინოვაციური პროგრამები თვითმართული სწავლის ელემენტებს წარმოადგენს.

## ესტონური გამოცდილება

ესტონეთის ზოგადი განათლების პოლიტიკა საფუძველშივე დამოუკიდებელი ახალგაზრდების აღზრდა-ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული.

თვითმართული სწავლის პრინციპების დანერგვის მხრივ ერთ-ერთი მოწინავეა ვიიმსის გიმნაზია (Viimsi Gymnasium). ის შედარებით ახალი ინსტიტუტია, რომელიც გამოირჩევა შემდეგი ღირებულებებით: თანამშრომლობით, გახსნილობით, ურთიერთპატივისცემითა და მუდმივი განვითარებით. გიმნაზიის ხედვა (მისია) თვითმართვადი, დამოუკიდებელი მოსწავლის განვითარებაზე მუდმივი ორიენტირებაა, ამიტომ X-XII კლასის მოსწავლეებს იქ სთავაზობენ ყოველკვირეულ შეხვედრებს მასწავლებლისა (მენტორის) და 15 მოსწავლის მონაწილეობით.

ესტონური გამოცდილების მიხედვით, თვითმართული სწავლის ერთ-ერთი მთავარი რგოლია მენტორი, რომელიც ამზადებს ყოველკვირეულ შეხვედრებს და წარმართავს მთელ პროცესს. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ესტონელ მოსწავლეებს აქვთ მენტორინგის დღე, სადაც ეცნობიან იდეას, მენტორებსა და მოდულს.

უშუალოდ მენტორინგის მოდული მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- საერთო შეთანხმება მენტორსა და მონაწილეებს შორის;
- სპიკერების მოხსენებებზე დასწრება;
- მოხალისეობა და მათი დახმარება, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება;
- სავარჯიშოები თემებზე: ჩემი ფასეულობები, შთამაგონებელი ხალხი ჩვენ გარშემო, ვინ ვარ მე, ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები, ჯგუფური კულტურა და ჯგუფის სიმბოლოების შექმნა, გუნდის მშენებლობა;
- ყოველთვიური მიზნების დასახვა;
- XXI საუკუნის უნარები;
- სტაჟირების დღის დაგეგმვა და შეფასება.

მენტორინგის მოდულის დასრულების შემდეგ ვიიმსის გიმნაზია ატარებს შიდა კვლევებს, იღებს უკუკავშირს მენტორებისა და მოსწავლეებისგან. ასეთი მიდგომა ეხმარება მათ, მომდევნო წელს გააუმჯობესონ მოდული, დაინახონ ის, რამაც ყველაზე კარგად იმუშავა და პირიქით.

## პრაქტიკაში განხორციელებული აქტივობები

ესტონური გამოცდილებიდან გამომდინარე, პროცესს მენტორინგის პროგრამა დავარქვით. მოსწავლეების შერჩევის შემდეგ დავიწყეთ პროგრამის განხორციელება. 2020 წლის 20 ნოემბრიდან მოყოლებული, 2021 წლის 3 ივნისის ჩათვლით 25 თემატური სასესიო შეხვედრა გაიმართა. ჩვენი ყოველკვირეული შეხვედრები არაფორმალური განათლების პრინციპებზე იყო აგებული.

**ჩვენთვის მენტორინგის პროგრამის ყველა შეხვედრა იყო საინტერესო და ბევრის მომცემი, ამ კარგი დღეებისთვის მადლობა თემო მასწავლებელს**

თემატური სესიები ძირითადად ორიენტირებული იყო მოსწავლეებში ღირებულებების აღმოჩენასა და ჩამოყალიბებაზე, 21-ე საუკუნის უნარების განვითარებაზე, შემეცნებითი აქტივობებით მოტივაციის ამაღლებაზე, პიროვნულ განვითარებაზე, ეფექტური კომუნიკაციის უნარების დახვეწაზე და ა.შ. ამავე ფორმატში განვიხილავდით განხორციელებულ აქტივობებს, რადგან

**გამოცდილებამ და პრაქტიკამ მიჩვენა, რომ დაკვირვებასა და კვლევაზე ორიენტირებულმა პროცესმა გაამართლა. ეს იყო პირველი ხანგრძლივი პროგრამა, სადაც თვალს ვადევნებდით მოსწავლეთა განვითარების ხარისხს, დამოკიდებულებების ცვლილებებს, თანამშრომლობით კულტურას, მოსწავლეთა შედეგებს.**

თვითმართული სწავლის მნიშვნელოვანი პრინციპია მუდმივი ორმხრივი უკუკავშირი, კვლევა და დაკვირვება საკუთარ თავზე. სწორედ ამისთვის ვიყენებდით ონლაინინსტრუმენტებს Google forms-ის პლატფორმაზე კითხვარების სახით და სხვა.

გარდა ყოველკვირეული შეხვედრებისა, პროგრამა მოიცავდა:

### შეხვედრებს სპიკერებთან

მენტორინგის პროგრამის ფარგლებში გაიმართა ოთხი სესია სპიკერის მონაწილეობით. სპიკერებმა ისაუბრეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ჯანსაღი თვითშეფასება, ადამიანის 6 ძირითადი საჭიროება, ცხოვრებისეული გამოცდილების მნიშვნელობა და შიშებთან გამკლავების ეფექტური სტრატეგიები.

### მოხალისეობას

პროგრამის მონაწილეებმა მოხალისეობის კომპონენტი განახორციელეს ონლაინ და პირისპირ ფორმატში. დისტანციური სწავლების პერიოდში გამართეს შემეცნებითი ვიქტორინები დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის, ჩაატარეს ონლაინსემინარები მოხალისეობისა და სოციალური ქსელების თაობაზე.

სწავლის პირისპირ ფორმატში განახლების შემდეგ მონაწილეები მოხალისეობრივად დაეხმარნენ ბავშვებს საშინაო დავალებების შესრულებაში და სამედიცინო პერსონალს – ამბულატორიაში, დაალაგეს სკოლის ბიბლიოთეკა, დაასუფთავეს ქუჩები და ა.შ.;

### სტაჟირების დღეებს ორგანიზაციებში

მენტორინგის პროგრამაში ჩართული მოსწავლეები, საკუთარი ინტერესებისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით, დაუკავშირდნენ შემდეგ ორგანიზაციებს და გაიარეს სტაჟირების დღე:

- მარნეულის ტელევიზია;
- რადიო „მარნეული“;
- მარნეულის მე-5 საჯარო სკოლა;
- „ჯეოჰოსპიტალის“ მარნეულის ფილიალი;
- საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზია.

### შეჯამება

თავდაპირველად გაწერილი მოდულის მიხედვით, სსიპ ქალაქ მარნეულის N2 საჯარო სკოლაში მენტორინგის პროგრამა უნდა დასრულებულიყო 2021 წლის აპრილში, თუმცა იდეის ავტორმა მისი სასწავლო წლის ბოლომდე გახანგრძლივება შემომთავაზა, რადგან დავინახეთ მოსწავლეთა მაღალი მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს, რა ისწავლა, რა გამოცდილება მიიღო, ამასთან, კონკრეტულად რომელი უნარი განივითარა და აღმოაჩინა საკუთარ თავში და ა.შ. სწორედ ამიტომ თვითმართული სწავლის ქვაკუთხედია რეფლექსია და დაკვირვება საკუთარ თავზე.

მაგალითისთვის მოსწავლეებს დაურიგდათ დაკვირვების ფურცლები, რომელთა მიხედვითაც ავსებდნენ სპიკერთან შეხვედრის ანალიზის დოკუმენტს. მსგავსი პრაქტიკული ინსტრუმენტები მოსწავლეებს ეხმარებოდა, ნათლად დაენახათ ის ხელშესახები შედეგები, რომლებსაც კონკრეტული აქტივობის განხორციელების შედეგად იღებდნენ.

**04.12.2020 შეხვედრა გრენერ ქეთი ევანია-გაისონთან**

**მოწვეული სტუმარი:** ქეთი ევანია-გაისონი
**თემა**: " გამოცდილების გაზიარება, ჯანსაღი თვითშეფასება, ფუნქციონალიზმი,წარმატება"
**თარიღი**: 04.12.2020

2020 წლის 4 დეკემბერს ჩვენს შეხვედრას ეწვია გრენერი ქალბატონი ქეთი ევანია-გაისონი და გაგვიზიარა თავისი გამოცდილება, ისაუბრა იმის შესახებ თუ როგორია წარმატებული ადამიანი და როგორ გამოვიმუშაოთ ჯანსაღი თვითშეფასება.

შეხვედრა ძალიან მომეწონა რადგან სპიკერი აუდიტორიას ძალიან ადვილად და კარგად მართავდა, ეს ყველაფერი იქიდან გამომდინარეობდა რომ იყო ძალიან ენერგიული და უყვარდა ადამიანებთან ურთიერთობა.

სტუმრის მიერ გაზიარებული ინფორმაცია ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი იყო, მისი აზრით ყველა ადამიანს უნდა ქონდეს ჯანსაღი თვითშეფასება. ყველას მიმართ განურჩევლად ასაკისა თუ გიტულისა უნდა იყოს თანასწორი და პატივისცემა გამოიჩინოს მის მიმართ.

მიუხედ ჩემთვის მნიშვნელოვანი რჩება, რომ მქონდეს ჩემი თავის ჯანსაღად შეფასების უნარი და არ განვასხვავო ჩემი თავი იმისგან ვინც ვარ, რადგან მე ვარ ერთი ადამიანი. ასევე მან ერთი საინტერესო მაგალითი მოიყვანა ლიმონზე, რომ როდესაც მას ხელს ვუჭერთ ლიმონის წვენი გამოდის და არა ეამლის, სწორედ ამით მიგვახვედრა მან რომ ჩვენ ვართ ის ვინც ვართ.

სპიკერმა ასეთი რამ თქვა : ,, ადამიანები პირველად დაგაიგნორებენ, შემდეგ დაგცინებენ, შეგებრძოლებიან, გამოგყვებიან და საბოლოოდ გაიმარჯვებ" რაც იმას ნიშნავს რომ არ უნდა შეეშინდეთ სირთულეებს, უნდა დავისახოთ მიზანი და ყველაფერი გაეკეთოთ გამარჯვებისთვის, ყველაფერი ყოველთვის სირთულეებით იწყება მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებით სრულდება. ასევე მან აგვიხსნა თუ რას ნიშნავდა წარმატება, წარმატებულია ადამიანი ვინც იცის რა უნდა, იცის როგორ მიაღწიოს ამ ყველაფერს და იყოს ბედნიერი.

საბოლოოდ ჩემთვის ეს შეხვედრა იყო მოტივაციის მომცემი და იმ ადამიანებს რომლებსაც ექვი ეპარებათ საკუთარ თავში და ვერპოულობენ საკუთარ თავს ვურჩევ მიიღონ მონაწილეობა ასეთ შეხვედრებში.

მოტივაცია და დიდი ინტერესი. ამისთვის მოგვიწია დამატებითი რესურსების მოძიება, აქტივობების მოფიქრება, შესაბამისი მასალების მომზადება და მათი მოდულში ასახვა.

გამოცდილებამ და პრაქტიკამ მიჩვენა, რომ დაკვირვებასა და კვლევაზე ორიენტირებულმა პროცესმა გაამართლა. ეს იყო პირველი ხანგრძლივი პროგრამა, სადაც თვალს ვადევნებდით მოსწავლეთა განვითარების ხარისხს, დამოკიდებულებების ცვლილებებს, თანამშრომლობით კულტურას, მოსწავლეთა შედეგებს და ა.შ. თუ პროგრამის დასაწყისში მონაწილეები მთლიანად მენტორზე იყვნენ დამოკიდებული, 7 თვის შემდეგ უკვე დამოუკიდებლად გეგმავდნენ ისეთ რთულ აქტივობებს, როგორებიცაა მოხალისეობა, სტაჟირების დღე, საინტერესო სპიკერის მოწვევა და შემაჯამებელი ფესტივალი.

მენტორინგის პროგრამა დასრულდა შემაჯამებელი სასწავლო ფესტივალით. ფესტივალზე მოსწავლეებმა მოწვეულ სტუმრებს (ჩართული სკოლების დირექტორები და სხვა მოსწავლეები) გააცნეს თავიანთი მიღწევები, პროგრამის ფარგლებში შექმნილი აუდიო-, ვიდეო- და ვიზუალური რესურსები.


## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. https://ccnmtl.columbia.edu/projects/pl3p/Self-Directed%20Learning.pdf?fbclid=IwAR3hR35Tnev1nfKsKOwXkYO3feWuQNrlpnhhVq7FiS28aFWqpb-MgGtWQOo
2. https://files.eric.ed.gov/fulltext/ED312457.pdf
3. https://drive.google.com/file/d/1y159-Jj11vljg3nsEuJK81933yDK4OfM/view?usp=sharing – სალომე ხურციძე, (2021), მენტორინგის სისტემის დანერგვა თვითმართული სწავლის ხელშესაწყობად მეცხრეკლასელი მოსწავლეებისთვის (სამაგისტრო ნაშრომი). ტალინის უნივერსიტეტი
4. ჰიემსტრა, რ. (1994). თვითმართული სწავლა. Hiemstra, R. (1994). Self-directed learning. In T. Husen & T. N. Postlethwaite (Eds.), The International Encyclopedia of Education (second edition), Oxford: Pergamon Press.
5. https://ccnmtl.columbia.edu/projects/pl3p/Self-Directed%20Learning.pdf

## მენტორინგის პროგრამის ფარგლებში შექმნილი და გაზიარებული რესურსების ჩამონათვალი:

1. http://mastsavlebeli.ge/?p=29505 – სტაჟირება როგორც სასწავლო-შემეცნებითი აქტივობა (ნაწილი პირველი)
2. http://mastsavlebeli.ge/?p=29934 – სტაჟირება როგორც სასწავლო შემეცნებითი აქტივობა (ნაწილი მეორე)
3. http://mastsavlebeli.ge/?p=29391 – ოცდამეერთე საუკუნის უნარები და განათლება
4. http://mastsavlebeli.ge/?p=29086 – აქტივობები გუნდის მშენებლობისა და ყინულის ლღობისთვის
5. http://mastsavlebeli.ge/?p=28802 – სავარჯიშოები ღირებულებების აღმოჩენისა და განმტკიცებისთვის
6. http://mastsavlebeli.ge/?p=28355 – ენერჯაიზერები ონლაინგაკვეთილებისთვის

ცირა ბარბაქაძე

# ვინ არიან „ინდიგო ბავშვები“

„ინდიგო არის ის, ვისაც უნდა, სამყარო უკეთესი გახადოს; ვისაც აქვს იდეები და იცის, როგორ გააკეთოს ეს.

თუ მეტყვიან, შენ ბავშვი ხარ და გულუბრყვილო ხარო, ვუპასუხებ: სწორედ იმიტომ, რომ ბავშვი ვარ, მე არ მაწუხებს აზრი: „ვერაფერს გააწყობ, ასეთია სამყარო...“

არა, ჩვენ შეგვიძლია, შევცვალოთ სამყარო უკეთესობისკენ, უბრალოდ, უნდა ვიმოქმედოთ!“

**ინდიგო ბავშვი**[1]

**„ინდიგო ბავშვები“ დღეს მეტაფორაა და აღნიშნავს განსაკუთრებული უნარების მქონე, პროგრესულ ბავშვებს. ეს განსაკუთრებული უნარები სხვადასხვანაირია: თავდაჯერება, ცოდნის წყურვილი, აღმოჩენებისკენ სწრაფვა, „სიბრძნე“, ისეთი ინფორმაციის ფლობა, რომელიც არსად ამოუკითხავთ, სენსიტიურობა ურთიერთობებში და სამყაროს მიმართ... ესენი არიან ბავშვები, რომლებთანაც არასდროს მოიწყენთ.**

თქვენც გქონიათ შემთხვევა, ძვირფასო მასწავლებლებო, ბავშვთან საუბრის დროს თვალები რომ გაგფართოებიათ, მათ უცნაურ კითხვებს დაუფიქრებიხართ, დაუბნევიხართ კიდეც... ასაკისთვის შეუსაბამო ინფორმაციაც მოგისმენიათ მათგან და ცოდნის და სიბრძნის წყარო ვერ დაგიდგენიათ. ამ განსაკუთრებული უნარის მქონე ბავშვებს „ინდიგო ბავშვებად“ მოიხსენიებენ, თუმცა, ვფიქრობ, თანამედროვეობისთვის ეს სიტყვა უფრო მეტაფორაა.

ტერმინი **„ინდიგო ბავშვები“** პირველად 1982 წელს გამოიყენა ამერიკელმა ფსიქოლოგმა და ექსტრასენსმა ნენსი ენ ტეპმა. ექსტრასენსების მტკიცებით, ამ ბავშვებს ინდიგოსფერი, მუქი იისფერი აურა აქვთ. მეცნიერები ადასტურებენ, რომ დღეს ასეთი ბავშვების რაოდენობა უფრო მეტია.

მაშინდელი ინდიგო ბავშვები უკვე დედები და მამები, ბებიები და ბაბუები არიან. სტუდენტებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მეც ბევრი ინდიგო-სტუდენტი შემხვედრია. მათი შემოქმედებითობა და ინტუიციური ცოდნა განსაკუთრებით იზრდებოდა, როდესაც თავისუფლებას ვაძლევდი და, ამავე დროს, ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებას ვიღებდი/ვაღიარებდი (მაგალითად, პოეზიის აღქმისას ან მეტაფორების „გაშიფვრისას“). ასეთ დროს მათი ანთებული თვალებიდან, გახსნილი გონებიდან და გულიდან ისეთი მეტყველება „იბადებოდა“, ჩვეულებრივ ლექციას შემოქმედებითი ცეცხლით რომ მუხტავდა და ყველას აგრძნობინებდა განსაკუთრებულ, უნიკალურ ატმოსფეროს.

ჩემს შვილთან გულითადი საუბრის დროსაც ხშირად აღმომიჩენია, რომ ის იმ თემაზე მესაუბრება, რომელზეც წინა კვირას დავწერე სტატია, მაგრამ ჯერ არ გამომიქვეყნებია. მიკითხავს კიდეც: „შენ რა, ჩემი სტატია წაიკითხე?“ – „რა სტატია? მოიცა რა, მეტი საქმე არ მაქვს... უბრალოდ, ასე ვფიქრობ“. და ვიცოდი, რომ გულწრფელი იყო.

იმ დღეს კი პატარა ანდრია მელაპარაკა უცხოპლანეტელებზე და იმაზე, როგორ სურს მათი ნახვა, იმაზე, რომ ისინი სხვანაირები არიან, რომ „ცოტა“ სხვანაირად ცხოვრობენ, ვიდრე ადამიანები დედამიწაზე და რომ ეს ყველაფერი ძალიან აინტერესებს. არა, ეს უბრალო ფანტაზია არ ყოფილა, ფილმების ნახვის შემდეგ რომ რჩებათ ბავშვებს. ისეთი დაბეჯითებით ჰყვებოდა ამბებს, თითქოს პირდაპირ „იმ ცხოვრებიდან“ ჩამოსვეს დედამიწაზე. ის ღამე მე და ანდრიამ ერთად გავათენეთ. ვკითხე, შინ ამ თემებზე ვინ გელაპარაკება-მეთქი? ეჰ, ვის სცალია ჩემთვისო, მე კი ამაზე საუბარი არასდროს მომწყინდებაო. ამ ბავშვთან საუბრისას საერთოდ დამეკარგა დროისა და ასაკის შეგრძნება, გამიუქმდა ყოველგვარი გამოცდილება, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ვაგროვე; ანდრიას კითხვებს მე ცოდნით კი არა, ინტუიციით ვპასუხობდი... ის კი არ იღლებოდა.

რამდენი ასეთი შემთხვევა გაგახსენდებათ, ძვირფასო მშობლებო და მასწავლებლებო? და

როგორ ფიქრობთ, ამ ბავშვების ინტერესები ჩვენი განათლების სისტემის ჩარჩოებში ჩაეტევა?

„ინდიგო ბავშვები“ დღეს, როგორც გითხარით, მეტაფორაა და აღნიშნავს განსაკუთრებული უნარების მქონე, პროგრესულ ბავშვებს. ეს განსაკუთრებული უნარები სხვადასხვანაირია: თავდაჯერება, ცოდნის წყურვილი, აღმოჩენებისკენ სწრაფვა, „სიბრძნე“, ისეთი ინფორმაციის ფლობა, რომელიც არსად ამოუკითხავთ, სენსიტიურობა ურთიერთობებში და სამყაროს მიმართ... ესენი არიან ბავშვები, რომლებთანაც არასდროს მოიწყენთ... თუმცა, რომელი ბავშვები?! ახალგაზრდებთან ჩემი ურთიერთობა ისედაც ყოველთვის „თანასწორია“, დრო და ასაკი – გაუქმებული, მათთვის კი – მით უფრო... საერთოდ მგონია, რომ ყველა ადამიანი „ინდიგოა“, უბრალოდ, წინა თაობებს არ ჰქონიათ განვითარებისთვის შესაბამისი პირობები და დანებდნენ, მაგრამ მოდის თაობა, რომელიც სულ უფრო ნაკლებად დანებდება არსებულ უაზრო წესრიგს და შაბლონებს!

არსებობს ცოდნა, რომელსაც წიგნებიდან ვიღებთ და ცოდნა, რომელსაც სამყაროდან „ვტვირთავთ“, ინტერნეტისა და კომპიუტერის გარეშე. აი, ასეთი ცოდნა აქვთ „ინდიგოებს“. ხშირად ისინი მოუღლელები და ჰიპერაქტიურები არიან. და წარმოიდგინეთ ეს ბავშვები მერხთან, მასწავლებელი რომ ეუბნება: „გადაშალეთ წიგნი 24-ე გვერდზე...“ თანამედროვე განათლების სისტემა ამ ბავშვებისთვის „ცოდნის სასაფლაოა“.

აი, რას წერს „ინდიგო ბავშვებზე“ აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი:

**ინდიგო თაობას „ქარხნული წესით“ ვერ აღზრდით, ძველი პედაგოგიკის წესებს ვერ უკარნახებთ, ვერ დაიმორჩილებთ. ეს არის თაობა, რომლისგანაც უნდა ისწავლონ მშობლებმა, მასწავლებლებმა... ეს არის თაობა „მზა ცოდნით“, პროგრესული და ევოლუციონირებული ცნობიერებით.**

*„ინდიგო ბავშვების თაობა პრაქტიკაში პირველად მასწავლებლებმა შენიშნეს. პედაგოგები შეეჯახნენ უჩვეულო ბუნებისა და მონაცემების ბავშვებს. დღის წესრიგში დადგა ისეთი საკითხები, რომლებიც პედაგოგიკაში მანამდე არ არსებობდა. ეს ჰიპერაქტიურობა იყო. ბავშვები ჰიპერაქტიურები გახდნენ. ადრე ეს ცნება არ არსებობდა, არც ჰიპერაქტიური ბავშვები არსებობდნენ, პირიქით, პედაგოგიკას უნდა გაეაქტიურებინა ბავშვი, რათა მას ხელის აწევის სურვილი გასჩენოდა, დავალებები შეესრულებინა, თავად ბავშვი პასიური იყო. დღეს კი ბავშვები არათუ პასიურები, ძალიან აქტიურები არიან, ჰიპერაქტიურები. მათ მშობლებს მასწავლებლებისგან ნოტაციების მოსმენა უწევთ: - „თქვენი შვილი გაკვეთილზე არ ჩერდება, არ გვიჯერებს, ხტის, ყვირის, ჩხუბობს, ჭკუა ასწავლეთ და აუხსენით, როგორ უნდა იქცეოდეს სკოლაში!“ ბევრ მასწავლებელს დღემდე ასეთი მიდგომა აქვს ჰიპერაქტიური ბავშვების მიმართ. ეს ბავშვები 70-80-იანი წლების ბავშვებისგან ძალიან განსხვავდებიან. მათ მრავალწახნაგოვანი შესაძლებლობები აქვთ, უმეტესობა ჩვენთვის უცნობი და გაუგებარია“.* [2]

თუ უფრო მეტად განვაზოგადებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი თაობა უკვე „ინდიგოა“. არა ერთი და ორი ბავშვი კლასში, არამედ თითქმის ყველა ბავშვი განსაკუთრებულია. რაც სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს, ეს არის განათლების სისტემა, რადგან ახალ თაობას პროკრუსტეს სარეცელზე აკრავენ და „აჭრიან“ ყველა უნიკალურ უნარს (ეს არ ეხება იმ მასწავლებლებს, რომლებსაც პრობლემა გაცნობიერებული აქვთ და ამ სისტემაშიც კი ყველაფერს აკეთებენ, რომ ბავშვი არ დაიკარგოს).

ინდიგო თაობას „ქარხნული წესით“ ვერ აღზრდით, ძველი პედაგოგიკის წესებს ვერ უკარნახებთ, ვერ დაიმორჩილებთ.

ეს არის თაობა, რომლისგანაც უნდა ისწავლონ მშობლებმა, მასწავლებლებმა... ეს არის თაობა „მზა ცოდნით“, პროგრესული და ევოლუციონირებული ცნობიერებით.

ფილოსოფიის დოქტორი რობერტ ვ. ჯერარდი (Robert V. Gerard) ამ ბავშვების შესახებ წერს: „ბევრი ინდიგო ხედავს ნატიფი სამყაროს ანგელოზებს და სხვა არსებებს. დროდადრო ისინი დეტალურად ჰყვებიან ამის შესახებ. ეს არ არის წარმოსახვა, ეს რეალობაა...“ [3]

ყველა მშობელმა და მასწავლებელმა სამუშაო მაგიდასთან უნდა გაიკრას ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „ბავშვები“ – ფრაგმენტი წიგნიდან „წინასწარმეტყველი“. ძებნაში დრო რომ არ დაკარგოთ, აქვე გთავაზობთ ამ შესანიშნავ მანიფესტს.

„თქვენი ბავშვები თქვენ არ გეკუთვნით.

ისინი თქვენი საშუალებით მოდიან, მაგრამ არა თქვენგან.

და თუმცა თქვენთან ერთად არიან, თქვენს საკუთრებას არ წარმოადგენენ.

შეგიძლიათ, მისცეთ მათ თქვენი სიყვარული, მაგრამ არა აზრები,

რადგან მათ თავიანთი აზრები აქვთ.

შეგიძლიათ შეიკედლოთ მათი სხეულები, მაგრამ არა – სულები,

რადგან მათი სულები ხვალინდელი დღის მკვიდრნი არიან, თქვენ კი ოცნებაშიც არ შეგიძლიათ მომავლის მონახულება.

შესაძლოა ესწრაფოდეთ, მიემსგავსოთ მათ, მაგრამ ნუ ეცდებით დაიმსგავსოთ ისინი, რადგან ცხოვრება უკან-უკან არ მიდის და გუშინდელ დღესთან არ ყოვნდება.

თქვენ მშვილდები ხართ, რომლებიდანაც თქვენი შვილები, როგორც ცოცხალი ისრები, წინ-წინ გაიჭრნენ.

მსროლელი ხედავს მიზანს უსასრულობის ბილიკზე და ის მოგზიდავთ თქვენ თავისი ძალით, რათა თავისი ისრები სწრაფად და შორს გატყორცნოს.

იხარეთ იმით, რომ მსროლელის ხელში მოიზიდებით, რადგან გაფრენილი ისარივით უყვარს მას მშვილდიც, რომელიც ადგილზე რჩება“.


შენიშვნები

[1] https://www.youtube.com/watch?v=r1qGpoFSm78

[2] http://plus.kvira.ge/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%A1

[3] https://books.google.ge/books?id=nHpNCwAAQBAJ&pg

ქეთევან კობალაძე

# სკოლა და განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვები

**განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვებს უჭირთ კონკრეტული დავალების ჩარჩოებში მოქცევა, რადგან მათი ფიქრები ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება, რაც საშუალებას აძლევს პატარებს, ჩამოაყალიბონ ასოციაციური კავშირები ნებისმიერ თემაზე.**

სტატია დაიწერა ფრანგი ავტორის ჟან სიო-ფაშენის (Jeanne Siaud-Facchin) წიგნის „განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვი. როგორ დავეხმაროთ მას წარმატების მიღწევაში“ მიხედვით. კლინიკური ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი ჟან სიო-ფაშენი ასოციაცია Zebra-ს დამფუძნებელი და თავმჯდომარე და ასოციაცია Cogito-ს დამფუძნებელი და დირექტორია. ასოციაცია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური პრობლემების დიაგნოსტიკასა და მოგვარებაზე მუშაობს. ჟან სიო-ფაშენი რამდენიმე ფსიქოლოგიური ბესტსელერის ავტორიცაა. განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვების, როგორც თავად უწოდებს – „ზებრების“, პრობლემებით დაინტერესება მას გადააწყვეტინა შვიდი წლის ბიჭუნას თხოვნამ: „ქალბატონო, დამეხმარეთ, რომ აღარ ვიყო ასეთი ნიჭიერი, რადგან ძალიან მომბეზრდა სხვებისგან განსხვავებულობა, უბრალოდ დავიღალე“.

ჟან სიო-ფაშენი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვებს სწორედ სკოლაში უჭირთ ყველაზე მეტად, რადგან იქ მეტისმეტად აშკარა ხდება მათი განსხვავებულობა, გამორჩეულობა.

ავტორის თანახმად, ერთი მხრივ, სკოლა ის ადგილია, სადაც ყველაზე ნათლად უნდა გამოვლინდეს ბავშვის განსაკუთრებული ნიჭიერება. მეორე მხრივ, სწორედ სკოლა აიძულებს ბავშვს, იწვალოს, იტანჯოს, რაც უმთავრესად იმის ბრალია, რომ განსხვავებულის იარლიყი ხშირად ნეგატიურად აღიქმება. „ზებრა“ ბავშვებს უჭირთ, მასწავლებლების მოთხოვნებს დაემორჩილონ, რადგან უმეტესად არ ესმით ამ მოთხოვნების არსი. პედაგოგებს, თავის მხრივ, არ ესმით ბავშვების, რომლებიც უდავოდ ნიჭიერები ჩანან, მაგრამ ამავე დროს რატომღაც ცუდად სწავლობენ. სკოლები ვერ ეხმარებიან განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებს მათი პოტენციალის რეალიზებაში, – განაგრძობს ფრანგი ფსიქოლოგი, – უნდა ითქვას, რომ ისინი სერიოზულ ფსიქოლოგიურ შეცდომებს უშვებენ იმ მოსწავლეებთან მიმართებით, რომლებიც ვერაფრით ეწერებიან საყოველთაოდ მიღებულ ჩარჩოებში. „ზებრა“ ბავშვები განიცდიან, რომ ვერ ახერხებენ პედაგოგების მოთხოვნების შესრულებას და იმასაც, რომ მათ ზოგჯერ შეუწყნარებლად ექცევიან. შედეგად ბავშვების ნაწილი საერთოდ უარს ამბობს საკუთარი პოტენციალის განვითარებაზე, რათა აღარ იყვნენ დანარჩენი მასისგან გამორჩეულები და მარტოსულები. ისმის კითხვა: დამნაშავეა სკოლა ამ ყველაფერში? პასუხია: „დიახ“ და „არა“.

**„დიახ“ – იმიტომ, რომ:**

- სახელმწიფო პროგრამების მოთხოვნების თანახმად, სკოლა და პედაგოგები ვალდებულნი არიან, ნებისმიერ მოსწავლესთან ადეკვატური მიდგომები გამოიყენონ. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ვერ ხერხდება.
- პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ თუ ბავშვი ნამდვილად განსაკუთრებულად ნიჭიერია, მას ზედმეტი დახმარება აღარ უნდა სჭირდებოდეს, ის თავად მოახერხებს კარგად სწავლას, თანაც

ისე, რომ კლასში ყველაზე წარმატებული იყოს.

- „ზებრები“ ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევიან, მათგან საოცარ შედეგებს ელიან და თუ რამე შეეშალათ, ამუნათებენ: „ასეთი ჭკვიანი ხარ და ეს როგორ არ იცი?!“
- მასწავლებლები ხშირად მშობლებს აკრიტიკებენ, მიაჩნიათ, რომ ყველა დედას თავისი შვილი გენიოსი ჰგონია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არ არის.
- პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ თუ განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვს რამე უჭირს, ეს მისივე სიზარმაცის ბრალია. „მეტი რომ ემუშავა, ყველაფერი გამოუვიდოდა“.

**„არა“ – იმიტომ, რომ:**

- მასწავლებლებს უმეტესად არ ასწავლიან, როგორ მოექცნენ, როგორ დაეხმარონ განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვებს. მათ არ იციან სწავლისა და სხვა პრობლემების მქონე ბავშვებისადმი მიდგომის სპეციფიკა.
- „ზებრა“ ბავშვების გაგება მართლაც რთულია. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში კვლევა ძალიან ცოტაა, ხოლო სპეციალური პროგრამები პედაგოგებისთვის – კიდევ უფრო ნაკლები.
- განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვების მშობლებს გადაჭარბებული მოლოდინი აქვთ შვილების მიმართ და ზოგჯერ ზეწოლას ახდენენ მასწავლებლებზე.

სკოლაში შესვლამდე განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვები, როგორც წესი, ბევრ რამეს თავად სწავლობენ. თავდაპირველად სკოლას ისინი ახალი, საინტერესო და მრავალფეროვანი ცოდნის მიღების ადგილად აღიქვამენ, მაგრამ გადის ხანი და პატარა „ზებრა“ ხვდება, რომ რეალობა, სამწუხაროდ, სხვაგვარია. სწორედ ამ დროს განიცდის ნიჭიერი მოსწავლე

**სკოლაში შესვლამდე განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვები, როგორც წესი, ბევრ რამეს თავად სწავლობენ. თავდაპირველად სკოლას ისინი ახალი, საინტერესო და მრავალფეროვანი ცოდნის მიღების ადგილად აღიქვამენ, მაგრამ გადის ხანი და პატარა „ზებრა“ ხვდება, რომ რეალობა სხვაგვარია.**

დიდ იმედგაცრუებას, რადგან მისი განსაკუთრებული, უკიდეგანო ცნობისწადილი ვერ კმაყოფილდება. ბავშვს არ ესმის, რატომ ვერ მართლდება მისი მოლოდინი.

პედაგოგებს, რომლებიც ამ სტატიას კითხულობენ, უთუოდ ეცნობათ ფრაზები, რომლებსაც ხშირად წარმოთქვამენ: „გიორგი, შენს მეგობრებსაც უნდა მისცე საშუალება, მიპასუხონ!"; „ნინო, თუ შეიძლება, შეწყვიტე სხვების ნაცვლად პასუხის გაცემა!"; „დავით, საკმარისია კითხვების დასმა!"; „ლუკა, დამაცადე, ავუხსნა კლასს ახალი საკითხი"...

- განსაკუთრებულად ნიჭიერი მოსწავლეები ხვდებიან, რომ:
- მათთვის უმჯობესია, არ გამოამჟღავნონ საკუთრი ცოდნა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მასწავლებელს ჯერ არ აუხსნია ეს საკითხი;
- მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველა კითხვის პასუხი იციან, „ზებრებს" უჯობთ, თავი შეიკავონ პასუხის გაცემისგან, და თუ მაინც წამოსცდებათ რამე, მასწავლებლისგან აუცილებლად საყვედურს მიიღებენ.
- განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვები ხვდებიან, რომ არაპროგრამული კითხვები არ უნდა დასვან, რათა გაკვეთილის ბუნებრივი მსვლელობა არ ჩაიშალოს, მით უმეტეს, მსგავს კითხვებზე პასუხი თანაკლასელებისთვის სულაც არ არის საინტერესო.

ჟან სიო-ფაშენს მიაჩნია, რომ განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეებს მასწავლებლები განიკითხავენ იმ უნარების გამო, რომლებიც მათი თავის ტვინის სპეციფიკურ მოწყობას უკავშირდება. მართლაც, „ზებრა" მოსწავლეებს უჭირთ, სკოლის მოთხოვნების შესაბამისად მომართონ საკუთარი აზროვნება. სწორედ ეს განაპირობებს მათთვის ზარმაცის იარლიყის მიკერებას. სინამდვილეში ასეთი ბავშვები სიახლეებს საოცრად სწრაფად ითვისებენ. ისინი პირდაპირ ისრუტავენ ინფორმაციას, რომელიც მათ ფოტოგრაფიულ მეხსიერებაში აღიბეჭდება, ამას კი სულაც არ სჭირდება დიდი სიბეჯითე და მძიმე შრომა. განსაკუთრებულად ნიჭიერმა მოსწავლემ მოისმინა, შეისრუტა, გაიგო, ესე იგი მან უკვე იცის ეს მასალა. პრობლემა მაშინ წარმოიშობა, როცა საჭირო ხდება მასალის ე.წ. სასკოლო ფორმატში გადმოცემა. „ზებრა" მოსწავლე ცუდ ნიშანს იღებს.

აი, როგორ აღუწერს 12 წლის მოსწავლე ფსიქოლოგს საკუთარ განცდებს: „მე ყოველთვის ვემზადები, შესანიშნავად ვიცი გაკვეთილი, მაგრამ ცუდ ნიშნებს ვიღებ. მეტი აღარ შეიძლია, მშობლები გამუდმებით მიბრაზდებიან, მათ ჰგონიათ, რომ არ ვმეცადინეობ, თორემ აუცილებლად კარგ ნიშნებს მივიღებდი. მე მართლა კარგად ვსწავლობ, უკვე არაფერი მესმის. რა ვქნა? როგორ მოვიქცე? ძალიან დავიღალე!"

ზრდასრული „ზებრას" მაგალითიც გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვებს განსხვავებული ხედვა აქვთ: „ტექსტის ინტერპრეტაციის მაგალითი მახსენდება, როდესაც მასწავლებელი კითხულობდა, თუ როგორ იქცეოდა ესა თუ ის პერსონაჟი. მე სულ მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა ასეთ ნათელ, მარტივ

მოცემულობაზე კითხვის დასმა. წაიკითხავ ტექსტს და ისედაც გაიგებ. მაგრამ რადგან კითხვა დაისვა, ეტყობა, რაღაცაშია საქმე. მაინც რაში? - ვფიქრობდი მე და საბოლოოდ მაინც ვერ ვხვდებოდი, რისი გაკეთება მევალებოდა, ამიტომ საერთოდ არაფერს ვაკეთებდი. მერწმუნეთ, სულაც არ ვყოფილვარ ჯიუტი, მავნე ან მიუხვედრელი, უბრალოდ, აზრადაც არ მომდიოდა, რომ ჩემგან მხოლოდ ტექსტის პერიფრაზს ითხოვდნენ და მეტს არაფერს".

ფრანგი ფსიქოლოგი ასკვნის, რომ განსაკუთრებულად ნიჭიერი მოსწავლეები ახდენენ სასკოლო წარმოდგენების, ფორმულირებების დეკოდირებას. ეს რაღაცით ჰგავს უცხო ენიდან თარგმნის პროცესს, რომლის დროსაც ხშირია შეცდომები და გაუგებრობები.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვებს უჭირთ კონკრეტული დავალების ჩარჩოებში მოქცევა, რადგან მათი ფიქრები ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება, რაც საშუალებას აძლევს პატარებს, ჩამოაყალიბონ ასოციაციური კავშირები ნებისმიერ თემაზე. მათი თავის ტვინის ფუნქციონირების მექანიზმი ძალიან შორს და ძალიან სწრაფად მიმართავს ფიქრებს, რის გამოც მათ ხშირად უჭირთ სწორედ იმ ინფორმაციის ამორჩევა, რომელიც კონკრეტულ საკითხთან არის დაკავშირებული.

კიდევ ერთი საინტერესო გარემოება – განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეს სტანდარტული პროგრამით სწავლაში ხელს უშლის:

- მათემატიკური ინტუიცია, რომელიც „ზებრა" მოსწავლეს პასუხებს „კარნახობს" პირდაპირ, თანამიმდევრული, მწყობრი გამოთვლების გარეშე.
- განსაკუთრებულად ნიჭიერი მოსწავლეები უცნაურ გამოთვლებს აწარმოებენ.
- მათ არ შესწევთ უნარი, დაასაბუთონ და დაამტკიცონ საკუთარი პასუხების მართებულობა, რაც თავის ტვინის სპეციფიკური ფუნქციონირებით აიხსნება.

ამრიგად, განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვები ვერ სწავლობენ ისეთივე წარმატებით არა სიჯიუტის ან სიზარმაცის გამო, არამედ იმიტომ, რომ მათი თავის ტვინი განსხვავებულად მუშაობს, განსხვავებულად ითვისებს და იგებს ინფორმაციას.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

## მასწავლებლის წიგნს:
## „ვწერ მასწავლებლისთვის“



ერთხელ, ბერნარდ შოუ ახალი პიესის პრემიერაზე მიიწვიეს, სპექტაკლის შემდეგ რეჟისორმა ჰკითხა დრამატურგს:

– რა განსხვავებაა კომედიას, დრამასა და ტრაგედიას შორის?

– ყმაწვილო, – უთხრა ბერნარდ შოუმ

– ის ფაქტი, რომ თქვენ ვერ ხვდებით განსხვავებას კომედიას, დრამასა და ტრაგედიას შორის, ეს პირადად ჩემთვის კომედიაა, მაყურებლებისათვის – დრამა, თქვენთვის კი – ტრაგედია.